

დავიწყებული მთიელები

A4



ერაყის ხელისუფლება სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავს

A5



ბესტსელერების ფესტივალი

B2


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 27 მაისი, 2005 წელი. №117 (977)

ფასი 50 თეთრი

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 27/05 | 28/05 | 29/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 26 | 27 |
| ქუთაისი | 28 | 30 | 28 |
| ბათუმი | 26 | 27 | 26 |
| სოხუმი | 23 | 27 | 26 |
| ფოთი | 28 | 30 | 27 |
| თელავი | 26 | 25 | 25 |
| ზუგდიდი | 28 | 32 | 28 |
| გორი | 23 | 23 | 23 |
| ახმეტა | 26 | 25 | 26 |
| ჭიათურა | 26 | 27 | 26 |
| გაგრა | 22 | 25 | 26 |
| სამტრედია | 28 | 30 | 28 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8274 |
| ევრო | 2.2983 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.3377 |
| რუბლი | 0.0653 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# „ჩვენ შევქმენით ერთიან საქართველოს"



**"ჩვენ ვცხოვრობთ მნიშვნელოვან ისტორიულ დროში. საქართველოს "ვარდების რევოლუციამ" საფუძველი დაუდო ევროპის გათავისუფლების ახალ ტალღას. საქართველო არის სამაგალითო არა მხოლოდ რევოლუციებით, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რაც რევოლუციის შემდეგ მოხდა,"** - ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ სიტყვებით მიმართა ქვეყნის მოსახლეობას.

პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო დიდ ევროპულ ოჯახში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს. ამის თქმის საფუძველს მას ის წარმატებები აძლევს, რომელიც, პრეზიდენტის შეფასებით, რევოლუციის შემდგომ პერიოდში იქნა მიღწეული. პრეზიდენტმა გუშინდელ ზეიმზე ისაუბრა საერთაშორისო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატებებზე, შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე, კორუფციის დაძლევის წარმატებულ პრეცედენტზე, განათლებაში, კულტურის სფეროში მომხდარ "არნახულ აღორძინებაზე": **"პირველად, დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს გაუჩნდა ნამდვილი პოლიცია. ეს არის პირველი არაკორუმპირებული პოლიცია დსთ-ს სივრცეში. ჩვენ შევქმენით უფასო სამედიცინო დახმარება, რომელიც დღეიდან ამოქმედდება... დაიწყო ჩვენი კულტურის არნახული აღორძინება. ალბათ, გახსოვთ, როგორ ამაყად იდგა ამერიკის პრეზიდენტი ჩვენს მომღერლებთან და ჩვენს მოცეკვავეებთან ერთად."** პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ჩვენი ოპერისა და ბალეტის წარმატებებზე და დასძინა: **"ერთ წელიწადში სასწაული მოხდა."**

მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ ღონისძიებაზე ქართველი ხალხის წინაშე პირობა დადო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანი გზით აღდგება.

მომავალი საზეიმო აღლუმისთვის მიხეილ სააკაშვილი ახალი საერთაშორისო აეროპორტის პრეზენტაციას გეგმავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ლოკომოტივმა" თასი გაასამა

B5




## ახალი "ივერია" გზადალოცვილია

თამარ მაისურაძე

*აპრილის თვეში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა "ანდროპოვის ყურების" დანგრევა რესპუბლიკის მოედანზე პირადად წამოიწყო. 26 მაისს, ჩაფხუტიანი პრეზიდენტის ხილვიდან დაახლოებით ერთი თვის თავზე, სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" მოედნის განვითარების პროექტის პრეზენტაცია მოეწყო.*

**"ეს ადგილი ტურისტულ ცენტრად უნდა იქცეს. აქ უნდა იყოს გათვალისწინებული სპეციალური ადგილი ფეხით მოსიარულეთათვის. ყველა ევროპულ დედაქალაქს აქვს სანაპირო, სადაც ფეხით სიარული შეიძლება. კომუნისტებმა ეს ტრადიცია გააუქმეს, ჩვენ კი აღვადგენთ, მაგრამ აღვადგენთ ბიზნესის დახმარებით,"** - განაცხადა პრეზენტაციაზე მისულმა პრეზიდენტმა.

სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილი ხუთი პროექტიდან მიხეილ სააკაშვილს არქიტექტორ ზაზა ორველაძის პროექტი მოეწონა. **"მართალია, ჩვენ ამ საქმის პროფესიონალები არ ვართ, მაგრამ მე და ირაკლის ყველაზე მეტად ეს პროექტი მოგვწონს,"** - განაცხადა მან. პრეზენტაციას, ქვეყნის პირველ პირთან ერთად, თავდაცვის მინისტრი, თბილისის მერი, თბილისის პრემიერი და მთავრობის სხვა წევრები ესწრებოდნენ, რომელთაც პროექტები ინვესტორი კომპანიის "სილქროუდ გრუპის" წარმომადგენლებმა გააცნეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კრიზისი იერუსალიმში

ნოდარ ლადარია

23 მაისს სტამბულში მოწვეულ იქნა მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება, რომლის მონაწილე 15 კანონიკური ეკლესიის იერარქებმა მხარი დაუჭირეს იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის დადგენილებას იერუსალიმის პატრიარქის, **ირინეოსის** გადაყენების შესახებ. სტამბულის კრებამ საყდრის დატოვებისკენ მოუწოდა პატრიარქ ირინეოსს, რომლის სახელი კრებამ ამოაშლევინა მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსთმთავართა დიპტიქიდან. კრებამვე დანიშნა მესაყდრე, რომელიც იერუსალიმის ეკლესიას სათავეში ჩაუდგება ახალი პატრიარქის არჩევამდე.

საინტერესოა, რომ ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა მოსკოვის საპატრიარქოც, რომელიც სტამბულში წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა განყოფილების გამგის, სმოლენსკის მიტროპოლიტის, **კირილეს** მიერ. 24 მაისს კრემლის მიძინების ტაძარში საღვთო ლიტურგიისას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, **ალექსი მეორეს** იერუსალიმის პატრიარქის სახელი არ უხსენებია.

ამავე დროს, სააგენტოს ცნობით, რომელიც დამყარებულია ტელეკომპანია "იმედის" ინფორმაციაზე, საქართველოს საპატრიარქო მხარს არ უჭერს ირინეოსის გადაყენებას. სახელდება ორი მოტივი: 1) დანაშაული დამტკიცებული არაა; 2) არ არსებობს პატრიარქის ამგვარი გადაყენების კანონიკური პრეცედენტი. როგორც ვხედავთ, საქართველოს საპატრიარქო დაუპირისპირდა სრულიად მართლმადიდებელთა საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას და იცავს იმ მღვდელმთავარს, რომელსაც რამდენიმე თვის წინ სასტიკად კიცხავდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის გამომსახველი ფრესკის ვანდალური განადგურებისთვის.

გაგრძელება A4 გვერდზე

# 26 მაისი გორში

თეა თედლიაშვილი

გუშინ გორში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა მხარის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა და გორის რაიონის გამგებელმა ნუკრი პაპუნაშვილმა ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების მონახულებით დაიწყეს და მათ ტელევიზორები, მუსიკალური ცენტრები, სახელმწიფო დროშები და სხვა საჩუქრები გადასცეს. მათ ასევე, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი დაასაჩუქრეს.

პრეზიდენტის რწმუნებულმა და გამგებელმა გვირგვინებით შეამკეს დაღუპულ მებრძოლთა მემორიალური დაფა. გორის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე ანდრიამ მიცვალებულების მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინა.

"26 მაისს როგორც დიდი სევდა, ასევე დიდი სიხარული ახლავს. ჩვენ ამ დღემ მოგვიტანა დიდი ტრაგედიაც და სიხარულიც. მე ეს დღე, პირველ რიგში, იმ დედებს მინდა მივულოცო, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი გაიღეს და საქართველოს ერთიანობას შვილები შეწირეს," - განაცხადა მიხეილ ქარელმა.

საღამოს, გორის ადმინისტრაციული სახლის წინ მოეწყო გრანდიოზული კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავებისა და გორელი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. ზეიმის დასასრულს გორის ცა ფეიერვერკით განათდა.

# საგარეო საქმეთა მინისტრმა უცხოელი დიპლომატებისთვის მიღება გამართა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ, სამინისტროში, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისთვის მიღება გამართა.

როგორც მიღებაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მიმდინარე წელი საქართველოსთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა როგორც ქვეყნის შიდა საქმეებთან, ისე საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ზურაბიშვილმა აღნიშნა რიგი მნიშვნელოვანი წარმატებები, უპირველესად - საქართველო-ამერიკის და საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობების კუთხით. მინისტრის თქმით, გარკვეული მიღწევებია, ასევე, რუსეთთან ურთიერთობებში, თუმცა მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებში.

სალომე ზურაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინ პირველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ხელისუფლებამ დაუშვა და წარმატებით გააგრძელებს სვლას დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს აღმშენებლობისკენ.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს ქართველი ხალხის გუშინდელი საზეიმო განწყობის გაზიარებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს ქვეყანას საზეიმოდ კიდევ უფრო მეტი მიზეზი ექნება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ყველა იმ საელჩოში აღინიშნება, რომელიც საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებში გააჩნია.

*ინტერ-პრესი*

# ევროსაბჭოს ტონი სულ უფრო მკაცრი ხდება

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მოდელის განსასაზღვრად შექმნილი სახელმწიფო კომისია დონორ ორგანიზაციებთან აქტიურ კონსულტაციებს მართავს. თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ კომისიაში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი კონცეფცია და არ არის განსაზღვრული არც ადმინისტრაციული მოწყობის მოდელი, არც თვითმმართველობის დონეების რაოდენობა.

არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის გზებს გვთავაზობს, მაგრამ ჯერჯერობით, ეს პროექტები შეჯერებული არ არის. თანაც, ის ტენდენციები, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში იკვეთება, აშკარად მიანიშნებს საკმაოდ შემაშფოთებელ ტენდენციაზე - საქმე ის არის, რომ თვითმმართველობის გაძლიერებისა და, შესაბამისად, დეცენტრალიზაციისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები არ ჩანს, რის გამოც პარლამენტის თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკისა და მთიანი რეგიონების კომიტეტი უკვე ღიად გამოთქვამს პროტესტს. მეტიც: პარლამენტში შემოდის ისეთი კანონპროექტები, რომელიც თვითმმართველობებს უფრო მეტად არასიცოცხლისუნარიანს ხდის.

მაგალითად, პარლამენტარების აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მოგების გადასახადის წართმევა თვითმმართველობებს სიცოცხლის ნიშანწყალს გაუქრობს. რამდენიმე დღის წინ კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივას "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი ბიუჯეტები მოგების გადასახადს დაკარგავენ.

ამასობაში, დონორი ორგანიზაციები და, პირველ რიგში, ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებისაგან სულ უფრო დაჟინებით ითხოვს საკითხისადმი მკაფიო მიდგომას. ასე, მაგალითად: გუშინ, პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავკაცები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ევროსაბჭოს წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ თუკი საშემოდგომო სესიაზე მაინც არ იქნება მიღებული შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ტერიტორიულ მოწყობას ეხება, ევროსაბჭოს მომავალში, ქართულ მხარესთან აქტიური თანამშრომლობა ნამდვილად გაუჭირდება.

*24 საათი*

# პუტინმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მოულოცა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მიულოცა.

გუშინ საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. საუბრისას პრეზიდენტებმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზე გაამახვილეს ყურადღება და კმაყოფილება გამოთქვეს იმით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის პოზიციები საგრძნობლად დაახლოვდა.

მათ ასევე აღნიშნეს, რომ უახლოეს პერიოდში, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისთვის შესაბამისი პირობები შეიქმნება.

*ინტერ-პრესი*

# ახალი "ივერია" გზადალოცვილია



გოგიტა ბახაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

სასტუმრო "ივერიის" ხუთ სავარაუდო პროექტთან ერთად, წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის მაკეტიც. როგორც "სილქროუდ გრუპის" წარმომადგენელმა კიტა მხეიძემ გვითხრა, გუშინ გამარჯვებული პროექტი საბოლოო სახეს დაახლოებით სამ თვეში მიიღებს. მშენებლობის დაწყებას იგი ოქტომბერში ვარაუდობს. თავად მშენებლობა კი, დაახლოებით, 18 თვეში დასრულდება.

იმის მიუხედავად, რომ უკვე არსებობს პრეზიდენტის მიერ მოწონებული პროექტი, ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ საბოლოო ვარიანტის დამტკიცებისას სხვადასხვა პროექტიდან იქნას შერჩეული სხვადასხვა დეტალები.

**"რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდმა, რომელშიც "სილქროუდ გრუპიც" მონაწილეობს, ოთხი თვის წინ შეუკვეთა კვლევა, რომელზე დაყრდნობითაც რესპუბლიკის მოედნის მაკეტი მომზადდა,"** - გვითხრა კიტა მხეიძემ.

როგორც თბილისის მერისგან, ზურაბ ჭიაბერაშვილისგან შევიტყვეთ, დაგეგმილია რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიის გაფართოება. გვირაბი გაგრძელდება ელბაქიძის დაღმართამდე, შედარებით შეიზღუდება მანქანების სავალი ნაწილი. გათვალისწინებულია საცხოვრებელი კომპლექსის განვითარებაც, თუმცა სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ დაირღვევა.

სასტუმრო "ივერიის" მშენებლობის დასრულებიდან ზუსტად 40 წლის შემდეგ – 2007 წლის დასაწყისში, რესპუბლიკის მოედანზე ულტრათანამედროვე ბიზნეს-ცენტრი და სასტუმრო აშენდება. მშენებლობა, სავარაუდოდ, 25 მილიონი დოლარი დაჯდება.

"სილქროუდ გრუპის" წარმომადგენლების განცხადებით, გუშინ წარმოდგენილი პროექტებიდან საბოლოოდ ის პროექტი შეირჩევა, რომელიც თბილისის ამ უბანს მოუხდება და არქიტექტურულად მისაღები იქნება.

# პარლამენტის თავმჯდომარე ლატვიის პრეზიდენტს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ლატვიის პრეზიდენტს ვაირა ვიკე-ფრაიბერგას შეხვდა.

დახურული შეხვედრა გაფართოებულ რეჟიმში ჩატარდა. პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, მასში პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, დეპუტატები ივლიანე ხაინდრავა, ირინა ქურდაძე, მაია ნადირაძე და დავით ბაქრაძე მონაწილეობდნენ. ლატვიურ მხარეს კი, ვაირა ვიკე-ფრაიბერგასთან ერთად, რიგიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები წარმოადგენდნენ.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ლატვიის პრეზიდენტი ჩააყენა საქმის კურსში იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებები რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხზე, აგრეთვე, გააცნო საქართველოს პარლამენტის პოზიცია რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან მიმართებაში.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, "ლატვია საქართველოს სასიამოვნო მეგობარია და ლატვიის მხრიდან საქართველოს უდიდესი მხარდაჭერა აქვს." "ლატვიას კარგად ესმის რუსული სამხედრო ბაზების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები და ბაზების გაყვანის ფასიც," - აღნიშნა მან. ბურჯანაძის თქმით, საქართველოს ლატვიის მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა აქვს საპარლამენტო დონეზე, რათა საქართველოს დაახლოება ევროსტრუქტურებთან მაქსიმალურად სწრაფად განხორციელდეს.

ლატვიის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთთან ურთიერთობა დიდ მოთმინებას მოითხოვს და საქართველომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გააგრძელოს.

"მე განცვიფრებული ვარ თქვენი ისტორიის სიმდიდრით, ხანგრძლივობით და მრავალფეროვნებით, და თუ დიდხანს ვიცოცხლებ, თქვენი ქვეყნის ისტორიის კიდევ უფრო ღრმად შესწავლას აუცილებლად გავაგრძელებ," - განაცხადა ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ.

მისივე თქმით, თბილისში ხელი მოეწერება რამდენიმე ორმხრივ შეთანხმებას, მათ შორის - შეთანხმებას "ორმაგი დაბეგრვის შესახებ", რომელიც საქართველოსა და ლატვიას შორის თანამშრომლობას იურიდიულ ჩარჩოებში მოაქცევს.ლატვიის პრეზიდენტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ რუსეთთან მიმართებაში "გარკვეული დაძაბულობები ლატვიასაც გააჩნია." "საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობა დიდ მოთმინებას მოითხოვს. თქვენ უნდა გააგრძელოთ მუშაობა და ამ მიმართულებით თქვენი კეთილი ნება გამოხატოთ. სწორედ ამას ვაკეთებთ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში," - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის "მარმარილოს დარბაზში" პრეზიდენტი სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა.

როგორც ოფიციალური მიღებიდან გამოსულმა სამხედროებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, მიხეილ სააკაშვილმა მათ ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და მათთან სამახსოვრო სურათები გადაიღო. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო მოსამსახურეებისთვის საზეიმო სადილი გამართა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ მიღებას დაახლოებით 400-მდე სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადების და ბატალიონების მეთაურები, რეზერვისტები. მიღებაზე იმყოფებოდნენ, ასევე, საქართველოში აკრედიტებული სამხედრო ატაშეები.

პრეზიდენტთან იმყოფებოდა შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი გოგი თათუხაშვილიც, რომელიც ბოლო პერიოდში მედიასთან აღარ გამოჩენილა. მან გუშინდელი შეხვედრაც უკომენტაროდ დატოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ვიზიტით მყოფი, ლატვიის პრემიერ-მინისტრი აიგარს კალვიტისისი დღეიდან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოფიციალურ შეხვედრებს იწყებს.

დღეს დილით დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრა, რის შემდეგ, ლატვიის პრემიერ-მინისტრი კანცელარიაში გაემგზავრება და ქართველ კოლეგას ზურაბ ნოღაიდელს შეხვდება. დაგეგმილია ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება.

მოგვიანებით, ლატვიის პრემიერ-მინისტრს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი მიიღებს, შემდეგ კი დაგეგმილია შეხვედრა ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან.

28 მაისს, ლატვიის პრემიერ-მინისტრი NATO-ს სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში რომუალდს რაჟუკსს შეხვდება. ამავე დღეს, ლატვიის პრემიერ-მინისტრი ქუთაისსა და ბათუმს ესტუმრება.

29 მაისს, სტუმარი კახეთში გაემგზავრება და ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს. ლატვიის დელეგაცია, რომელიც საქართველოში 25 მაისს ჩამოვიდა, ქვეყანას 30 მაისს, გამთენიისას დატოვებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 61 წლის ვასილ მამაიაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანება მიაყენა ძმებს, დაბა ოქროყანაში მცხოვრებთ - 36 წლის ზურაბ და 38 წლის მამუკა ომარაშვილებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს განყოფილების თანამშრომლებმა ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმში მცხოვრები, 50 წლის ლევან ბარსონიძის სახლიდან ამოიღეს გაუფორმებელი მცირეკალიბრიანი შაშხანა "გეკო". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს თბილისში მცხოვრები, 21 წლის ივანე შაკიაშვილი, რომელიც ორ პირთან ერთად წნორში, ე.წ. ასანურის დასახლებაში თავს დაესხა 29 წლის ირმა აივაზიანს და დანის მუქარით გასტაცა 70 დასახელების ოქროს სამკაული და 23 ლარი. ოქროულობა ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე, „კარალეთის" საგუშაგოზე გააჩერეს ავტომანქანა "გაზ-21", რომლის მძღოლს, გორის რაიონის სოფელ დიცში მცხოვრებ 42 წლის რევაზ ლაფაჩს 1145 ლარის ღირებულების 718 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. ავტომანქანა ტვირთიანად გადაეცა რეგიონულ ფინანსურ პოლიციას.

დუშეთის რაიონის სოფელ ზემო მლეთასთან კი დააკავეს ავტომანქანა "ბმვ-520", რომლითაც მძღოლს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გარბირში მცხოვრებ 25 წლის ხვიჩა გუჯარაიძეს ყაზბეგიდან თბილისში გადაჰქონდა 12 000 ლარის ღირებულების 7920 კოლოფი რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ჩვენ შევქმნით ერთიან საქართველოს"



პირველი გვერდიდან

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთთან ცივილური, კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილი გამოთქვა: **"ჩვენ გვინდა ყველა მეზობელთან განსაკუთრებული ურთიერთობა. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, ჩვენ ვუწვდით მეგობრობის ხელს რუსეთს, ჩვენ გვინდა რუსეთთან მეგობრობა, ჩვენ გვინდა თანასწორუფლებიანი, ღირსეული ურთიერთობა. ყველა უნდა მიხვდეს, რომ საქართველო დამოუკიდებელია."**

პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ზეიმზე ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ყველაფერს გააკეთებს.

**"დრო მუშაობს თავისუფალ საქართველოზე, საქართველოს მომავალზე, ჩვენ დავინახეთ, რომ ღმერთი არის ჩვენს მხარეზე. ყოველთვის, როცა დაგვჭირდა, წმინდა გიორგი გვერდით დაგვიდგა,"** - ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა საქართველოს პრეზიდენტმა.

გუშინდელ საზეიმო აღლუმზე საქართველოს მოსახლეობას თბილისში სტუმრად მყოფი, ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგა მიესალმა: **"აქ ჩამოვედი იმ ქვეყნიდან, რომელიც ორი ათასი კილომეტრით არის დაშორებული საქართველოდან. ჩამოვედი იმისთვის, რომ ჩამოვიტანო ლატვიელი ხალხის მილოცვა. ჩვენ მხარს გიჭერთ იმ საქმეში, რომელსაც საქართველომ მიაღწია."**

ლატვიის პრეზიდენტი საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებებით აღფრთოვანებულია. **"ვარდების რევოლუციის შემდეგ მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, და ბევრი ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც ტირანიისგან იტანჯება, საქართველო არის იმედის, თავისუფლების მანათობელი შუქურა,"** - დასძინა ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს განვითარების გზაზე დაბრკოლებები არ შეხვდება, რადგან **"არც ევროპა და არც მსოფლიო გარედან ჩარევებს არ დაუშვებს."**

ლატვიის პრეზიდენტმა, საქართველოს პრეზიდენტის დარად, ისაუბრა ქართველი ერის ღირსებაზე: **"თქვენ გაქვთ ყველა თვისება იმისთვის, რომ იამაყოთ თქვენი ერით,"** - აცხადებს ქალბატონი ფრაიბერგა. **"ღმერთი ფარავდეს საქართველოს!"** - ეს სიტყვები ლატვიის პრეზიდენტმა ქართულად წარმოთქვა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გუშინდელ საზეიმო აღლუმზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობას უფრო მეტი სამოქალაქო აქტივობისკენ მოუწოდა. თუმცა, ჩვენი პრეზიდენტი წინასწარ არის დარწმუნებული, რომ **"ყველანი ერთად, ჩვენ შევქმნით ერთიან სახელმწიფოს."**

*24 საათი*




# შიდა ოპოზიცია მომწიფდა

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

მიუხედავად იმისა, რომ სტანისლავ ლაკობამ შეცვალა საკუთარი განზრახვა და აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, დაპირებისამებრ, არ გადადგა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბაგაფშს, ლაკობას სახით, დღეს ახალი ოპოზიცია ჰყავს. ამის თქმის საფუძველს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბოლოდროინდელი განცხადებები იძლევა.

უკანასკნელი საჯარო გამოსვლების დროს ლაკობამ პრეზიდენტი ბაგაფში გააკრიტიკა და იგი "უკან დახევასა" და "საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში" დაადანაშაულა. კერძოდ კი, საუბარია ისევ და ისევ იმ საკადრო ცვლილებებზე, რომლებიც ასე არ მოსწონს ლაკობას. ლაკობა ასევე უკმაყოფილოა იმითაც, რომ წინა ხელისუფლების ის ჩინოვნიკები, რომლებიც მხილებულნი არიან სხვადასხვა სახის დარღვევებში, ფულის ფლანგვასა და სხვა დანაშაულებში, კანონის თანახმად არ დასჯილან და უფრო მეტიც, საკუთარ თანამდებობებს ინარჩუნებენ.

ლაკობას კრიტიკის ცალკე ადრესატია აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. ამჯერად, ლაკობა შაბმას მხოლოდ ტიროლში მოგზაურობას როდი ედავება. უშიშროების საბჭოს შეფს არ მოსწონს ასევე უსაფრთხოების საკითხებში გალის პროტოკოლი, რომელსაც სერგეი შამბასთან ერთად, გიორგი ხაინდრავამაც მოაწერა ხელი. ლაკობას თქმით, ამ პროტოკოლზე ხელის მოწერის შედეგად, ფაქტობრივად, აფხაზეთის სამართალდამცავ ორგანოებს უსაფრთხოების ზონის ტერიტორიაზე გალის რაიონში ყოფნა ეკრძალებათ.

ზოგადად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლაკობა აქტიურად ლობირებს შამბას თანამდებობიდან გათავისუფლების კამპანიას. შეგახსენებთ, რომ ქართულ-აფხაზური დელეგაციის სამხრეთ ტიროლში მოგზაურობის გამო ატეხილი აჟიოტაჟიც სწორედ სტანისლავ ლაკობას სატელევიზიო გამოსვლას მოჰყვა. ლაკობა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადანაშაულებდა შამბას ქართულ მხარესთან დიალოგის არაეფექტურად წარმართვაში. კერძოდ კი, ლაკობა აფხაზეთის საგარეო უწყებას მოლაპარაკებათა პროცესში ახალი იდეების არარსებობას საყვედურობდა. სავსებით ცხადია, რომ ლაკობას საკუთარი პოზიცია დღესაც არ შეუცვლია.

ლაკობას განცხადებები იმის მანიშნებელია, რომ აფხაზეთის მთავრობაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. უფრო მეტიც, აფხაზეთის მთავრობის შიგნით თანდათანობით მწიფდება ოპოზიცია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ლაკობას სახით არის გამოვლენილი. არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში ლაკობას მთავრობის შიგნით გავლენიანი თანამოაზრეებიც გამოუჩნდეს. აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე კულუარულ თამაშს არ თამაშობს. მისი ოპოზიციური განწყობა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია.

# ხაჯიმბას კიდევ ერთი ნოკაუტი



ასტამურ და ემა ტანიები.

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

პარლამენტმა აფხაზეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ემმა ტანია თანამდებობიდან გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ ტანია პრეზიდენტ ბაგაფშის მხარდაჭერით სარგებლობდა, პარლამენტარებმა მისი კანდიდატურა მაინც არ დაამტკიცეს. ტანიას სასარგებლოდ 10-მა დეპუტატმა გაიარა კენჭისყრა, ოცმა კი მას მხარი არ დაუჭირა. დღეისათვის, აფხაზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია.

ემმა ტანია აღნიშნულ თანამდებობაზე სამი წელი მუშაობდა. მანამდე, ორი წლის განმავლობაში იგი ეროვნული ბანკის თავმჯდომარის მოადგილე იყო, წელიწადნახევარის განმავლობაში კი, რაულ ხაჯიმბას მთავრობაში ვიცე-პრემიერის პოსტი ეკავა და ეკონომიკურ საკითხებს კურირებდა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ტანიამ თავი გამოიჩინა, როგორც რაულ ხაჯიმბას საარჩევნო შტაბის აქტივისტმა. სწორედ ამ ფაქტის გამო, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე, ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პოსტზე ტანიას ხელმეორედ წარდგენა ბევრს გაუკვირდა. ამასთან, ბევრნი ამბობდნენ იმასაც, რომ ტანიას დანიშვნა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, ვიდრე ეროვნული ბანკის თავკაცის პოსტისთვის სხვა შესაფერის კანდიდატურას იპოვიდნენ. საბოლოო ჯამში, ეს პროგნოზები გამართლდა. როგორც ჩანს, დღეს შესაფერისი კანდიდატურა უკვე ნაპოვნი ჰყავთ, თუმცა ამის შესახებ ღიად არ აცხადებენ. ტანიას გადადგომამ ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბა კიდევ ერთხელ ჩააგდო ნოკაუტში. ტანია ხაჯიმბას უახლოესი გარემოცვის წევრი და "ხაჯიმბას ფლანგის" უკანასკნელი ჩინოვნიკი გახლდათ. აფხაზეთის დღევანდელ მთავრობაში ხაჯიმბას გუნდის წევრები თითქმის აღარ დარჩნენ. ექსპერტთა აზრით, ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პოსტზე ტანიას კანდიდატურა პარლამენტს თავად პრეზიდენტმა წარუდგინა, ბაგაფშის მხრიდან მის მხარდაჭერას სულაც არ ნიშნავდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აქ, უბრალოდ, "თვალის ახვევის" სქემა იყო გამოყენებული. ბაგაფშმა თავი აარიდა იმ უსიამოვნებას, რაც მთავრობიდან უკანასკნელი "ხაჯიმბისტის" გათავისუფლებას მოჰყვებოდა და თავად წარუდგინა პარლამენტს ტანიას კანდიდატურა. მაგრამ პარლამენტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ტანიას მხარი არ დაუჭირა. ასე რომ, ყოველგვარი კრიტიკა თავს დაატყდა პარლამენტს, რომელიც თავის "ანტიხაჯიმბისტურ" განწყობილებას ისედაც არ მალავს.

დეპუტატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ტანიას მხარი მხოლოდ იმის გამო არ დაუჭირეს, რომ იგი აქამდე, ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პოსტზე არაეფექტურად მოღვაწეობდა. "ჩვენ მისი მუშაობა არ გვაკმაყოფილებს. ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით," – ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებიან ისინი. თავად ემმა ტანია პრესასთან კონტაქტზე არ გამოდის და სიტუაციის კომენტირებას ერიდება.

# იძულებითი ღონისძიებები კორპუსების მოვლა-პატრონობისთვის

*თბილისის მერიამ, ნახევარი წლის განმავლობაში, ბინის მესაკუთრეთა 500-მდე ამხანაგობის შექმნა შეძლო. თუმცა, ქალაქში 22 ათასამდე საცხოვრებელი კორპუსია. ქალაქის ხელმძღვანელობა მოსახლეობის გასააქტიურებლად გზების ძიებას განაგრძობს. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი კანონმდებლობის მოწესრიგებაა.*

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოში საცხოვრებელი კორპუსების პრივატიზება 1992 წლიდან დაიწყო. თუმცა, 1997 წლამდე შესაბამისი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა. 1997 წელს კი, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ნორმები სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა. აღნიშნული ნორმებით, კორპუსების მოვლა-პატრონობა მესაკუთრის ვალდებულებაა. თუმცა, კოდექსის ამ მოთხოვნის შესრულება 2005 წლამდე არც მთავრობას მოსვლია აზრად და არც კორპუსების მობინადრეებს. მთავრობის უმოქმედობას მხოლოდ მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობას ვერ დავაბრალებთ. წლების მანძილზე ხელისუფლება კორპუსების შესაკეთებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებით მოსახლეობასაც ასარგებლებდა და თვითონაც სარგებლობდა.

წელს ქალაქის ახალმა ხელისუფლებამ ბინის მესაკუთრეთა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების ამოქმედება დაიწყო. ოღონდ, ჯერჯერობით, კორპუსების მოვლა-პატრონობის ახალ ფორმაზე გადასასვლელად პირველ ნაბიჯებს მოსახლეობა მთავრობის დახმარებით დგამს. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში ლიფტებისა და სახურავების სარემონტოდ 2 მილიონ 230 ათასი ლარი ჩაიდო. ამ თანხას მთავრობა მხოლოდ იმ კორპუსებზე ანაწილებს, სადაც მესაკუთრეებს ამხანაგობა აქვთ შექმნილი და სახურავებისა და ლიფტების შეკეთებაში მონაწილეობას საკუთარი თანხებითაც იღებენ (მოსახლეობამ სახურავების სარემონტო სამუშაოების ღირებულების 5 პროცენტი უნდა გადაიხადოს, ლიფტების შესაკეთებლად კი - ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების 10 პროცენტი).

ლიფტებისა და სახურავების შეკეთების სახელმწიფო პროგრამა მოსახლეობას, დახმარებასთან ერთად, ამხანაგობების შექმნასაც აიძულებს. თუმცა, ამხანაგობების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მეთოდი სათანადოდ ვერ ჭრის. მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახური (ყოფილი "თბილისის კორპუსი") მოსახლეობის გასააქტიურებლად უფრო ეფექტურ გზას ეძებს. სამსახურის ხელმძღვანელობა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონპროექტს ამუშავებს. **"სამოქალაქო კოდექსში არსებულ მუხლებში ბევრი დეტალია გამორჩენილი, რის გამოც, კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება ჭირს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად არსებობს ორი გზა - ან სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები უნდა შევიტანოთ, ან ცალკე კანონი შევქმნათ. ჩვენი აზრით, ბოლო ვარიანტი უფრო ეფექტურია. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ კანონში ჩაიდება ადმინისტრაციული ღონისძიებებიც, რომელიც ბინის მესაკუთრეებს ამხანაგობების ჩამოყალიბებასა და კორპუსის მოვლა-პატრონობას აიძულებს,"** – აცხადებს სამსახურის უფროსის მოადგილე ირაკლი აბესაძე.

კანონპროექტის ავტორები იძულების მექანიზმების რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობენ: 1. რაიონის გამგეობაში უნდა შეიქმნას ორგანო, რომელსაც კორპუსის ურჩი მობინადრეების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების (საჯარიმო ოქმის გამოწერა) გატარება შეეძლება; 2. ბინის მესაკუთრეთა კანონის დამრღვევს, ამხანაგობის გადაწყვეტილებით, საკუთარი ბინის გასხვისება აეკრძალოს. 3. დასჯის უკიდურესი ფორმა კი კანონის დამრღვევისთვის ბინის ჩამორთმევა იქნება.

**"კანონში, რა თქმა უნდა, დეტალურად იქნება გაწერილი, აღნიშნული სადამსჯელო ღონისძიებები რა შემთხვევაში განხორციელდება,"** – აცხადებს აბესაძე.

ურჩი მესაკუთრეების დასჯის გარდა, კანონპროექტი კანონმორჩილ მესაკუთრეთა დახმარებასაც ითვალისწინებს. ამხანაგობის წევრები ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო იურიდიულ კონსულტაციასაც მიიღებენ და ფინანსურ დახმარებასაც. ამის გარდა, კონდომინიუმების წევრები (მათ საკუთრებაში, კორპუსთან ერთან, კორპუსის ეზოც შედის) საგადასახადო შეღავათებითაც უნდა სარგებლობდნენ. მაგალითად, კორპუსის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გადასახადი არ გადაიხადონ და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (თუკი შემოსავალს კორპუსისა და ეზოს მოვლა-პატრონობას მოახმარენ) მთლიანად ამხანაგობას დარჩეს.

სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური აღნიშნულ კანონპროექტს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 31 მაისს მერიის შენობაში გააცნობს.

# ინვალიდთა აქციის მონაწილეები ახალი ბრალდებებით გამოდიან

*"ინვალიდთა ლიგის" წევრები მათი ორგანიზაციის დამფუძნებლისა და იუსტიციის ახლანდელი მინისტრის, კოტე კემულარიას გვარს "ინვალიდთა ლიგის" საქმეებთან დაკავშირებულ სკანდალს უკავშირებენ. ამჟამად პროკურატურა გამოძიებას მხოლოდ გია ძნელაძის წინააღმდეგ აწარმოებს, თუმცა, ლიგის წევრთა მტკიცებით, მანამდე საქმეში სხვა პირებიც, მათ შორის - იუსტიციის დღევანდელი მინისტრიც, ფიგურირებდნენ.*

თამარ დვალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა რამდენიმე დღიანი შიმშილობის შემდეგ, აქცია 31 აპრილს შეწყვიტეს. ისინი ხელისუფლებისაგან დისკრიმინაციული პოლიტიკის შეწყვეტასა და იმ კუთვნილი თანხის დაბრუნებას ითხოვდნენ, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ 1998, 1999 წლებში მიითვისა. მას შემდეგ პროკურატურამ აქციის მეთაურის, გია ძნელაძის წინააღმდეგ აღძრული, სისხლის სამართლის ძველი საქმე განაახლა და მას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინა.

ძნელაძის თქმით, თუკი ადრე პროკურატურა სახვაძეს, კემულარიასა და კოხრეიძეს იბარებდა, აქციების გამართვის შემდეგ, მხოლოდ ის დაიბარეს.

პროკურატურის მიერ "ინვალიდთა ლიგის" თავმჯდომარის, გიორგი ძნელაძის მიმართ წაყენებული ბრალდება ლიგის მიერ ტელეაპარატურის და ავტობუსების შესყიდვის ფაქტს უკავშირდება. საქმეში ფიგურირებს ოფშორული ფირმა IES. აქვე მითითებულია რამდენიმე კონკრეტული გადარიცხვა, საიდანაც, თითქოსდა მოიხსნა ფული ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

**"მე უდანაშაულო ვარ. ფირმა, რომელთანაც ჩვენ ურთიერთობა გვქონდა, ყალბი აღმოჩნდა. ამ ფირმის გახსნა, ან გახსნილის ყიდვა "ინვალიდთა ლიგის" დამფუძნებელს კოტე კემულარიას ევალებოდა, რისთვისაც მას დამფუძნებლებისგან 5000 ამერიკული დოლარი გადაეცა. ეს ფაქტი კემულარიამ 2001 წლის ბოლოს, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზეც დაადასტურა. ამის შესახებ არსებობს სტენოგრამა და ცოცხალი მოწმე. ლიგის გამგეობისა და ყველა დამფუძნებლის ხელთ არსებული ინფორმაციით, კემულარიამ დირექტორად დანიშნა გერმანელი ლანგე. ამიტომაც იყო მიმოწერა IES-თან გერმანულ ენაზე. ამის შემდეგ, ლიგისთვის "სასურველი პირობები" თუ წერილები IES-ის მხრიდან წარმოდგენილი იყო კემულარიას მხრიდან. ლიგის არც ერთ დამფუძნებელს აზრად არ მოგვსვლია, რომ სხვისთვის მიგვემართა, ან ფაქტები გადაგვემოწმებინა,"** - აცხადებს გია ძნელაძე. მისივე თქმით, გამგეობისთვის გაუგებარია საქმეში არსებული, ლანგეს და ჩეტინკაიას დაკითხვის ოქმების შინაარსი, სადაც ლაპარაკია კემულარიას მიერ არა ფირმის ყიდვაზე, არამედ რაღაც მინდობილობაზე და მასში გადახდილ 1000 გერმანულ მარკაზე (700$). გაუგებრობას ისიც ემატება, რომ კოტე კემულარია ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

**"მე მინდა განვაცხადო, რომ კემულარიას საქციელი, მორალურად და პოლიტიკურად გაუმართლებელია. იგი დღესაც რჩება ორგანიზაციის დამფუძნებლად. ამდენი ხანია, ეს აქცია მიმდინარეობს და კემულარია არც ერთხელ არ გამოგვხმაურებია. თუ ჰგონია, რომ დამნაშავეა და იმალება, ეგ სხვა ამბავია. და თუ არ არის დამნაშავე, მაშინ მისი დუმილი უზნეობად მიმაჩნია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ძნელაძემ.

რაც შეეხება, "ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს" მიერ გამართულ აქციებს, საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ მიზანს მიაღწიეს, რადგან ევროსაბჭოდან და გაეროდან დაპირებები მიიღეს. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა მათი პრობლემები მოისმინა და დახმარებასაც დაჰპირდა.

სექტემბერში, როდესაც საქართველოში ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფი ჩამოვა, იგი შესრულებულ სამუშაოებს შეამოწმებს და ახალ ვალდებულებებს მოამზადებს, რაზეც საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს. ამ ვალდებულებებში ინვალიდთა ინტეგრაციის საკითხი და უფლებების დაცვა შევა.

# დავიწყებული მთიელები

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ზემო სვანეთში ზამთარი და წელიწადის ამ დროის თანამდევი სტიქიური მოვლენები 10 თვეს გრძელდება.

**"მთელი წლის მანძილზე ჩვენ ამ ორ თვეს ველოდებით, როცა ზაფხული დგება. სხვანაირად აქ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა,"** - ამბობენ მესტიელები.

წლევანდელმა სტიქიამ საქართველოს რეგიონებს შორის ზემო სვანეთი ყველაზე მეტად დააზარალა. სატრანსპორტო მიმოსვლა იქ ორიოდე დღის წინ აღდგა, ისიც - მხოლოდ ცენტრალურ გზაზე. შიდა სასოფლო სამეურნეო გზები თითქმის მთლიანად დანგრეულია. მწყობრიდან გამოვიდა წყალგაყვანილობის სისტემა - რაიონულ ცენტრში არსებული ორივე სათავე ნაგებობა დაზიანებულია. მოშლილია შიდა საკომუნიკაციო ქსელი, დაზიანებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და შიდა სასოფლო ელექტროსისტემა. ორი სოფელი - კალა და უშგული - 24 აპრილიდან დღემდე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. სტიქიის შედეგად დაზარალდა 500-მდე ოჯახი.

**"ზარალის ზუსტი დათვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაგრამ დაახლოებით ზარალმა 10 მილიონ ლარამდე შეადგინა. ჩვენ ოფიციალური მონაცემები ჩავიტანეთ თბილისში და დაიგეგმა, რომ პირველ რიგში, გაიცემა კომპენსაცია დაგრეული საცხოვრებელი სახლებისთვის, თითოზე - 5000 ლარი,"** - აცხადებს მესტიის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ჯაფარიძე "24 საათთან" საუბარში.

ოფიციალური ინფორმაციით, მესტიის რაიონში 25 ოჯახია უსახლკაროდ დარჩენილი, 94 სახლი სერიოზულადაა დაზიანებული, 345 ოჯახი კი - დაზარალებული. დაზარალებული მოსახლეობა ამბობს, რომ ბუნებისგან და ხელისუფლებისგ ერთნაირად არიან განწირულები.

პენსიონერი ლეილა ჩხვიმიანი უკვე 40 წელია სოფელ ლაყვრის ერთადერთი მცხოვრებია. ამ სოფელში ერთ დროს 27 კომლი ცხოვრობდა, მაგრამ მეწყერის გამო ისინი სოფლიდან ასახლდნენ. წლევანდელი სტიქიის შედეგად ლაყვრთან მისასვლელი ყველა გზა დაინგრა. შვიდი კილომეტრით მოშორებული მეზობელი სოფლიდან ზამთარში ლაყვრში საცალფეხო ბილიკზე თხილამურებით გადადიან ახალგაზრდები, რათა ამ სოფლის მკვიდი ერთადერთი ოჯახის ამბავი მოიკითხონ.

**"სახლი სულ დამიზიანდა სტიქიის შედეგად, ერთი მხარე მთლიანად ჩამოიქცა. ახლა გზაც მოწყდა, არავინ ჩვენთან არ მოდის და არაფრით გვეხმარება. წყალი, საერთოდ, არა გვაქვს. არ დამტოვოთ, დედაშვილობამ, თუ რამე დახმარება იყოს",** - ამბობს ლეილა ჩხვიმიანი.





სოფელ ლაყვრის ერთადერთმა მკვიდრმა დღემდე ერთადერთი დახმარება 25 მაისს საერთაშორისო-ჰუმანიტარული ორგანიზაციის "ADRA"-სგან მიიღო. "USAID"-ის ფინანსური დახმარებით შეძენილი ჰუმანიტარული ტვირთი იმ დღეს (სურსათი, მედიკამენტები, ჰიგიენური საშუალებები) ლეილა ჩხვიმიანის მსგავსად პირელი და ერთადერთი აღმოჩნდა ფარის, ცხუნარისა და ნაკრის თემის მცხოვრები 345 ოჯახისთვის.

**"აქამდე არავითარი დახმარება არ გვქონია, არადა, მართლა მოხდება გვჭირდება, თორემ ისეთი სიტუაცია არის შექმნილი, რომ ხალხი გაქცევაზე ფიქრობს",** - ამბობს ფარის თემის საკრებულოს გამგებელი ბესიკ წულუკიანი.

ზემო სვანეთის სოფლებში ახალგაზრდებს ნაკლებად შეხვდებით.

**"ახალგაზრდებისთვის აქ არანაირი პერსპექტივა არ არის",** - ამბობს ფარის საშუალო სკოლის პედაგოგი თეა რაზმაძე "24 საათთან" საუბარში.

ფარის საშუალო სკოლა შვიდ სოფელს ემსახურება და მასში 50 მოსწავლე იღებს განათლებას. ბოლო 15 წელია სკოლაში ინვენტარი არ განახლებულა, ელექტროენერგია კი სკოლის შენობაში საერთოდ არ არის შეყვანილი.

ფარის თემის სოფლებში არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, არ იყიდება სამკურნალო მედიკამენტები.

**"ერთადერთი ვალუტა ჩვენთან ყველია",** - ამბობენ მესტიის სოფლებში. ადგილობრივი მოსახლეობა ყველს ზუგდიდში ყიდის და ამისთვის კვირაში ერთჯერ თითქმის დანგრეული გზით ოთხ საათზე მეტს მგზავრობს. სვანეთის სოფლებში გლეხების შემოსავლის წყარო ყველთან ერთად კარტოფილიცაა, მაგრამ წელს სტიქიამ სახნავ-სათესი მიწებიც გაანადგურა. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ მათვის პრეზიდენტის ნაჩუქარი დიზელიც ხელმიუწვდომელი დარჩა.

**"არც დიზელი მიგვიღია და არც თივა, თითო ოჯახზე ტუკნახევარი თივა იყო გამოყოფილი თურმე, მაგრამ თითო ტუკი 10-10 ლარად გაყიდესო",** - ამბობენ გლეხები.

**"ოთხი თვეა დევნილების შემწეობებიც არ დარიგებულა მესტიაში. ძალიან გვაინტერესებს, რა მიზეზით არ რიგდება",** - აცხადებს მესტიის რაიონში მცხოვრები დევნილი ნელი ჩხომიანი.

**"ჩემმა ქმარმა ხუთი წუთით გამოასწრო მეწყერს. გადარჩა დაღუპვას, 83 წლის კაცი თივას იღებდა. შინ კიდევ 90 წლის მული მყავს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, 38 წელი ფერმაში მუშაობდა. მედლებით სავსე ვართ მთელი ოჯახი და არაფერი არ გვეკუთვნის დახმარება?"** - ამბობს როზა მურღვლიანი.

მესტიის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილები ფულად კომპენსაციას ერთი თვის ვადაში მიიღებენ. დანარჩენები კი, როგორც ჩანს, უწინდებურად ღვთის ანაბარად განაგრძობენ ცხოვრებას, თუკი ისევ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ არ გაიღო რაიმე დახმარება მათთვის.

მესტიის ადგილობრივი ბიუჯეტი თითქმის მთლიანად ტარსნფერტზეა (2 მილიონი ლარი) დამოკიდებული და ძირითადად ხელფასების გაცემას ხმარდება. ადგილობრივი შემოსავლები რაიონს პრაქტიკულად არ გააჩნია, რადგან რაიონში არსებული ბიზნესის რიგი სახეობები (ხე-ტყის დამუშავება, ოქროს მოპოვება) ძირითადად კრიმინალების მფარველობის ქვეშაა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ვერ კონტროლდება. კრიმინალებთან საბრძოლველად კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მესტიის რაიონისთვის საპატრულო პოლიციის ერთადერთი თანამშრომელი "გაიმეტა". პატრულ შუკვანს ჯერჯერობით არც მანქანა აქვს და არც იარაღი. ნინო ჯაფარიძე ამბობს, რომ მესტიის რაიონის პერსპექტივა კერძო ტურიზმის განვითარებაშია, რაც კრიმინოგენური მდგომარეობის გამოუსწორებლად შეუძლებელია. მესტიის რაიონს კრიმინალებისგან დღეს 25 პოლიციელი იცავს.

# კრიზისი იერუსალიმში

პირველი გვერდიდან

ვითარება იმსახურებს დაწვრილებით ანალიზს.

**დანაშაული**. იერუსალიმის ეკლესიის სინოდმა და მრევლმა პატრიარქი ირინეოსი და მისი თანამზრახველი, ვინმე **ვავილისი** დაადანაშაულა იერუსალიმში რამდენიმე ქრისტიანული ქუჩის ებრაელებისადმი გადაცემაში. ამ ოპერაციაში ირინეოსმა და ვავილისმა, როგორც ამბობენ, 300.000 აშშ დოლარი მიიღეს.

იერუსალიმი ტრადიციულადაა დაყოფილი იუდაურ, მართლმადიდებლურ, ისლამურ და სომხურ უბნებად. გასაგებია, რომ ნებისმიერი ტერიტორიული ცვლილება მეტად მტკივნეულად აღიქმება მოსახლეობის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ისრაელის ხელისუფლება ირინეოსის პატრიარქობის წინააღმდეგი იყო, ამჟამად ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მიმართული ყველა ნაბიჯი უკვე ისრაელის ინტერესების საზიანოდ და პალესტინელთა ინტერესების სასარგებლოდ აღიქმება.

**იერუსალიმის ეკლესიის პოზიცია**. არავისთვის არაა საიდუმლოება, რომ ამ ეკლესიაში კარგა ხანია სუფევს ბერძნული ნაციონალიზმი: მრევლის ძირითადი ნაწილი ეთნიკური არაბები არიან, ეპისკოპოსები კი მხოლოდ ეთნიკური ბერძნები, რომლებიც არაბებს იერარქიულ კიბეზე ალმასვლის ყველანაირ საშუალებას უკეტავენ. არაბ მართლმადიდებელთა მრისხანება უკვე საგრძნობლად არყევს არა მარტო ირინეოსის საყდარს, არამედ ბერძენი იერარქიის საფუძვლებსაც. ბუნებრივია, რომ ვითარების გამწვავებასთან ერთად ბერძენმა ეპისკოპოსებმაც გადაწყვიტეს კორუმპირებული პატრიარქის გადაყენება და აღასრულეს კიდეც ეს სინოდის 6 მაისს ჩატარებულ სხდომაზე.

**მსოფლიო საპატრიარქოს პოზიცია**. 2005 წელი მართლაც ძნელი გამოდგა მართლმადიდებელი იერარქიისთვის: კორუფციული სკანდალი ელადის ეკლესიაში, არნახული უკანონო გარიგება იერუსალიმის საპატრიარქოში. თუ ეკლესიამ თვითონ არ იზრუნა თავისი იერარქიის სიწმინდისთვის, ის კატასტროფულად დაკარგავს ავტორიტეტს მრევლში, რომელიც უკვე კარგა ხანია აღარაა უტყვი და ბრმად მორჩილი ფარა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის, **ბართლომეს** ინიციატივა მართლმადიდებელი ეკლესიის განახლების ნიშანია, მაუწყებელია იმისა, რომ ეკლესია დღესაც ცოცხალი ორგანიზმია და არა ძველი კანონიკური წესების მუზეუმი. ამიტომაც აცხადებს მსოფლიო საპატრიარქო: ირინეოსი უნდა წავიდეს მაშინაც კი, თუ მართალია!

გარდა ამისა, როგორც ელადის, ასევე იერუსალიმის ფართომასშტაბიანი ინციდენტები მოწმობენ, რომ კრიზისში არა მარტო ადგილობრივი ეკლესიებია, არამედ თვით სახელმწიფო მართლმადიდებლობის იდეა.

**რუსეთის ეკლესიის პოზიცია**. ერთი მხრივ, საკვირველია, რომ რუსეთმა მხარი დაუჭირა ირინეოსის გადაყენებას. ერთი მხრივ, უკანონო გარიგების თანხა — 300.000 დოლარი — რუსი ეპისკოპოსებისთვის სასაცილოა. მეორე მხრივ, იერუსალიმის საპატრიარქო ყოველთვის ახლოს იყო საბჭოთა კავშირთან (**იასირ არაფატისა** და, საერთოდ, პალესტინელების ფაქტორი) და შემდეგ კი რუსეთთან. გარდა ამისა, მოსკოვი ყოველთვის ეცილებოდა პირველობას კონსტანტინოპოლის საყდარს: "მცირერიცხოვანი, მაგრამ მოუსვენარი საპატრიარქო" — ასე მოიხსენიებს მას რუსული მართლმადიდებლური მედია.

და მაინც, მოსკოვმა მხარი დაუჭირა ირინეოსის გადაყენებას. რატომ? როგორც რუსი ანალიტიკოსი, **ნიკოლაი მიტროხინი** აღნიშნავს, ამის მიზეზები ისევ და ისევ პოლიტიკაში, განსაკუთრებით ფინანსურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ.

ისრაელს ცივილიზებული ხელისუფლება ჰყავს: ეს ნიშნავს, რომ რუს პილიგრიმებს არ დაუწყებს დევნას იმის გამო, რომ მოსკოვმა ისრაელისთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, რუსები კვლავაც შეძლებენ სააღდგომო ცეცხლის ჩამომტანი ექსკურსიების გამართვასა და, შესაბამისად, საეკლესიო ხაზინის რეგულარულ შევსებას.

პალესტინელების ხელისუფლება კი არაცივილიზებულია: რუს პილიგრიმებს მართლაც შეექმნებათ უსაფრთხოების პრობლემები, თუ მოსკოვი მხარს არ დაუჭერს იერუსალიმელ მრევლს. როგორც ვხედავთ, მოსკოვის საპატრიარქოს გადაწყვეტილება ნაკარნახევია ერთგვარი სასიცოცხლო მოტივებით.

**საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია**. ესეც სასიცოცხლო მოტივებითაა განსაზღვრული. საქართველოს საპატრიარქო მარტო დაუპირისპირდა მართლმადიდებელ ეკლესიათა კრებას: მხოლოდ მან განაცხადა, რომ წინააღმდეგია ირინეოსის გადაყენებისა (ანტიოქიის საპატრიარქომ თავი შეიკავა).

დანაშაულის დეტალები, რომელთა დაზუსტებასაც ელის საქართველოს საპატრიარქო, ნამდვილად არაა არსებითი, რადგან თვით ოპერატიულობა, რომლითაც შეიკრიბა სრულიად მართლმადიდებელთა კრება — სულ რაღაც ხუთ დღეში, 17-დან 23 მაისამდე — მოწმობს ვითარების სერიოზულობას, რომელსაც მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიები, როგორც ეტყობა, უსიტყვოდ გრძნობენ.

რაც შეეხება კანონიკური პრეცედენტის არარსებობას, უნდა ვთქვათ, რომ ეკლესიას გადაწყვეტილებები კანონიკური პრეცედენტების კარნახით კი არ გამოაქვს, არამედ მასში უწყვეტად მოქმედი წმიდა სულის მადლით. მორწმუნისთვისაც და არამორწმუნისთვისაც კანონიკური პრეცედენტის არარსებობა არ უნდა იყოს გადამწყვეტი. თუნდაც იმიტომ, რომ ეკლესიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა უმრავლესობას მართლაც არავითარი კანონიკური პრეცედენტი არ გააჩნდა.

მაგრამ საქართველოს საპატრიარქო მაინც უპირისპირდება სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს და იმის გვერდით დგება, ვის წინააღმდეგ უეჭველად უნდა ჰქონდეს არცთუ უმნიშვნელო პრეტენზიები — ისევ რუსთაველის ამსახველი ფრესკის ჩამოფხეკას ვგულისხმობ. რატომ?

შესაძლებელია ორი ვარაუდი:

1) კორუფციული მდგომარეობა საქართველოს საპატრიარქოში იმდენად მძიმეა, რომ სამღვდელოების უმრავლესობის რისხვას ერთადერთი ფაქტორი აკავებს: ხელისუფლების პასიურობა. მაგრამ ეს პასიურობა არაა გამაგრებული საკმარისად ხანგრძლივი გარანტიებით. გასაგებია, რომ იერუსალიმის პატრიარქის გადაყენება ერთობ არასასურველი მაგალითია.

2) საქართველოს საპატრიარქოს თვალსაზრისს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მით უმეტეს, კარგა ხანია ჩვენი ეკლესია ჩამოშორებულია არა მარტო ეკუმენურ, არამედ საერთო მართლმადიდებლურ ასპარეზსაც. სავარაუდოა, რომ საქართველოს საპატრიარქოს განსაკუთრებული პოზიცია რუსეთის ეკლესიისთვის (წაიკითხე: სპეცსამსახურებისთვის) იყოს ხერხი, რომ, მიუხედავად ოფიციალური პოზიციისა, მისი საშუალებით განაგრძოს იერუსალიმის ეკლესიის გადაყენებული პატრიარქისა და კორუმპირებული ბერძენი იერარქიის ფაქტობრივი მხარდაჭერა.

# ერაყის ხელისუფლება ბაღდადში სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავს

ერაყის თავდაცვის მინისტრის საადუნ ალ-დულაიმის განცხადებით, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების 40 ათასზე მეტი ერაყელი ჯარისკაცი მონაწილეობას მიიღებს ბაღდადში ბოევიკების წინააღმდეგ ჩატარებულ მასობრივ ოპერაციაში.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ეს იქნება ერაყის შეიარაღებული ძალების მიერ ბაღდადში ბოევიკების წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაცია. მაისში ამერიკელ ჯარისკაცებზე, ასევე, ერაყის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად, დაახლოებით, 600 ადამიანი დაიღუპა.

თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ დედაქალაქი ოპერაციისთვის 7 სექტორად გაიყოფა და უსაფრთხოების ზომები ადრინდელზე გაცილებით უფრო მკაცრად იქნება დაცული.

**"ჩვენ ბაღდადს, სამაჯურის მსგავსად, ცემენტის ბლოკადას შემოვარტყამთ. ვერავინ შეძლებს ბლოკადის გარღვევას,"** - აცხადებს მინისტრი.



*"ჩვენ ბაღდადს, სამაჯურის მსგავსად, ცემენტის ბლოკადას შემოვარტყამთ. ვერავინ შეძლებს ბლოკადის გარღვევას", - აცხადებს თავდაცვის მინისტრი საადუნ ალ-დულაიმი.*

სწორედ ეს იქნება უსაფრთხოების მკაცრი ზომების მიღების პირველი ეტაპი, რომელიც შემდეგ, თანდათანობით მთელ ქვეყანას მოიცავს.

**"ამ ოპერაციის მიზანი ისაა, რომ ქვეყნის ხელისუფლების ტაქტიკა (ბოევიკების წინააღმდეგ), თავდაცვის ნაცვლად, თავდასხმა გახდება,"** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი ბაკი სოლაგი.

ოპერაციის ჩატარების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

სისხლისღვრა ბაღდადში კვლავაც გრძელდება. გუშინ ბოევიკების მიერ განხორციელებულმა, პოლიციის პატრულისკენ მიმართულმა სამმა ტერორისტულმა აქტმა სამი ერაყელის სიცოცხლე შეიწირა.

ორი ადამიანი დაშავდა აფეთქების შედეგად. ეს მაშინ მოხდა, როცა ისინი სამსახურში მანქანით მიდიოდნენ.

მეორე თავდასხმის დროს უნივერსიტეტის ლექტორი თავის მანქანაში, რომელშიც კიდევ სამი მგზავრი იჯდა, დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში აალამის რაიონში ჩაცხრილეს.

წყაროები იტყობინებიან, რომ ერაყის მრეწველობისა და მინერალური რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსანმა ტამერ გაიდანმაც მათი ბედი გაიზიარა – ის დედაქალაქში, მაღაზიაში ვაჭრობის დროს მოკლეს.

გარდა ამისა, ბაღდადის ცენტრში თავდასხმა მოხდა ამერიკელი სამხედროების კოლონაზე. ერთ-ერთი მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან დაღუპულთა შესახებ.

ამერიკელი სამხედრო პირის გაცხადებით, ქალაქ ტალაფარში ამერიკელი სამხედროებისა და ბოევიკების შეტაკებას ერაყელი ბავშვი ემსხვერპლა.

**"ამერიკელებთან შეტაკების დროს ტერორისტებმა ფარად ბავშვები გამოიყენეს. შედეგად, ერთი ბავშვი დაიღუპა"**, - განაცხადა ამერიკელმა სამხედრომ თავის განცხადებაში. თუმცა, მან არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ იმსხვერპლა ბავშვი.

*ბიბისი*

# პაკისტანის სოციალური და ეკონომიკური სფეროები

პაკისტანის ჯანდაცვის, განათლებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით აშშ 147.6 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს. ამ სფეროებში დახმარების შესახებ ხელშეკრულება ისლამაბადში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ქრისტინა როკას ვიზიტისას გაფორმდა.

**"აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო გამოჰყოფს 147.6 მილიონ დოლარს პაკისტანის განათლების, სამედიცინო მომსახურების, სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერისა და საარჩევნო პროცესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით,"** - განაცხადა ქრისტინა როკამ პაკისტანის ეკონომიკის მინისტრთან ჰინა რაბანი ხანთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ამ თანხის ყველაზე დიდი ნაწილი, კერძოდ, 67 მილიონი აშშ დოლარი განკუთვნილია პაკისტანის უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისათვის. მხარეები შეთანხმდნენ ასევე ბელუჯისტანისა და სინდის რაიონებში ასობით სკოლის შენობის რემონტზე. ყურადღება მიექცევა პაკისტან-ავღანეთის სასაზღვრო ზოლში არსებული სკოლების გარემონტების საკითხსაც. საგანმანათლებლო სფეროსთვის გამოყოფილი თანხის მცირეოდენი ნაწილი კი პაკისტანის უნივერსიტეტებში ასპირანტთა სწავლის დაფინანსებას მოხმარდება.

მთლიანი თანხიდან 51 მილიონი აშშ დოლარი ჯანდაცვის სფეროში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას დასჭირდება. ქრისტინა როკა, რომელიც ისლამაბადში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება, შეხვდება პაკისტანის პრეზიდენტს ფერვეზ მუშარაფს, პრემიერ-მინისტრს შაუკატ აზიზსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს.

დაბოლოს, პაკისტანის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიზიტის დასრულებამდე ისლამაბადი აპირებს ხელმეორედ დააყენოს საკითხი ამერიკულ ბაზაზე – გუანტანამო, ყურანის წაბილწვის ფაქტების შესახებ.

*რიანოვოსტი*

# კავშირი და დრაკონი

ბერნარ ბოტი
*ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი*

მაისში ჩინეთი და ევროკავშირი ოფიციალური ურთიერთობის 30 წლისთავს აღნიშნავენ. ამ დროის განმავლობაში უზარმაზარი ცვლილებები განხორციელდა როგორც თავად ჩინეთში, ასევე - მათ ურთიერთობაშიც. მაგრამ, როგორ განვითარდება მოვლენები მათ შორის მომდევნო 30 წლის განმავლობაში - ჩინეთი და ევროკავშირი ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან თუ პარტნიორები?!

უამრავი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი ჩინეთსა და ევროკავშირს, პირველ რიგში კი - ეკონომიკური. უკანასკნელ წლებში ჩინეთი საკმაოდ განვითარდა, მაგრამ სწრაფი ზრდა ყოველთვის იწვევს არასტაბილურობას, რომელიც ჩინეთმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს და დაძლიოს. მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებასთან ერთად ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს ეკონომიკის მზარდი ტემპი, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და მოაგვაროს სიღარიბისა და უთანასწორობის პრობლემა. ეს საკითხები საკმაოდ რთული გადასაჭრელია და ამიტომ, ჩინეთს მარტოს გაუჭირდება მათთან გამკლავება.

განუხრელი, უწყვეტი განვითარება სერიოზული ამოცანაა ჩინეთისთვისაც და ევროკავშირისთვისაც. ბოლოს და ბოლოს, უმთავრესი ფაქტორი იმისა, შეძლებენ თუ არა ჩვენი შვილები და შვილიშვილები უსაფრთხოდ, ჯანმრთელად და პროდუქტიულად ცხოვრებას, იმ ბუნებრივი ეკოსისტემების გამძლეობაა თანამედროვე ცივილიზაციის წნეხის წინააღმდეგ, რომელშიც მათ უწევთ არსებობა. გაერო-ს ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ჩვენ უკვე შევედით საშიშ ზონაში. სახმელეთო და საზღვაო ეკოლოგიური სისტემების უმრავლესობა საბოლოო განადგურების საფრთხის წინაშე დგას. თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას, რთული სათქმელია.

ჩინეთის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი უარყოფითი მხარე გახლავთ ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნა, რასაც შედეგად მოჰყვება CO?-ს ხშირი გამოყოფა. ჩინეთი თანდათანობით გაზისა და ნავთობის მსოფლიოს უმსხვილესი იმპორტიორი ხდება. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ ანგარიშში - "მსოფლიო ენერგეტიკის მიმოხილვა, 2004" გაკეთებული პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის ენერგიაზე გლობალური მოთხოვნა, დაახლოებით, 60 პროცენტით გაიზრდება. აქედან ზრდის მაჩვენებლის 2/3 ინდოეთსა და ჩინეთზე იქნება.

გლობალურ ენერგორესურსებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება ტრილიონი ევროს ღირებულების უზარმაზარი ინვესტიციები. იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ ჩვენ ცხოვრების წესს არ შევიცვლით, აირი CO?-ის გამოყოფის საგანგაშო მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში კატასტროფულად გაიზრდება. ამიტომ საჭიროა, ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო თანამშრომლობაში დაიწყოს ახალი ეტაპი ჩინეთის აქტიური მონაწილეობით.

რა თქმა უნდა, ჩინეთს, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, უფლება აქვს, საჭიროებისამებრ მოიძიოს ენერგორესურსები, მინერალები და სხვ. მაგრამ, თანამშრომლობის გარეშე მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ნავთობისა და გაზის ფასების კატასტროფულად ზრდა. ეკოლოგიური დაბინძურების გამო, ოფიციალურმა პეკინმა, შესაძლოა, კლიმატურ ცვლილებებთან გამკლავებაც ვერ მოახერხოს. ასეთ შემთხვევაში, ერთადერთ გამოსავლად ისღა რჩება, რომ ჩინეთმა კლიმატური ცვლილებები და ენერგორესურსების გონივრულად გამოყენება თავისი ეროვნული პოლიტიკური კურსის პრიორიტეტებად გაიხადოს.

ჩინეთმა უნდა დაარწმუნოს მსოფლიო საზოგადოება იმაში, რომ მისი გამოცოცხლება სხვებს ზიანს არ მიაყენებს. ამგვარად, თავისი პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ჩინეთი უნდა ეცადოს, მსოფლიო საზოგადობის ნდობა და მხარდაჭერაც დაიმსახუროს. ევროპელების უმრავლესობას სჯერა, რომ ჩინეთი არ ცდილობს მსოფლიო საზოგადოების გამოწვევას, პირიქით - მას უნდა, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო წესრიგის დაბალანსებაში, გაერო-ს გაძლიერებასა და მრავალმხრივი ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში. მაგრამ, "გლობალურ სოფელში" არასწორმა შეხედულებებმა და მიდგომამ შეიძლება საკმაოდ სერიოზული შედეგი გამოიღოს.

მნიშვნელოვანია ჩინეთის პოზიცია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ამბიციებთან დაკავშირებით, რაც მის მიერ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიმართ გამოჩენილ პასუხისმგებლობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. საერთაშორისო საზოგადოებას, ამ მიმართულებით, ჩინეთის აქტიური მონაწილეობის იმედი აქვს. თუ საჭირო გახდა, მან უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა და ფხვენიანი მოლაპარაკებაზე დაითანხმოს. აშკარაა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა თავად ჩინეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს: განიარაღებული კორეის ნახევარკუნძული, რომელიც გაერო-ს მხარდაჭერით სარგებლობს.

კონსტუქციული როლის შესრულება ჩინეთს სხვაგანაც შეუძლია. ირანთან ენერგეტიკის სფეროში ათწლიანი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩინეთს საშუალება აქვს, მხარი დაუჭიროს გაერო-ს, რომელიც ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერებას ცდილობს. ჩინეთის როლი მნიშვნელოვანია არა მარტო ირანთან მიმართებაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობაშიც. მით უმეტეს, რომ რეგიონული თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის ინტერესებში შედის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩინეთი მხარში დაუდგება ევროპასა და ამერიკას, რომლებიც ცდილობენ, თავიდან აირიდონ ირანის ბირთვული პროგრამის სამოქალაქო მიზნებისთვის გამოყენება.

გარდა ამისა, ევროპა და დანარჩენი მსოფლიო თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ აგვარებს ჩინეთი საშინაო საკითხებს, კერძოდ - ადამიანის უფლებების დაცვას. გასულ წელს ევროკავშირი მიესალმა ჩინეთის კონსტიტუციაში შეტანილ შემდეგ შესწორებას: "მთავრობა პატივს სცემს და იცავს ადამიანის უფლებებს". მაგრამ, მნიშვნელოვანია საქმე და არა - სიტყვა. ევროკავშირისა და ჩინეთის სამიტზე ჩვენ განვიხილეთ ჩინეთის მთავრობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაციის გეგმა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ჩინეთმა სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს, ეს რწმენის თავისუფლებაა. სხვადასხვა აღმსარებლობის პირთა დაუკითხავად, რელიგიური საზოგადოების წინასწარი რეგისტრაცია ადამიანის უფლებების დარღვევაა და დისკრიმინაციის ნიშნით ფასდება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება და შესაბამისი ცვლილებები ჩინეთის კანონსა და მის პრაქტიკაში ქვეყანაში სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს, გააიოლებს დიალოგს ჩინეთსა და ევროკავშირს შორის და, გარდა ამისა, გაზრდის ჩინეთის ავტორიტეტს.

დროა, შეიცვალოს ჯერ კიდევ 1985 წელს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება. ჩვენი ურთიერთობა, ძირითადად, ემყარება ეკონომიკურ პრიციპებს, შემდეგ კი განვითარდა სხვა მიმართულებითაც; კერძოდ - ტერორიზმის, მეკობრეობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე - სხვა საკითხები. საჭიროა, გაიმართოს სტრუქტურული დიალოგი, რომელიც ქვეყანაში ენერგერგორესურსების განუხრელ ზრდასა და გარემოს დაცვას შეეხება. ჩვენ გარემოსა და ენერგეტიკულ პრობლემებს რეალურად უნდა შევხედოთ: ესაა საფრთხე, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას.

უდავოა, რომ ჩინეთი ევროკავშირს მოლაპარაკებებისთვის სტაბილურ და ძლიერ პარტნიორად ჩათვლის. ევროკავშირი სხვადასხვა პირობას აყენებს იმ ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის, რომლებიც ორგანიზაციის წევრები არ არიან. ზოგიერთ საკითხს განხილვა არ სჭირდება, რადგან ისინი ევროპული მოდელის საყრდენია; მოდელისა, რომლის გაზიარებასაც ვცდილობთ მთელი მსოფლიოსთვის. ამ საკითხებში შედის - დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ტერორიზმის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება.

ევროკავშირის პოლიტიკური სტანდარტების დაკმაყოფილება ძალიან ძნელია, ხოლო თანამშრომლობის ნაყოფი – ტკბილი. თუ ჩვენს პრობლემებს თავადვე გავუმკლავდებით, ჩინეთსა და ევროპას შეუძლიათ, ოცდამეერთე საუკუნე იმედის საუკუნედ გადააქციონ.

**დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი შპს "ვექტორი"**

დამოუკიდებელი არასაუწყებო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი შპს "ვექტორი" დაარსდა 2005 წლის 7 თებერვალს. მის შექმნას არსებითად ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა დაცვაში სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულმა გარანტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ და დროის მოთხოვნამ. ცენტრი ლიცენზირებულია, შექმნილი აქვს ყველა სხვა პირობა სრულყოფილი მუშაობისათვის და ორიენტირებულია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მომსახურებაზე.

გთავაზობთ შემდეგი სახის საექსპერტო მომსახურებას:

I. ცოცხალი პირის სასამართლო-სამედიცინო შემოწმება-ექსპერტიზა

ა) ჯანმრთელობის ზიანის (სხეულის დაზიანება) ხარისხის, ხასიათის და ხანდაზმულობის განსაზღვრა;

ბ) ტრავმის შემდგომი გამოსავლის, ანუ საერთო შრომის უნარის მყარი დაკარგვის რაოდენობის გათვალისწინებით ჯანმრთელობის ზიანის (სხეულის დაზიანების) ხარისხის განსაზღვრა;

გ) არასაწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევაში, ანუ როდესაც დაზიანების მიღება არ არის დაკავშირებული მოქალაქის შრომითი მოვალეობის შესრულებასთან, საერთო და პროფესიული შრომის უნარის მყარი დაკარგვის რაოდენობის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა გარეშე მომვლელი, დამატებითი კვება, მკურნალობის საჭიროება და ა.შ.;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის რეკომენდაციები (მკურნალობის საჭიროება და ა.შ.);

ე) საქალწულე აპკის მთლიანობის და შეუღლების ფაქტის დადგენა;

ვ) გაუკულმართებული სქესობრივი კავშირის დადგენა (მამათმავლობა);

ზ) ორსულობის, ყოფილი მშობიარობის, თვითნებური აბორტის დადგენა და სხვა;

თ) ადამიანის რეპროდუქციული ფუნქციის, კერძოდ სქესობრივი შეუ4ღლების, განაყოფიერებიას, ჩასახვის უნარის დადგენა და სხვა;

ი) საეჭვო სქესობრივი მდგომარეობის დადგენა;

კ) სხვა სახის ცოცხალ პირთა შემოწმება-ექსპერტიზა.

II. გვამების სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა-ექსპერტიზა.

III. კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მასალებით (მაგ., ექსპერტიზა ე.წ. საექიმო საქმეების, ანუ არაჯეროვნად გაწეულ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით; ტრავმის განვითარების შესაძლო მექანიზმების განსაზღვრა და სხვ.).

IV. პრაქტიკული ხასიათის კონსულტაციები, მათ შორის წერილობითი ფორმით, ზოგადად სასამართლო მედიცინაში და კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.

ცენტრი იძლევა საქმიანობის მაღალი პროფესიონალური ხარისხის გარანტიას და პასუხისმგებელია შესრულებულ სამუშაოზე. **ალექსანდრე გეჯაძე**, ცენტრის დირექტორი უმაღლესი კატეგორიის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი 25 წ. სტაჟით, სახ. სერთიფიკატი: სერია I ა 65 №19544

ცენტრის მისამართი:
ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №16. სამკურნალო კომბინატის შენობა
(ყოფილი "ლეჩკომბინატი"). ტელ/ფაქსი: 30-00-22
ელ.ფოსტა: veqtor2005@rambler.ru

# აშშ-მ ჯაკარტაში დიპლომატიური მისია „დროებით დახურა"



ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერაქტების საფრთხესთან დაკავშირებით აშშ-მ ჯაკარტაში თავისი საელჩო, საკონსულო და ყველა სხვა წარმომადგენლობა დახურა "გაურკვეველი ვადით".

**"საელჩო ყველა ამერიკელს შეახსენებს, რომ ინდონეზიაში ტერორისტული საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. თავდასხმა, შესაძლოა, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას მოხდეს,"** - ნათქვამია ამერიკის საელჩოს განცხადებაში.

ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობები მას შემდეგ დაიხურა, რაც 8 დღის წინ ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინდონეზიის მთავრობა ქვეყანაში მოსალოდნელი ახალი ტერაქტის შესახებ გააფრთხილა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტერორისტული აქტების განხორციელებას "ალ კაიდასთან" დაკავშირებული ისლამისტი შეიარაღებული პირები გეგმავენ.

**"სადაზვერვო სამსახურის მონაცემების ანალიზის შედეგად უდავოა, რომ მზადდება ტერორისტული აქტების სერია, მაგრამ სამიზნეების დადგენა, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ხერხდება,"** - განაცხადა ეროვნული პოლიციის მეთაურმა, გენერალმა დაი ბახტიარმა.

პოტენციურ სამიზნეებად, სავარაუდოდ, სახელდება - საელჩოები, საერთაშორისო სკოლები, საოფისე შენობები და სავაჭრო ცენტრები, რომლებსაც უცხოელები ხშირად სტუმრობენ.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის 12 ოქტომბერს კამიკაძე-ტერორისტმა ინდონეზიის კუნძულ-კურორტ ბალიზე დასავლელ ტურისტებში პოპულარული ბარიააფეთქა. რამდენიმე წუთის შემდეგ ახლომდებარე ღამის კლუბთან უფრო ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. ტერაქტების შედეგად 202 ადამიანი, მათ შორის - 88 ავსტრალიელი, 7 ამერიკელი და 3 ახალზელანდიელი დაიღუპა.

გასული წლის 9 სექტემბერს კიდევ ერთმა კამიკაძემ ააფეთქა დანაღმული ავტომანქანა ჯაკარტაში ავსტრალიის საელჩოსთან, რის შედეგადაც 10 ადამიანი დაიღუპა და 180-ზე მეტი დაშავდა.

*24 საათი*

# ყირგიზეთი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება

ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და, რასაკვირველია, სამზადისიც უფრო ინტენსიური ხდება. 26 მაისს პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატთა წარდგენის ოფიციალური ვადა ამოიწურა. თუმცა, როგორც რესპუბლიკის ცენტრალური სარჩევნო კომისია იუწყება, იმ შეხვედრათა პროტოკოლების მიღება, სადაც კანდიდატურების დასახელება ხდებოდა, კიდევ 5 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ჯერჯერობით კი ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე წარდგენილია 26 კანდიდატურა. ამათგან 17-მა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე შეიტანა რეგისტრაციისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი.

ყირგიზეთის კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრაციის უფლების მოპოვებისათვის კანდიდატმა უნდა შეაგროვოს 30 000 ხელმოწერა, ჩააბაროს გამოცდა სახელმწიფო ენაში და, გირაოს ფორმით, გადაიხადოს 100 000 ყირგიზული სომი (დაახლოებით, 2 500 აშშ დოლარი).

კანდიდატთა მიერ საარჩევნო პროგრამაზე მუშაობის პარალელურად, საყოველთაო კენჭისყრისათვის დამკვირვებელთა კორპუსიც ემზადება. ცენტრალური აზიის ამ ქვეყანას, რომელმაც უკვე უკან მოიტოვა რევოლუციის ქარცეცხლი, დამკვირვებლებად ეუთო-ს წარმომადგენლებიც ეწვევიან.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო ყირგიზეთში საარჩევნო პროცესს დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად შეაფასებს.

**"ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სამართლებრივ ბაზაზე, საარჩევნო ადმინისტრაციისა და შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობაზე, წინასაარჩევნო კამპანიის კანონიერებაზე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სფეროში შექმნილ მდგომარეობასა და, ასევე, იმ დავათა გადაწყვეტაზე, რაც არჩევნებთან იქნება დაკავშირებული,"** - განაცხადა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა ლიუბომირ კოპაიმ ბიშკეკში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მივლინებულ დამკვირვებელთა მისია 15 ექსპერტისაგან შედგება. რამდენიმე დღეში მათ, გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე, დამატებით 26 დამკვირვებელი შეუერთდებათ, რომლებიც რეგიონებში იმუშავებენ. რაც შეეხება ხანმოკლე ვადით ჩამსვლელ დამკვირვებლებს, მათი რაოდენობა სულ 300 კაცს შეადგენს. ყირგიზეთში ისინი არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ჩავლენ.

დამკვირვებელთა მისიაში წარმოდგენილი პირები ეუთო-ს 21 წევრი-სახელმწიფოს მოქალაქეები არიან.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ლიბანი.** მუსლიმი შიიტების ლიბანური მოძრაობის "ჰეზბოლას" მეთაურის შეიხ ჰასან ნასრალის განცხადებით, მისი ორგანიზაცია 12 000-ზე მეტ რაკეტას ფლობს. მისივე თქმით, ამ ტიპის რაკეტების გავრცელების რადიუსის მიხედვით, ისრაელის ჩრდილოეთი ტერიტორია კონტროლდება. ნასრალის თქმით, "ჰეზბოლა", რომელსაც მხარს სირია და ირანიც უჭერენ, იარაღს ისრაელის წინააღმდეგ მხოლოდ თავდაცვის საჭიროებისას გამოიყენებს. მან ისიც აღნიშნა, რომ მუსლიმი შიიტების ორგანიზაცია იარაღს უბრძოლველად არავის დაუთმობს. როგორც ცნობილია, გასული წლის სექტემბერში მიღებული რეზოლუციით, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ლიბანიდან სირიის ჯარების გაყვანა და ექსტრემისტული დაჯგუფებების განიარაღება მოითხოვა. **ბიბისი**

■ ■ ■

**აფრიკა.** 27 ადამიანი - 22 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი დაიღუპა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოთხშაბათს მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად. როგორც იუწყებიან, კონგოს ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი "ან-12" ფრენის დროს, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზებით, დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა. მისი ეკიპაჟი მთლიანად რუსეთის მოქალაქეებისგან შედგებოდა. ამჟამად მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები, რომელშიც გაერო-ს მისიის თვითმფრინავები და ვერტმფრენები მონაწილეობენ. მოელიან, რომ დღეს კონგოს ხელისუფლება კატასტროფის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს. აფრიკული ავიახაზების ასოციაციის მონაცემებით, 1994-დან 2003 წლამდე აფრიკაში 210 ავიაკატასტროფა მოხდა. ამ კატასტროფების 60 პროცენტი ანგოლაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სუდანშია დაფიქსირებული. **ინტერ-პრესი**

# სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს

*მომავალი კვირიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფინანსურ პოლციასთან ერთად, რესტორნებში, ბაზრობებსა და მაღაზიებში ინტენსიური რეიდების ჩატარებას იწყებს. ეს ერთ-ერთი კომპონენტია იმ პროგრამისა, რომლის გატარებასაც სამინისტრო ქართული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ აპირებს. თუმცა, ექსპერტების მტკიცებით, ამ პრობლემიდან ყველაზე ეფექტური გამოსავალი ქართული ბრენდების განსახელმწიფოებრიობის პროცესის დაწყება იქნება.*

მარიამ ჭაჭავაძე

ქართული ღვინის ბრენდების კერძო კომპანიებისთვის, ქარხნებისთვის გადაცემის იდეა პირველად სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ გამოთქვა, რასაც დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილიც ეთანხმება. მართალია, ეს საკითხი სამინისტროში ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, თუმცა, როგორც აქ ამბობენ, ამ მიმართულებით ფიქრი და მსჯელობა პერმანენტულად მიმდინარეობს. შესაბამისად, ჯერ ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული, თუ რა ფორმით და პირობებით მოხდება ისეთი ცნობილი ბრენდების, როგორიც არის "ხვანჭკარას", "წინანდალის", "ქინძმარაულის", "ნაფარეულისა" და სხვების ღვინის მწარმოებელი კერძო კომპანიებისთვის ექსკლუზიურად გადაცემა. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ამა თუ იმ ბრენდის კონკურსში გამარჯვებული კომპანია ამ ბრენდის კონტროლსა და მისი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც იზრუნებს.

თუმცა, კონკურსის ჩატარება და მასში გამარჯვებულის გამოვლენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ბრენდის ჩამოსხმის უფლება მხოლოდ ამ უკანასკნელს ექნება. შესაძლოა, გამარჯვებულ კომპანიას მიეცეს უფლება, ამ ბრენდის ჩამოსხმაზე ლიცენზია თავად გასცეს, თანაც - ერთდროულად რამდენიმე მცირე საწარმოზე. მოკლედ, ეს ყველაფერი დღეს განსჯის საკითხია, თუმცა ღვინის მწარმოებელი თითქმის ყველა კომპანია თანხმდება იმაზე, რომ ზოგადად, ეს პროცესი მათთვის მისაღებია და რომ ეს ფალსიფიკაციას როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე მნიშვნელოვნად შეამცირებს. თუმცა, **"ამაზე გადაწყვეტილების მიღება ძალიან ფრთხილად უნდა მოხდეს. სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს ის ფორმები და პირობები, რის საფუძველზეც ამა თუ იმ კომპანიას გადასცემენ ლიცენზიას. რადგან შესაძლოა, ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ბევრი დიდი კომპანიის ბედი გადაწყვიტოს და ისინი სერიოზულად დააზიანოს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კომპანია "თელიანი ველის" გაყიდვების მენეჯერმა გოგა ყიფიანმა.

დღეს ღვინის ფალსიფიკაციის ძირითადი ნაწილი სწორედ ბრენდების გაყალბებაზე მოდის, ეს განსაკუთრებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიმჩნევა. მაგალითად: რუსეთის ბაზრები დღეს გაჯერებულია მოლდოვაში ჩამოსხმული "ხვანჭკარას" მარკის ღვინოებით, რაც ბევრად იაფი ღირს, ვიდრე მის გვერდით თაროზე შემოდგმული ქართული "ხვანჭკარა". დაახლოებით, იგივე სიტუაციაა ქართულ ბაზარზეც – აქ ამ მარკის იმაზე ბევრად მეტი ღვინო იყიდება, ვიდრე გასულ შემოდგომაზე ამ ჯიშის ყურძნის საერთო მოსავლის რაოდენობა დაფიქსირდა საქართველოში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" მონაცემებით, მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1 მილიონ ბოთლზე ცოტა ნაკლები "ხვანჭკარას" რეალიზაცია მოხდა.

გამოიწვევს თუ არა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა ღვინის ფასის მნიშვნელოვნად გაზრდას? სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხობს, რომ **"ეს პროცესი ღვინის ფასს არ გაზრდის, რადგან დღეს ძალიან ბევრ ქარხანას მის მიერ წარმოებული ნატურალური ღვინის დიდი ნაწილი სარდაფში აქვს შენახული, მეწარმეები მის რეალიზაციას სწორედ არსებული ფალსიფიკაციის გამო ვერ ახერხებენ. ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის შედეგად, გლეხს თეთრი ყურძნის გაყიდვის პრობლემა აღარ ექნება."**

ცნობისათვის: წელს ქართულ ღვინოებზე საზღვარგარეთ მოთხოვნა და, შესაბამისად, მიწოდებაც შარშანდელთან შედარებით თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა. თუკი გასულ წელს, პირველ სამ თვეში საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის მოცულობამ 472 ათას 543 დეკალიტრი შეადგინა, წელს, იმავე პერიოდში 640 ათასი დეკალიტრი დაფიქსირდა. წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, საექსპორტო ქვეყნებს შორის რუსეთი ლიდერობს, სადაც გატანილი ღვინის მოცულობამ წელს, შარშანდელთან შედარებით, თითქმის 150 ათასი დეკალიტრით გადააჭარბა. ამ ნუსხაში წელს მეორე ადგილი უკრაინას უკავია. ამ შემთხვევაში, გასული და მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ციფრების შედარება მეტად შთამბეჭდავია. შარშანდელი 19 ათას 800 დეკალიტრიდან წელს უკრაინაში ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 94 ათას დეკალიტრამდე გაიზარდა. არის თუ არა ამაში "ვარდებისა" და "ნარინჯისფერი" რევოლუციის უშუალო დამსახურება, ეს დღეს რთული გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც "24 საათს" სამინისტროში მიაწოდეს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: წელს პირველად, ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალში გამოჩნდა თურქეთი, სადაც იანვრიდან - აპრილამდე თითქმის 30 ათასი დეკალიტრი ღვინის რეალიზაცია მოხდა.

# სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მატარებლების ბილეთი არ გაძვირდება

საქართველოს რკინიგზა საზაფხულო სეზონისთვის აქტიურად ემზადება. მაისის ბოლოსთვის თბილისი-ბათუმის მიმართულებით რეისს შეასრულებს ახალი მატარებელი, რომელიც, საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, მთლიანად თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

მისი რეკონსტრუქცია დნეპროპეტროვსკის ქარხანაში ჩატარდა და ის საქართველოს რკინიგზას 6,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. მატარებელს მოემსახურებიან ახალი გამცილებლები, რომლებიც რკინიგზაში კონკურსის წესით შეირჩევიან.

მგზავრებს შესთავაზებენ მომსახურების სრულ პაკეტს, მათ შორის - საკვებით უზრუნველყოფას, ტელევიზორს და ვიდეოაპარატურას. ბილეთის ფასი, სავარაუდოდ, 50 ლარი იქნება.

გარდა ამისა, უკვე დაწყებულია და ზაფხულის სეზონის (20 ივნისი - 20 სექტემბერი) დადგომამდე თბილისში დასრულდება რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის რემონტი.

როგორც "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, ვაგზალზე დამონტაჟდება ღამის განათებები და გვიან ღამით იმუშავებს სპეციალური დაცვის სამსახური, რათა სადგურზე არ მოხვდნენ ე.წ ბომჟები.

საკურორტო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს საქართველოს რკინიგზის აჭარის წარმომადგენლობაში არსებული სარკინიგზო სადგურებისა და მეურნეობების განახლებაც. ქობულეთის სარკინიგზო სადგურში საექსპლუატაციო პირობების გასაუმჯობესებლად მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა: განახლდა სალიანდაგო პარკის ნაწილი, შეიღება სადგურის ცენტრალური შენობის სახურავი, კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარება შენობაშიც იგეგმება, მოწესრიგდა სადგურის განათება, დასუფთავდა ბაქნის მიმდებარე ტერიტორია და სხვა.

სადგურ ქობულეთში დღეისათვის ერთი საბილეთო სალარო ფუნქციონირებს, იგეგმება მეორე სალაროს ამოქმედებაც, სადაც ბილეთების დაჯავშნა 5 დღით ადრე იქნება შესაძლებელი.

"საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რომ წელს ბილეთების შეძენასთან დაკავშირებული ტრადიციული პრობლემებიც გადაიჭრება. მას შემდეგ, რაც გასულ ზაფხულს გაათავისუფლეს სამგზავრო განყოფილების მენეჯმენტი და მოლარეები, მგზავრებზე გაყიდული ბილეთების რაოდენობა 300 პროცენტით გაიზარდა.

რკინიგზაში იმასაც ამბობენ, რომ, რეალურად, გაყიდული ბილეთების რაოდენობის გათეთრება მოხდა, რაც იმ კორუფციული მომენტების ალმოფხვრის შედეგია, რომელიც საქართველოს რკინიგზაში მრავალი წლის მანძილზე იყო დამკვიდრებული.

საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ღამის სამგზავრო მატარებლებზე ბილეთის საფასური მოიმატებს და საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებას მიუახლოვდება. იმისათვის, რომ მატარებლით მგზავრობა სოციალურად დაუცველი ფენისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს, გაძვირება მხოლოდ ე. წ. "ეს-ვე" და კუპირებული ვაგონებით მგზავრობისათვის საჭირო ბილეთებს შეეხება, პლაცკარტის ტიპის ვაგონებით მზავრობისათვის კი იგივე დარჩება. მაგალითად, თბილისი-ბათუმის რეისზე "ეს-ვე" ბილეთის ფასი 13 ლარიდან 22 ლარამდე გაიზრდება, თუმცა, მასში შევა ის 2 ლარი, რასაც გამცილებლები არაოფიციალურად, თეთრეულისათვის იღებდნენ. კუპირებული ვაგონით მგზავრობის ბილეთის ფასი კი 8,5 ლარის ნაცვლად, 15-16 ლარი გახდება. სეზონის გასვლის შემდეგ ბილეთების ფასი საწყის ნიშნულს დაუბრუნდება.

*24 საათი*

# ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში ბრუნდებიან

დიანა ჩაჩუა

*უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში, ისრაელსა და ამერიკაში მოქმედი ებრაული კომპანიები საქართველოში უძრავი ქონების ბიზნესში 400 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავენ. გუშინ, საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატამ და ებრაელმა ინვესტორებმა, ახალი საინვესტიციო პროექტების სახით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მოულოცეს.*



იციკ მოშეს თქმით 2005 წელს ბიზნეს-პალატაში 30 ორგანიზაცია გაწევრიანდა.

**"ორი წლის წინ, ინვესტორების 70-მა პროცენტმა საქართველო მიატოვა. ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში ბრუნდებიან. ეს არის რევოლუცია ეკონომიკაში,"** - განაცხადა გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ მიღებაზე საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ.

მისი თქმით, ბიზნესმენების საქართველოში დაბრუნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა და კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებამ განაპირობა.

საინტერესოა, რომ იციკ მოშეს ინფორმაციით, საქართველოში ყოველდღე ერთი ებრაელი ინვესტორი მაინც ჩამოდის. საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტის თქმით, 2005 წელს ბიზნეს-პალატაში საქართველო-ისრაელს შორის ორმხრივი საქმიანი კავშირებით დაინტერესებული 30 ახალი ორგანიზაცია გაწევრიანდა.

ებრაელ ინვესტორებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, ებრაელი ინვესტორების საქართველოში დაბრუნება და ბიზნესურთიერთობები იმედს იძლევა, რომ ეს იქნება დიდი თანამშრომლობის საწყისი.

**"მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, მხარი დაუჭიროს თქვენ მიერ განხორციელებულ ყველა პროექტს არა მარტო უძრავი ბიზნესის სექტორში, არამედ სხვა მიმართულებებითაც,"** - აღნიშნა მან.

თავის მხრივ, ებრაელ ინვესტორებს მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციამ, საქართველოს სავაჭრო პალატამ და თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

ებრაულ კომპანიებს საქართველოში უკვე შეძენილი აქვთ 70 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც 800 ათასი კვადრატული მეტრი ფართი აშენდება.

**"ამ სექტორში ინვესტიციების განხორციელება დაგეგმილია კრწანისში, ქალაქის ცენტრში, ოქროყანაში, ტაბახმელაში და სხვა. თბილისის გარეუბნებში აშენდება ვილების დასახლება საკუთარი ინფრასტრუქტურით,"** - განაცხადა იციკ მოშემ.

გუშინვე ებრაელი ინვესტორების ერთ-ერთი პროექტის განხორციელება დაიწყო. გუდიაშვილის ქუჩაზე ებრაული ინვესტიციებით ბიზნეს-ცენტრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. კომპანია "არკადა" მასში 5 მლნ. დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

როგორც "არკადას" პრეზიდენტმა მეირ გურიმ განაცხადა, კომპანია მზად არის, მონაწილეობა მიიღოს გუდიაშვილის ქუჩის განვითარებაში და სამომავლოდ იქ განხორციელებულ პროექტებში პარტნიორული თანამშრომლობის პრინციპით იმოქმედოს.

გუშინ დაწყებული მშენებლობა, მაქსიმუმ, ორ წელიწადში დასრულდება, რის შემდეგაც თბილისს A კლასის ბიზნეს-ცენტრი ექნება ელიტარული მაღაზიებითა და გალერეებით.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის საზეიმო მიღებაზე ახალი ვებ-გვერდის პრეზენტაციაც მოეწყო. როგორც ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა განაცხადა, ინგლისურ და ქართულენოვანი ვებ-გვერდის მეშვეობით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, პალატაში გაერთიანებულ წევრთა და კომპანიათა საქმიანობის შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია მოიპოვონ.

**"საიტზე განთავსდება ინფორმაცია საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური ვითარების შესახებ, ასევე, ინფორმაცია საქართველო-ისრაელის ურთიერთობების შესახებ. საქართველოში ჩამოსულმა ბიზნესმენებმა უნდა იცოდნენ, რისი ცოდნაა საჭირო წარმატებული ბიზნესის განსახორციელებლად, და უნდა შეისწავლონ ადგილობრივი ბიზნეს-კულტურა. წარსულში ძირითად პრობლემას სწორედ ბიზნეს-კულტურათა შორის განსხვავება წარმოადგენდა,"** - განაცხადა იციკ მოშემ.

# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - მთავრობის ინიციატივის წინააღმდეგ

**შემოთავაზებული მოდელის ამოქმედებით, სახელმწიფო ქონების მართვაში საზოგადოების ჩართულობა საერთოდ გამოირიცხება**

*დაახლოებით ერთი თვის წინ, გაზეთმა "24 საათმა" შემოგთავაზათ მოკვლევა სახელმწიფო საწარმოებში მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობის შესახებ, რომელმაც ნათლად აჩვენა, რომ მათი ეფექტურობა აშკარად არაადეკვატურია იმ დანახარჯებისა, რასაც სახელმწიფო საწარმოები და, შესაბამისად, თავად სახელმწიფო ამ სამეთვალყურეო საბჭოების შესანახად ეწევა. სტატიაში აქცენტები იმაზეც გახლდათ გაკეთებული, რომ ამ საბჭოებში სახელმწიფო მოხელეები დამატებით ანაზღაურებას იღებენ, საზოგადოებრივი სექტორი კი, პრაქტიკულად, ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ამ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს: წარმოდგენილი ცვლილებები გვთავაზობს, სამეწარმეო იურიდიული პირების სამეთვალყურეო საბჭოების ფორმირების წესის შეცვლას იმ საწარმოებში, სადაც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწესდებო კაპიტალი 50 პროცენტზე მეტია. პროექტის თანახმად, ასეთ შემთხვევაში "სამეთვალყურეო საბჭო უნდა შეიქმნას ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თითო საჯარო მოხელისა და საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20 პროცენტის მფლობელის ერთი წარმომადგენლისაგან". ამ საკითხთან დაკავშირებით, თავისი დასკვნა მოგვაწოდა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:*

თამარ ივანიძე

"დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოთა კაპიტალის წილების და აქციების მართვას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საწარმოთა მართვის სააგენტო, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს განსახილველ საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლების კანდიდატურების შერჩევა-დანიშვნა, მათი საქმიანობის კოორდინაცია, მეთოდურ-საინფორმაციო უზრუნველყოფა. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის "სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმების წესის შესახებ" ბრძანებით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, სადაც შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, "საწარმოთა მართვის სააგენტოს" საზოგადოებაში წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო იმ საწარმოში, სადაც ასეთი ორგანო არ არსებობს, სააგენტოს წარმოადგენს საწარმოს დირექტორი.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, მათ შორის, იმ საწარმოებშიც, სადაც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტზე ნაკლებია. თუმცა, კანონპროექტის ავტორი აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობას ასაბუთებს იმ არაეფექტური დანახარჯებით, რაც ამ სისტემას თან ახლავს (განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე") - სამეთვალყურეო საბჭოების წარმომადგენლების ხელფასი, საოფისე და, ხშირად, ავეჯისა და ფართის ხარჯი, და ა.შ. ამასთან, მიუთითებს თვით არსებული მართვის სისტემის არაეფექტურობაზე, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს წევრები საწარმოთა შენობებშივე არიან განლაგებული და პირდაპირ ერევიან საწარმოს ოპერატიულ მართვაში. ასევე, სისტემის არაეფექტურობის მიზეზად სახელდება წარმომადგენლების მხრიდან სახელმწიფო უწყებების კონკრეტული ამოცანების შესახებ ინფორმაციის უქონლობა და, შედეგად, სახელმწიფო ინტერესების დაცვის დაბალი ხარისხი.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები მიუთითებს საწარმოთა მართვის სააგენტოს საქმიანობის არაკოორდინირებულობასა და არაეფექტურობაზე და არა თვით სისტემის არაეფექტურობაზე. თავისთავად ცხადია, რომ, თუ არსებობს ცალკე სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული იურიდიული პირი, რომელსაც დელეგირებული აქვს მთელი ამ სისტემის კოორდინაცია, შესაბამისად, მასვე უნდა მოეთხოვოს სისტემის ეფექტურად ამუშავება და სახელმწიფო არ უნდა იწყებდეს ფიქრს ამ სფეროში პირდაპირი მმართველობის დამყარებაზე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში წარმოდგენილი მოხელეები ანაზღაურების გარეშე შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუმცა, კანონმდებელი არ აკონკრეტებს, ესა თუ ის მოხელე მხოლოდ ერთ საწარმოში იქნება წარმოდგენილი თუ რამდენიმეში ერთად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოხელემ შეძლოს თავისი სხვა (ე.წ. ანაზღაურებადი) ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. მოხელე თუნდაც მხოლოდ ერთ საწარმოში იყოს წარმოდგენილი, მისი წარმომადგენლობითი ვალდებულებები არ იქნება იმდენად მცირე, რომ მან სხვა სამსახურებრივი მოვალეობები არ დააზიანოს. აქვე, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა რაოდენობა, გაწვდება კი სამინისტროები (ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და შესაბამისი დარგობრივი) თავიანთი საშტატო ერთეულებით ყველა საწარმოში წარმომადგენლების დანიშვნას, თუ მოუწევს ახალი საშტატო ერთეულების შემოღება (ეს კი ისევ საბიუჯეტო ხარჯებამდე მიგვიყვანს), თითოეული მოხელისთვის დამატებითი ვალდებულების შექმნით საფრთხე ხომ არ ექმნება საჯარო ინტერესებს. ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს რეგიონებში არსებული საწარმოები, აქვს კი ზემოთ ჩამოთვლილ სამინისტროებს ტერიტორიული ორგანოები და, შესაბამისად, ჰყავს თუ არა მოხელეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს წარმომადგენლობას, თუ ეს ყველაფერი ცენტრალურ დონეზე განხორციელდება (რაც, თავის მხრივ, ალბათ, კვლავ დამატებით ხარჯებამდე მიგვიყვანს).

იმის გათვალისწინებით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, მინიმუმ, სამი წევრით განისაზღვრება და პრაქტიკაში (მით უმეტეს, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში), ძირითადად, ეს საბჭოები მხოლოდ სამი წევრით არის წარმოდგენილი, მოცემული კანონპროექტის თანახმად, შეიძლება შეგვექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ საწარმოს - კერძო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი მართვის ორგანო წარმოდგენილი იქნას მხოლოდ მოხელეებისგან, ხოლო იმის ალბათობა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდეს მოხელე, უფრო მაღალია. აშკარაა, რომ მართვის ასეთი ორგანო დამოუკიდებლობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ასეთი პირობების შექმნით სახელმწიფო ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემოს შექმნას.

აქვე, თუ განვავითარებთ იმ აზრს, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მატერიალური სიკეთე საჯარო ინტერესის სფეროში ექცევა და ამ მხრივ საჭიროა სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული ამ ქონების განკარგვასა და მართვაში იმ საწარმოებში, სადაც სახელმწიფოს წილი ჭარბობს, ამ მოდელის ამოქმედებით საზოგადოების ჩართულობა საერთოდ გამოირიცხება.

ვეყრდნობით რა აღნიშნულ არგუმენტებს, საქართველოს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" არ ეთანხმება წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას."

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თბილისი, 27 მაისი 2005

## სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

**მიმდინარე წლის 16 ივნისს, 19 საათზე დანიშნულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭოს ანგარიში 2004 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.
2. სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის ანგარიში 2004 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
3. საერთაშორისო აუდიტორული კომპანია "Ernst &Young Audit LLC"-ს დასკვნა სს "საქართველოს ბანკის" მიერ 2004 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
4. სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის წევრისთვის ვადის გაგრძელების შესახებ.

სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭო და მმართველთა საბჭო 2005 წლის 16 ივნისის აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს წარუდგენს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

სს "საქართველოს ბანკის" 2004 წლის საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
- დამტკიცდეს საქართველოს ბანკის მმართველთა საბჭოს საანგარიშო მოხსენება 2004 წლის საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის ანგარიში 2004 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს აუდიტორული კომპანია "Ernst &Young Audit LLC"-ს მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა 2004 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

- სს "საქართველოს ბანკის" სარევიზიო კომისიის წევრს - ბ-ნ თემურ ხორხომელიძეს გაუგრძელდეს კომისიის წევრობის ვადა ოთხი წლით.

აქციონერთა საერთო კრება გაიმართება სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, თბილისი, პუშკინის ქ. N 3

"ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების, გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მოსაწვევთა დაგზავნის პროცედურების შესახებ" წესების შესაბამისად აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2005 წლის 17 მაისი, 17 საათის მდგომარეობით.

აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას მიმდინარე წლის 6 ივნისიდან სს "საქართველოს ბანკის" აქციების რეგისტრატორთან - სს "კავკასრეესტრი", შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 74ა.

# საკონსტიტუციო სასამართლომ "ორმოცდაათიანელთა" სარჩელი დააკმაყოფილა

*საკონსტიტუციო სასამართლომ რელიგიური გაერთიანება "ორმოცდაათიანელების" პასტორის ნიკოლაი კალუცკის სარჩელის განხილვა დაასრულა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კალუცკის სარჩელი დაკმაყოფილებულია.*



*სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კალუცკის სარჩელი დაკმაყოფილებულია.*

ვახო [illegible] ფოტო

რელიგიური გაერთიანება "ორმოცდაათიანელების" პასტორმა ნიკოლაი კალუცკიმ და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტმა" სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 2004 წლის აგვისტოში შეიტანეს. ისინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 199-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობასა და გაუქმებას ითხოვდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლი რელიგიური ორგანიზაციების საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირებას ითვალისწინებდა და - არა რელიგიურ ორგანიზაციად. კანონის თანახმად კი, საჯარო სამართლის ორგანიზაციები იქმნება პრეზიდენტის ბრძანებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

კალუცკისა და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა სარჩელის მიხედვით კი, რელიგიური ორგანიზაციების საჯარო სამართლის პირის სტატუსით დარეგისტრირების მოთხოვნა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან იგი რელიგიურ ორგანიზაციებს კონკრეტული ფორმით დარეგისტრირებას ავალდებულებს, რაც გაერთიანების თავისუფლებას ზღუდავდა.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანამდე – 2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებების ძალით, რელიგიურ ორგანიზაციებს საქართველოში კერძო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების უფლება მიენიჭათ; ანუ, ფაქტობრივად, ის პრეტენზიები, რომლებსაც კალუცკი და თავისუფლების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს უყენებდნენ, დაკმაყოფილებულ იქნა.

მიუხედავად ამისა, მოსარჩელეებმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის არსებითი განხილვა მაინც მოითხოვეს, რაც სასამართლომ გაითვალისწინა კიდეც.

ოთხშაბათს საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მოსარჩელე მხარეს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიორგი მელაძე წარმოადგენდა. მისი განმარტებით, სადავო მუხლებით, საქართველოში რელიგიური გაერთიანებებისთვის რეგისტრაციის უფლება შეზღუდული იყო, რაც, მისი განცხადებით, "ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის ნორმებს სიტყვის, აზრის გამოხატვისა და რწმენის თავისუფლების თაობაზე".

მისივე თქმით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის აპრილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რის საფუძველზეც, კოდექსიდან სადავო მუხლები უკვე ამოღებულია.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოისმინა თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის, გიორგი მელაძის განმარტებები, დაეთანხმა მოსარჩელე მხარეს და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები უკვე შეტანილია. შესაბამისად, საკითხი განხილვას აღარ საჭიროებს და იგი მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ ავტომატურად არის დაკმაყოფილებული.

საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოო განჩინებას 12 ივნისს გამოაცხადებს.

*24 საათი*

# გენერალურმა პროკურორმა შეცდომა გამოასწორა

*"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების მიერ სამი დღის წინ ატეხილმა ხმაურმა შედეგი გამოიღო. გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა საკუთარი შეცდომა თავადვე გამოასწორა. "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების მიერ ზურაბ ადეიშვილის ხელმოწერილი დოკუმენტის გახმაურებისა და გაპროტესტებიდან მესამე დღეს გენერალურმა პროკურორმა საკუთარი დადგენილების გასაუქმებელად ახალი დადგენილება გამოსცა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ეხება, ნარკოტიკის ყიდვა-გაყიდვის ბრალდებით, საკუთარ სახლში დაკავებულ მამუკა ჩუბინიძეს, რომელიც, "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების მტკიცებით, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მამუკა დავითინიძემ აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად სასტიკად აწამა. მას შემდეგ კი, რაც მამუკა ჩუბინიძემ ადვოკატთან და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა მას კიდევ სცემა. ცემის შედეგად მიღებული დაზიანებები დაფიქსირებული იყო შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის ჟურნალშიც. სწორედ იქ გადაიყვანეს მამუკა ჩუბინიძე სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებიდან. ამის მიუხედავად, გენერალურმა პროკურორმა ხელი მოაწერა დადგენილებას, რომელშიც ეწერა, რომ დაკავებულმა დაზიანებები იზოლატორში თავად მიაყენა საკუთარ თავს, შემდეგ გაურიგდა იზოლატორის უფროსს – თითქოს, ეს დაზიანებები მას იზოლატორში შეყვანისას უკვე ჰქონდა. ამავე დადგენილების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო დროებითი დაკავების იზოლატორის თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელმაც პოლიციის განყოფილებიდან შეყვანილი დაკავებულის სხეულის დაზიანებები დააფიქსირა. ზურაბ ადეიშვილმა გუშინ სწორედ ეს დადგენილება გააუქმა.

საქმე ისაა, რომ მიუხედავად ადვოკატის მრავალგზის მოთხოვნისა, მამუკა ჩუბინიძის საქმის გამომძიებელს საჭიროდ არ ჩაუთვლია, დაკავებულისთვის ჩაეტარებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის მიერ ნაცემ პატიმარს ექსპერტიზა მხოლოდ საქმეში "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების ჩარევის შემდეგ ჩაუტარდა. "თავისუფლების ინსტიტუტის" მოთხოვნით, დაკავებულთან ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათიის" წევრები დაუშვეს. ექსპერტიზის დასკვნამ მამუკა ჩუბინიძის ცემა-წამების ფაქტი დაადასტურა. ექიმი-ექსპერტები, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ჩუბინიძესთან, ირწმუნებიან, რომ დაკავებული საკუთარი თავისთვის ასეთი მძიმე სახისა და კატეგორიის დაზიანებების მიყენებას, პრაქტიკულად, ვერ მოახერხებდა. ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათიის" მიერ შედგენილი დასკვნის შესახებ "24 საათი" რამდენიმე დღის წინ დეტალურად წერდა.

"თავისუფლების ინსტიტუტმა გენერალურ პროკურატურას მართა და პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის მამუკა დავითინიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. დამნაშავე პოლიციელის მიმართ მართლაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მასზე ძებნაც გამოცხადდა. თუმცა, მოგვიანებით გენერალურმა პროკურატურამვე პოლიციელის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად დახურულად გამოაცხადა.

სწორედ ამიტომ დაუპირისპირდა "თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალურ პროკურატურას და რამდენიმე დღის წინ გენერალური პროკურორი ადეიშვილი სასტიკ მოპყრობასა და წამებში ბრალდებული პოლიციის მაღალჩინოსნების მფარველობაში დაადანაშაულა.

**"ძალიან ცუდია, როცა გენერალური პროკურორი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს აწერს ისეთ აბსურდულ და ტყუილ დადგენილებას, როგორიც მამუკა ჩუბინიძის ცემა-წამების ფაქტზე შედგა და რომელსაც "თვითწამებისა" და "თვითდაზიანების" ინტერპრეტაცია მიეცა. მაგრამ, კარგია, როცა გენერალური პროკურორი მოგვიანებით მაინც ახდენს რეაგირებას და ხმაურის ატეხვისა და გასაჯაროების შემდეგ თავადვე აუქმებს ამ აბსურდულ დადგენილებას. როგორც ჩანს, ყველა დარღვევის ფაქტზე უფრო მეტი ხმაურია საჭირო. სამწუხაროა, რომ ჩვენ ჯერ არ გვინახავს გენერალური პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებები, რომლის საფუძველზეც, დაისჯებიან წამებასა და სასტიკ მოპყრობაში ბრალდებული მაღალჩინოსანი პოლიციელები, რომლებიც, თუნდაც მხოლოდ "თავისუფლების ინსტიტუტმა" არაერთხელ ამხილა კონკრეტული ფაქტებით,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა თეა თუთბერიძემ.

რა მოტივით გააუქმა გენერალურმა პროკურორმა თავისივე ხელმოწერილი დადგენილება ახლად გამოტანილი დადგენილებით, "24 საათისთვის" უცნობია - ისევე, როგორც ძველი დადგენილების გასაუქმებლად გამოცემული ახალი დადგენილების შინაარსი.

# ელისტაში მილიციელებმა ყალმუხეთის პრეზიდენტის ვაჟს სცემეს

გასულ კვირას მილიციის თანამშრომლებმა ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვაჟს, 16 წლის დავით ილუმჟინოვს სცემეს. მასთან ერთად ნაცემია მისი ორი მეგობარი. ახალგაზრდების ცემაში ოთხი ნასვამი მილიციელი მონაწილეობდა, მათ შორის - ელისტის კრიმინალური მილიციის უფროსი.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდები ქუჩის რბოლაში მონაწილეობდნენ. საამისოდ ელისტის მერიას სპეციალური ადგილი აქვს გამოყოფილი ქალაქგარეთ, ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე. აეროდრომის მახლობლად კი მილიციელები ქეიფობდნენ. საინფორმაციო საშუალებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გადაწყვიტეს, ახალგაზრდების საბუთები და მანქანის საბარგული შეემოწმებინათ. დავით ილუმჟინოვმა მათ თავისი ვინაობა აცნობა და სთხოვა, რბოლაში მონაწილეობის გაგრძელების საშუალება მიეცათ. პასუხად კი მილიციელებმა მასაც და მის მეგობრებსაც სასტიკად სცემეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვეს.

საქმე ამით არ დასრულებულა - ცოტა ხნის შემდეგ მილიციელები ახალგაზრდებს დაედევნენ. დევნისას მანქანა, რომელშიც ილუმჟინოვი იჯდა, გადატრიალდა და, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები დაშავდნენ, მთვრალმა მილიციელებმა მათ კვლავ ცემა დაუწყეს. სამივე ახალგაზრდა ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობს.

მომხდართან დაკავშირებით, ცხადია, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 25 მაისს დააკავეს კიდეც მილიციის სამი ოფიცერი, მათ შორის - კრიმინალური მილიციის უფროსიც. მეოთხე მილიციელი, იმის გამო, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არის გასული, ჯერ არ დაუკავებიათ.

ანონიმური წყარო რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატიდან იუწყება, რომ ყლმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა მილიციელების მიერ შვილის ცემის შემდეგ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა და ყალმუხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება სთხოვა.

ოფიციალურად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია არც ცემის ფაქტზე აკეთებს კომენტარს და არც ილუმჟინოვის თხოვნის თაობაზე.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible]);
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე [illegible] შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".


# ჭუბურხინჯში ქართული და აფხაზური მხარეების მორიგი შეხვედრა შედგა

მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა, ქართულ მხარეს ჭუბურხინჯის ტრადიციული შეხვედრის გადადება გუშინ არ მოუთხოვია, რადგან აფხაზურ მხარესთან მათ საკითხთა საკმაოდ ფართო სპექტრი ჰქონდათ განსახილველი.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ გალის რაიონის რამდენიმე სოფელში ბოლო დროს მომხდარი ყაჩაღობების და გატაცებების საკითხის გამოძიება კატეგორიულად მოითხოვა, კერძოდ - გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან ქვემო ბარღებში მცხოვრები დავით კიკალიას გატაცების საქმის გამოძიება. შეგახსენებთ, რომ დავით კიკალია ჯერაც არ არის გათავისუფლებული. ქართული მხარე მის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს და აფხაზ სამართალდამცველებს გატაცებულის ადგილსამყოფელის დადგენაში დახმარებას სთხოვს.

გარდა ამისა, გუშინ დაიწყო რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის პირადი შემადგენლობის გეგმიური როტაცია. 500 ჯარისკაცი, რომელიც უკვე ჩამოსულია მაიკოპიდან, სოფელ ურთას ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის შტაბში განთავსდება, რის შემდეგაც მოხდება მათი გადანაწილება სამხრეთ ზონაში მდებარე სამშვიდობო ძალების ბლოკ-საგუშაგოებზე.

ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, გეგმიური როტაცია 26 მაისს შემთხვევით დაემთხვა და ქართულ მხარეს, ამის გამო, პროტესტი არ გამოუთქვამს. მისივე თქმით, სამხედრო და საჰაერო ტექნიკის გამოყენება როტაციის დროს დაგეგმილი არ არის და ჩანაცვლება მხოლოდ სამხედრო მანქანების გამოყენებით განხორციელდება. ქალაქში გარკვეული დროის განმავლობაში იმოძრავებს რუსული სამხედრო მანქანები, რომლებიც 500 ჯარისკაცს მდინარე ენგურის ხიდიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთას შტაბის მიმართულებით გადაიყვანს. **ინტერ-პრესი**

# შავი ფულის გათეთრებას კონფერენცია მიეძღვნა

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური საეჭვო წარმომავლობის ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციებს სისტემატურად ამუშავებს. მოპოვებული 10 ათასზე მეტი ინფორმაციიდან 8 საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა გეგუჩაძე საანგარიშო მოხსენებით წარდგა რეგიონულ კონფერენციაზე - "ფულის გათეთრების საკითხები, დაზღვევა", რომელიც საქართველოს გენერალური პროკურატურის, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით ეროვნულ ბანკში მიმდინარეობდა. ნიკა გეგუჩაძემ ყურადღება ფულის გათეთრებასა და გადასახადებისგან თავის არიდების ოფშორულ სქემებზე გაამახვილა.

მან აღნიშნა, რომ კონტროლი უნდა გაძლიერდეს ოფშორულ სადაზღვევო და გადამზღვევ კომპანიებზე. ნიკა გეგუჩაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში დაზღვევისა და გადაზღვევის დანაშაულებრივი სქემების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დახვეწის მიზნით, დაგეგმილია მუშაობის გაგრძელება რეგიონული კონფერენციის ცალკეულ სექციებში. **პრაიმ-ნიუსი**

# აფხაზები გალში ძალადობის ფაქტებს უარყოფენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ხეცია გალის რაიონში, ეთნიკური ნიშნით, ძალადობის ფაქტების გახშირებას უარყოფს.

"გალის რაიონში ეთნიკური ნიშნით ძალადობის არანაირ ფაქტებს ადგილი არ აქვს", - განაცხადა ოთარ ხეციამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას საპროტესტო განცხადების კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც, მარტო გასულ კვირას, ფულის გამოძალვის მიზნით, გალის რაიონში 3 ქართველი გაიტაცეს.

ხეციას მტკიცებით, "აფხაზმა სამართალდამცველებმა ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს მოქალაქე კეკუა და მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც აფხაზეთის გენერალური პროკურატურა იძიებს." ამასთან, მისი ინფორმაციით, კეკუასთან დაკავშირებული ინციდენტი "ერთადერთი შემთხვევა იყო, რაზეც აფხაზმა მილიციელებმა რეაგირება ოპერატიულად მოახდინეს".

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელოს რეგიონში დაჭრილი მოქალაქე კეკუა აფხაზეთის ერთ-ერთ საავადმყოფოშია მოთავსებული და მის უსაფრთხოებას აფხაზი მილიციელები უზრუნველყოფენ.

გალის რაიონში მოქალაქეთა გატაცების ფაქტების გახშირებასთან დაკავშირებით გიორგი ხაინდრავამ საქართველოში გაერო-ს სპეცწარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინის საპროტესტო წერილით მიმართა. მან გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის და საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის ამოქმედების დაჩქარება მოითხოვა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ცემისთვის და ყაჩაღობისთვის მარტვილის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 25 წლის ვარლამ ჩალიგავა, რომელიც 4 თებერვალს დიმიტრი კიტიასთან და არჩილ ალასანიასთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში მცხოვრებ ლალი კოტიას, რომელიც სასტიკად აწამეს, მიაყენეს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 6000 ლარი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად თბილისში, მეტროს სადგურ "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ვანის რაიონის სოფელ საპრასიაში მცხოვრები, 44 წლის მერაბ ხურციძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.043 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვლადიმერ გევორქიანი, რომლის ავტომანქანიდან "გაზ-2410" ამოღებულია 2 ცალი გადაჭრილი სანადირო თოფი ვაზნით, აგრეთვე - გადაკეთებული საფანტის პისტოლეტი „ვალტერი" მჭიდით და 2 ვაზნით. **მედიანიუსი**

# „ანტინომენკლატურული რევოლუციები" - პოსტსაბჭოური ელიტათა ლეგიტიმურობის კრიზისი

*ყირგიზეთის რევოლუციით, რომელსაც მისმა ავტორებმა სახელწოდებაც ვერ მოუძებნეს ("ნარცისულიდან" - "ტიტებოვანამდე"), საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ყოველ შემთხვევაში პოსტსაბჭოურ სივრცეზე, ფუკუიამას სქემებით ოპერირება მართლაც კონტრპროდუქტულია, ანუ "ისტორიის დასასრულზე" საუბარი მეტად ნაადრევია. პირიქით, გარკვეული აზრით, ისტორია სწორედ ახლა იწყება და ერთობ საინტერესოც. აქვე: ცნობილი წყევლა - "შენ გეცხოვროს საინტერესო დროში" - განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანებზეა გათვლილი და მათივე შექმნილია, თორემ საქართველოს უახლესი ისტორია საპირისპიროს ამტკიცებს: საბედნიეროდ, ქართველთა უმრავლესობა სწორედ "საინტერესო დროში" ამჯობინებს ცხოვრებას და "უძრაობის ჭაობს" - "მოძრაობა და მოძრაობა" ურჩევნია.*

ნიკა იმნაიშვილი

## "ნაჯახით ვერამოჭრილი"

მას შემდეგ, რაც საკუთრივ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესთა "ძირითადი ტენდენცია" მთლიანად დადასტურდა, ხოლო უმწეოდ კომიკური "კბილთა ღრჭენა" სულ უფრო მატულობს, - ალბათ უპრიანია "გარემო სივრცეში" მიმდინარე პროცესთა ანალიზი, რაკი ამ პროცესებს (უდავოდ!) საქართველოს "ვარდების რევოლუციამ" დაუდო სათავე.

ეს საკითხი სჯობს, უფრო თეორიულ პრობლემად განვიხილოთ, რაკი იმას, რაც მოხდა და ხდება, ელემენტარულად ახსნა სჭირდება - "რატომ და რის შედეგად". ყოველ შემთხვევაში იმ აზრით მაინც, რომ ადამიანის ბუნებრივი ინტელექტუალური მოთხოვნილებაა, ესმოდეს გარემო, რომელშიც ცხოვრობს.

აქვე: ძალზე ნიშანდობლივია მრავალი ცნობილი პოლიტოლოგის (არა მხოლოდ ქართველისა და რუსის) არცთუ იოლად შესამჩნევი გაღიზიანება "ვარდების რევოლუციით", მით უმეტეს, რევოლუციურ პროცესთა ტრიუმფალური სვლით პოსტსაბჭოურ სივრცეზე, - რაკი ბევრი მათგანისათვის ეს ყოველივე აბსოლუტურად მოულოდნელი იყო! უფრო მეტიც - როგორ არ გაღიზიანდებიან, როდესაც ჩვეული აპლომბით გამოთქმული პროგნოზები ხუხულასავით დაენგრათ. არადა, "რაც კალმით დაიწერების..." განა თავად არ ამტკიცებდნენ, რომ "არაფერი მსგავსი საქართველოში უკვე არ შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ არ შეიძლება მოხდეს არასდროს". შემდგომ "არაფერი მსგავსი იმისა, რაც მოხდა თბილისში, არ შეიძლება მოხდეს ბათუმში, იმიტომ რომ... არ შეიძლება მოხდეს უკრაინაში, იმიტომ რომ... არ შეიძლება მოხდეს ცენტრალურ აზიაში, რადგან..."

დღეს უკვე ერთგვარი თრთოლვით ამბობენ, რომ "ბელარუსი საეჭვოა", ხოლო რუსეთზე "ოცნება თუ შეიძლება". თავის მართლების ინტონაციით გამოთქმული სენტენცია, რომ "პოლიტოლოგიაში პროგნოზები უმადური საქმეა", რეალურად არაკომპეტენტურობის გამოვლინებაა, რადგან სინამდვილეში ის, რაც ხდება, ისტორიაში "ობიექტურ ფაქტორთა" როლის დაკნინება და "შემთხვევითობათა აპოლოგია" კი არ არის, არამედ იმის გამოვლინებაა, რომ პროგნოზთა ავტორები უბრალოდ ვერ ამჩნევდნენ იმ რეალურ ფაქტორებს, რომლებიც თანდათანობით გროვდებოდნენ მრისხანე მასად და ერთ-ერთ უმთავრესს - "ადამიანურ ფაქტორს" თუ ელოდნენ, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად გაჩნდება იმ ვითარებაში, როდესაც სხვა ფაქტორების ერთობლივი "მასა" გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს.

ამ საზოგადოებრივ მიმართებებს მთელი მეცნიერება - ისტორიის ფილოსოფია სწავლობს და მოკრძალებულ მიმოხილვით სტატიაში, რა თქმა უნდა, მას ვერ შევბედავთ. ამიტომ მხოლოდ საერთო მახასიათებლის ძიებით შემოვიფარგლოთ და ვცადოთ, "გამორიცხვის მეთოდით" მივაგნოთ იმ "მიზეზ-შედეგობრივ ღერძს", რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საზოგადოებაში, თვისებრივად განსხვავებულ სოციუმებში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებს აერთიანებს.

## საერთო მნიშვნელი

საქართველოს (თბილისისა და ბათუმის), უკრაინისა და ყირგიზეთის მოვლენების განზოგადება როგორ არ ხდება, მაგრამ ხდება სქემატურად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "უკანა რიცხვით" ცდილობენ პოლიტოლოგიურ "პროკრუსტეს სარეცელში" ესოდენ მრავალფეროვანი და რთული პროცესის ჩაკირვას. შესაბამისად, გამომუშავებული ლოზუნგურ-სენტიმენტალური ტრაფარეტები ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, თუკი წარმატებულ რევოლუციებს - წარუმატებელ ანალოგებს შევუპირისპირებთ. მაგალითად, ერთი შეხედვით ხომ ყველა "ფაქტორი" არსებობდა საიმისოდ, რათა აზერბაიჯანშიც მომხდარიყო რევოლუცია? ანუ არსებობდა ყველა ის პირობა, რამაც საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობა განაპირობა. მაგრამ იქ "რატომღაც" ვერ განხორციელდა. ქუჩაში გამოსულ "ხალხს" სპეცდანიშნულების რაზმებმა ცხვირპირი დაამტვრიეს და ილხამ ალიევისათვის მამობრივი ხელისუფლების გადაცემა უზრუნველყვეს. არადა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, თითქოს ქუჩაში იმაზე ნაკლები ხალხი გამოვიდა, ვიდრე თბილისში, ან თუნდაც ბიშკეკში. რომ დასცლოდათ, იქაც გამართავდნენ მრავალასეულათასიან მიტინგებს და, საბოლოოდ, შტურმით აიღებდნენ პრეზიდენტის რეზიდენციას.

კი მაგრამ, თუკი "არჩევნების გაყალბება" და "კორუმპირებული კლანური მმართველობა" მთავარი პირობაა, მაშინ უფროსი ალიევის მიერ თავისი შვილისთვის ხელისუფლების გადაცემა რით იყო კუჩმას მიერ იანუკოვიჩისათვის ძალაუფლების გადაბარებაზე "უკეთესი" - არანაკლებ გაყალბებული არჩევნების შედეგად? ნუთუ მთავარი ფაქტორის როლი იმ გარემოებამ შეასრულა, რომ ბიშკეკში, პრეზიდენტის რეზიდენციის წინ, ცხენი გაჭენდება (აჭენებდნენ კიდეც), ანუ ბევრად რთულია შენობისკენ დაძრული მასისთვის "არაცეცხლსასროლი" წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო ბაქოში, ალიევთა რეზიდენციასთან მისვლამდე, ჯიხვი ფეხს მოიმტვრევს? სულელური წვრილმანია? ნუ ავჩქარდებით. და ნურც იმას დავიჯერებთ, თითქოს საქართველოში და აზერბაიჯანში ამერიკას სხვადასხვა ჰიპნოზიტური უნარის მქონე ელჩები ჰყავდა და ჰყავს. ანუ, ბაქოში ამერიკის ელჩმა (რაკი ნავთობმწარმოებელ აზერბაიჯანში დესტაბილიზაცია "არ აწყობდათ") განსაკუთრებული ენერგია "გამოასხივა" და აზერბაიჯანულ "სპეცნაზს" აბობოქრებულ მასათა დარბევის უნარი შემატა. აი, რიჩარდ მაილსმა კი, პირიქით, რაღაც იეზუიტური ინტრიგის შედეგად, საქართველოში რევოლუცია უზრუნველყო, რათა "განსაკუთრებულად რთულ გეოპოლიტიკურ სქემებში ჩვენი ქვეყნის პაიკად ჩართვა" განეპირობებინა.

ეს ყოველივე, რასაკვირველია, მტკნარი სისულელეა - სინამდვილეში, მაილსმა ედუარდ შევარდნაძეს ორჯერ შესთავაზა (ადმინისტრაციის სახელით) კომპრომისი (ხელახალი არჩევნები - საპრეზიდენტო სავარძლის 2005 წლამდე შენარჩუნებით), ესე იგი, დაახლოებით ის, რაც მოგვიანებით ხავიერ სოლანამ შესთავაზა ლეონიდ კუჩმას. განსხვავებით შევარდნაძისაგან, კუჩმამ ეს კომპრომისი მიიღო.

"აზერბაიჯანელები ნაკლებ ცივილიზებული და შეგნებული ხალხია, ვიდრე უკრაინელები?" - მაგრამ, რომც დავიჯეროთ ეს ნაცისტური ბოდვა, ბუნებრივია კითხვა - ყირგიზებიც? ყირგიზებიც უფრო "შეგნებული ხალხია" და უფრო მეტად აქვთ შესისხლხორცებული დემოკრატიული ღირებულებები, ვიდრე მათ "თანაეთნოსელ" აზერბაიჯანელებს?

ან იქნებ დამოუკიდებელი ტელევიზიის არსებობაა განმსაზღვრელი? მაგალითად, მექანიკურ სქემათა ავტორები სულ უფრო ხშირად აპელირებენ ასეთ მსგავსებაზე: "მეხუთე არხი" უკრაინაში". "რუსთავი 2" - საქართველოში." მაგრამ ყირგიზეთში არაფერი მსგავსი არ არსებულა. მიუხედავად ამისა, რევოლუცია მაინც მოხდა.

"ედუარდ შევარდნაძე და ლეონიდ კუჩმა ყოფილი კომუნისტური ბიუროკრატიის მაღალჩინოსანნი იყვნენ." "მაგრამ ასლან აბაშიძე და ასკარ აკაევი (ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი) ამ კატეგორიას არასდროს გენეკუთვნებოდნენ.

"კორუფციას" რაც შეეხება - არა მგონია, კორუმპირებულობის მხრივ პოსტსაბჭოური აზერბაიჯანი და საქართველო დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამის მიუხედავად, რევოლუცია საქართველოში მოხდა, აზერბაიჯანში კი - არა.

თუ "შევარდნაძემ დაკარგა აფხაზეთი" - "ალიევმა დაკარგა ყარაბაღი და აზერბაიჯანის ექვსი სხვა რაიონი" - მერედა რა ამით?

კიდევ ერთი, აშკარად ყალბი სტერეოტიპი მოსახლეობის სოციალურ სიდუხჭირეს უკავშირდება: აქაოდა, "ელიტათა განცხრომა მასათა სიდუხჭირის ფონზე თავისთავად ქმნიდა ამ უკანასკნელთა მძვინვარების საფუძველს". რაო, "აზერბაიჯანის "პროალიევისტური" ელიტა ვინმეზე ნაკლებ გახრწნილი და გათახსირებული იყო? მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანული მასის რეაქცია რატომღაც ნაკლებ "მძვინვარე" აღმოჩნდა. გარდა ამისა, თუ ამ საკითხს ყურადღებით შევისწავლით, საოცარ პარადოქსს წავაწყდებით: პრემიერ-მინისტრმა იანუკოვიჩმა უკრაინაში (რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებით, რომელიც "პრეზიდენტ იანუკოვიჩის" პროექტს ახორციელებდა) წელიწადნახევარში მოახერხა პენსიებისა და ხელფასების მნიშვნელოვნად გაზრდა - რაიმე "საპენსიო-სახელფასო დავალიანებაზე" ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

პრემიერ-მინისტრ იანუკოვიჩის მმართველობის დროს უკრაინელები, მასაში, რაოდენ უცნაური და ცოტა არ იყოს კომიკურიც არ უნდა იყოს, ბევრად უკეთ ცხოვრობდნენ მატერიალურად, ვიდრე პრემიერ ვიქტორ იუშენკოს მმართველობისას - მერედა, რა ამით?

ასლან აბაშიძის მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში გადაურიცხავი თანხების წყალობით, აჭარაში არც ერთი თეთრი საპენსიო და სახელფასო დავალიანება არ არსებულა. რეგიონის მოსახლეობა, მთლიანობაში, მატერიალური თვალსაზრისით, ბევრად უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე თბილისში, კახეთში ან გურიაში. ვიმეორებ კითხვას: მერედა, რა ამით? "უშველა" ამან "მცირე ბაბუს", რათა ბათუმიდან ვერ გაეპანღურებინათ? იმაშიც სერიოზულად მეპარება ეჭვი, რომ თბილისის "ვარდების რევოლუცია" უპენსიო-უხელფასობამ განაპირობა. თუ გახსოვთ, 1994-1996 წლებში ათეულობით ათასმა ადამიანმა კერძო ბანკებსა და თაღლითურ ჰოლდინგებში ("ქოლორი", "ოქროს თევზი" და სხვა მსგავსი) შეტანილი დიდძალი თანხები დაკარგა. მიუხედავად ამისა, ეს გამწარებული ხალხის უზარმაზარი მასა იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა და რაიმე სერიოზული პრობლემა ხელისუფლებისათვის არ შეუქმნია.

"სამოქალაქო საზოგადოება" საქართველოში ერთობ განვითარებული იყო. ბევრად ნაკლებ გავლენიანი იყო იგი უკრაინაში, მით უმეტეს ყირგიზეთში, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა, ხოლო საქართველოდან მივლინებული "დემოკრატიული დესანტი" ამ მხრივ, დიდი და გულწრფელი მცდელობის მიუხედავად, ამინდს ვერ შექმნიდა.

"უკრაინასა და საქართველოში რევოლუციურ პროცესებს ჰყავდათ ქარიზმატული ლიდერები". მაგრამ ყირგიზეთში ხომ, ამ თვალსაზრისით "ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა" (ვერც ახლა ცნობს), - ისევ და ისევ: მერედა, რა ამით?

"ახალმა ელიტამ ჩაანაცვლა ძველი ელიტა და ეს ურყევი კანონზომიერებაა" - კი მაგრამ, რომელი "ახალი ელიტაა" როზა უტუმბაევა? ან ის ნარკოლოგი ექიმი, თავად რომ არის პირველ რიგში სამკურნალო? არა მგონია, აკაევის ბაკიევით შეცვლა რაიმე სერიოზულ სოციალურ ძვრას ნიშნავდეს. ამ "კანონზომიერებამ" დასრულებულად ტრაგიკომიკური სახე მაშინ შეიძინა, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ცნო აკაევის პარლამენტის უფლებამოსილება ანუ იმ პარლამენტისა, რომლის "არჩევის გაყალბებამაც" განაპირობა ვითომდაც ყირგიზული რევოლუცია. რაც მთავარია (ნიშანდობლივია), უცნაურად და ალოგიკურად ყირგიზეთში ეს არავის მოჩვენებია.

"შევარდნაძის ყურება აღარ შეიძლებოდა" - კი ბატონო, მაგრამ უკრაინელებს არავინ აძალებდა კიდევ თუნდაც წელიწადნახევარი "ეცქირათ" კუჩმასათვის. შევარდნაძისაგან განსხვავებით (რომელიც, ზოგიერთი ნიშნით, არც 2005 წელს აპირებდა სადმე წასვლას) მიდიოდა ის კაცი (კუჩმა) ყველა შემთხვევაში, უკვე არჩევნების შემდეგ, დაჯდებოდა თავისთვის "ხატაში" და დაისხამდა "გარილკას". არც სალას დაამადლიდნენ თითქოს, მაგრამ მაინც "მიაყოლეს წიხლი!"

"შევარდნაძეს გადაადგილება ძლივს შეეძლო და ბებრულ მარაზმში იმყოფებოდაო," - მაგრამ ლეონიდ კუჩმას, მით უმეტეს ასკარ აკაევს ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ. ეს უკანასკნელი, როგორც ამბობენ, კუნ-ფუში "სპარინგობდა" ყოველდღიურად და ქამარიც ჰქონდა.

გეოპოლიტიკურ ინტრიგებს (როგორც ვითომდაც რევოლუციათა მთავარ "აღმძრავ მექანიზმებს") და "გეოპოლიტიკურ შეთქმულებებს" რაც შეეხება, ამ სქემაში, ისევ და ისევ, ყირგიზეთი ეჩხირება ცოტა არ იყოს უხიაგად: უტუმბაევაც, კულოვიც, ბაკიევიცა და ნაზარალიევიც ერთხმად აცხადებენ, რომ ფაქტობრივად აპირებენ განაგრძონ პრეზიდენტ აკაევის ბრძნული საგარეო პოლიტიკური კურსი - რუსეთთან და დასავლეთთან კომპლემენტარული ურთიერთობისა.

ზემოთქმულის მიუხედავად, არსებობს ერთი ნიშანი, ერთი საერთო მნიშვნელი, რომელიც, ამ სხვაობათა მიუხედავად, ურყევად და განუყოფლად აკავშირებს ერთმანეთთან ყველა პოსტსაბჭოურ რევოლუციას - განურჩევლად იმისა, წარმატებულს (უკრაინა, საქართველო, ყირგიზეთი) თუ წარუმატებელს (აზერბაიჯანი): ყველა ეს რევოლუცია უპირველესად სწორედ საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროში მწიფდებოდა. მარქსისტულ-ლენინური დოგმების მიუხედავად, რევოლუცია - უმთავრესად საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ატმოსფეროს პროდუქტია.

გავიხსენოთ, ამ თვალსაზრისით რა საკვანძო სლოგანები ჟღერდა საქართველოში შევარდნაძის საწინააღმდეგო რევოლუციის მომწიფებისას: "მოყირჭება", "ყავლის გასვლა", "დაჭაობება", "უძრაობა", "დროის მოჭმა", "უიმედობა" და "კმარა" - როგორც მათი აზრობრივი და არსობრივი კვინტესენცია.

დაახლოებით ასეთივე ატმოსფერო სუფევდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც რევოლუცია განხორციელდა. მივაქციოთ ყურადღება: არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ესოდენ მნიშვნელოვანი მსგავსება, რომ საქართველოშიც, ყირგიზეთშიც, უკრაინაშიც, უსისხლოდ ძალადობრივი სახალხო, დემოკრატიული რევოლუციები განხორციელდა ისე, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ხელისუფლებამ არათუ ვერ გაბედა (ესეც იყო), არამედ ვერ შეძლო(!) წინააღმდეგობის გაწევა.

სამივე ქვეყანას კიდევ ის "ანათესავებს", რომ მათი ხელისუფალნი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მართავდნენ სახელმწიფოს. ასკარ აკაევი - 1990 წლიდან, ედუარდ შევარდნაძე - 1992 წლიდან (თუ, რასაკვირველია, კომუნისტურ პერიოდს არ ჩავთვლით, არადა, ესეც სათვალავში ჩასაგდებია), ხოლო ლეონიდ კუჩმა - 1994 წლიდან.

მაგრამ საფარმურად ნიაზოვი და ისლამ კარიმოვი ხომ კიდევ უფრო დიდი ხნის განმავლობაში მართავენ თურქმენეთსა და უზბეკეთს? აქ მჟღავნდება კიდევ ერთი კანონზომიერება: სამივე "ლიდერმა", რომელმაც ესოდენ სამარცხვინოდ დაასრულა თავისი მოღვაწეობა, სცადა ჩამოეყალიბებინა "ლაითავტორიტარული სისტემა", "ლბილი ავტორიტარიზმი", - "ვირტუალური ხელისუფლება", რომელიც ეყრდნობოდა არა რეალურად მძლავრ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, არამედ (მოძველებად) სახელისუფლებო ტექნოლოგიებსა და აპარატულ ინტრიგებს.

სამარცხვინო ფინალმა დაადასტურა, რომ სინამდვილეში, "ლბილი ავტორიტარიზმი" არაქმედუნარიანი სისტემაა, ხოლო სანახევრო-ნაწილობრივი დიქტატურა ისევე შეუძლებელია, როგორც სანახევროდ ორსულობა.

ბუნებრივია, უზბეკეთსა და თურქმენეთში "ხავერდოვან რევოლუციებზე" არავინ საუბრობს, ვინაიდან რეალურ დიქტატურაში ამგვარი რევოლუცია შეუძლებელია - თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ რუმინული ვარიანტი და საზარელი სისხლისღვრა.

მკითხველს შესაძლოა, გაუკვირდეს, მაგრამ კიდევ ერთი საოცარი "დამთხვევაა" (ვითომ მართლაც დამთხვევაა?), რომ ასკარ აკაევის ქალიშვილი და ლეონიდ კუჩმას მეუღლე თავიანთ ქვეყნებში უდიდეს ფიჭურ სატელეფონო ოპერატორებს ფლობდნენ და, "მაგთიკომის" მსგავსად, რეგულარულად აქვეყნებდნენ ცნობებს საგადასახადო შენატანის შესახებ - იმის ნიშნად, თუ რამდენად "გამჭვირვალეა" მათი ბიზნესი. არადა, საქმე ბიზნესის "გამჭვირვალობაში" კი არ არის, არამედ იმაში, თუ საერთოდ რამდენად დასაშვებია ხელისუფლების გამოყენება თუნდაც ყველაზე "გამჭვირვალე" ბიზნესის ასაწყობად.

## საერთონაციონალური პროექტი

ედუარდ შევარდნაძეც, ლეონიდ კუჩმაც და ასკარ აკაევიც, მიუხედავად პროფესიულ "ბეგრაუნდთა" სხვაობისა, საბჭოთა ელიტათა წარმომადგენლები იყვნენ. რა თქმა უნდა, ეს არის იგივე "კომუნისტური ნომენკლატურა" - მისი განუყოფელი შემადგენელით, რომელსაც (დიდი პირობითობით) "ელიტარულ ინტელიგენციას" უწოდებენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ელიტის (საბჭოთა ელიტის) ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან განსხვავებულია მისი როლი და წვლილი სხვადასხვა "საბჭოთა" ერის უახლეს ისტორიაში. თუ, მაგალითად, ქართულმა ელიტამ 1988-1993 წლებში სრული უნიათობა გამოამჟღავნა, ქვეყანას ვერც ერთი საფრთხე თავიდან ვერ ააცილა, ხელისუფლებაში არაკომპეტენტურ და უპასუხისმგებლო ძალთა მოსვლა დაუშვა, საბოლოოდ სამოქალაქო ომისა და ორი ეთნოკონფლიქტის ჭაობში ჩაგვფლა, - უკრაინულმა და ყირგიზმა ელიტებმა იმ ეპოქაში თავიანთი ისტორიული მისიის შესრულება შეძლეს.

სწორედ უკრაინული (საბჭოთა!) ელიტის დამსახურებაა, რომ ურთულეს ვითარებაში, უამრავი გამოწვევისა და საფრთხის პირობებში, უკრაინამ შეძლო სახელმწიფოებრივი მდგრადობის შენარჩუნება, რუსულენოვანი ყირიმის შემომტკიცება და იქ უკრაინის სუვერენიტეტის რეალურად გავრცელება, რუსეთთან მიზანშეწონილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის აწყობა, მოსკოვის მიერ უკრაინის საზღვრების აღიარების უზრუნველყოფა (მათ შორის აღმოსავლეთ უკრაინის რუსული რეგიონების კუთვნილებისა), ეთნიკური მშვიდობის შენარჩუნება, შავი ზღვის ფლოტის ნახევრის დასაკუთრება (იმ ვითარებაში, როდესაც ამ ფლოტს 1992 წლისათვის ასი პროცენტით მოსკოვი აკონტროლებდა) და სხვა მრავალი. ლეონიდ კრავჩუკიცა და ლეონიდ კუჩმაც, ამ აზრით, უკრაინის საბჭოთა ელიტის წარმომადგენლები იყვნენ. ისევე, როგორც ასლან აბაშიძე, - აჭარის რეგიონული ელიტისა.

შემდგომ: ყველა საბჭოთა ელიტის საკვანძო ცნება, საბჭოთა კავშირის დაშლიდან - დღემდე, "სტაბილურობა" იყო. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ "სტაბილურობა" იქცა აგრეთვე შევარდნაძის უმთავრეს არგუმენტად მას შემდეგ, რაც მან (ამის უგულებელყოფა შეუძლებელია) მოახერხა სამოქალაქო ომისა და კრიმინალური ანარქიის ჭაობიდან ქვეყნის ამოთრევა.

სწორედ აქ მივადექით საკვანძო საკითხს: დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ "სტაბილურობა" არ შეიძლება იყოს ნაციონალური პროექტი, რომელიც ელიტისა დ ხელისუფლების ლეგიტიმურობას განაპირობებს. მივაქციოთ ყურადღება, რომ ბალტიის ქვეყნების ელიტებმა (იმავე საბჭოთა ელიტებმა - ადგილობრივი ინტელიგენციის სახით) თავიანთ ხალხებს უმალვე შესთავაზეს მკაფიო საერთონაციონალური პროექტი - არა "სტაბილურობა", არამედ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება, რაც გეგმაზომიერად განახორციელეს კიდეც და სწორედ ამ პროექტმა (ჯერ მისმა არსებობამ და შემდეგ, წარმატებით განხორციელებამ) უზრუნველყო სტაბილურობა და სახელმწიფოებრივი მდგრადობა ამ ქვეყნებში.

უკრაინულმა, ქართულმა და იმავე ყირგიზულმა ელიტებმა (და მათ მიერ "კურთხეულმა" ხელისუფლებებმა) კი, ერთის მხრივ, "ლაითდიქტატურათა დაფუძნება" განიზრახეს (ანუ, "სანახევროდ ორსულობა" მოინდომეს) და, იმავე დროს, თავიანთ ხალხებს ვერაფერი შესთავაზეს ნაციონალური პროექტის სახით - ყბადაღებული "სტაბილურობის" გარდა.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ დაიწყო საბჭოთა ელიტათა და მისი წარმომადგენელი მმართველი დაჯგუფების თანდათანობითი (მაგრამ განუხრელი და შეუქცევადი) დევალვაციის, დესაკრალიზაციის, დელეგიტიმაციის პროცესი. თანაც, პროცესი (რაც ხაზგასასმელია) ეხებოდა არა მხოლოდ კონკრეტულ ხელისუფლებას, არამედ ელიტა-ხელისუფლების მიმართებას, რასაც პოლიტოლოგები "რეჟიმს" უწოდებენ. ამიტომაც, საქართველოში დაემხო არა უბრალოდ შევარდნაძის ხელისუფლება, არამედ "შევარდნაძის რეჟიმი", "კუჩმას რეჟიმი" - უკრაინაში, "აკაევის რეჟიმი" და ასე შემდეგ. თვით ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი მმართველობა, რომელიც, ამასთანავე, საზოგადოებას ვერანაირ პროექტს ვერ სთავაზობს სტაბილურობის (მაშასადამე, ფსევდოპროექტის) გარდა, - დროთა განმავლობაში დევალვირდება, სუსტდება, იოლად "დასაჩაგრი" და დასაბრიყვებელი ხდება.

ხანგრძლივი და "უაზრო" მმართველობა სულ უფრო აძლიერებს ანტისახელისუფლებო სტერეოტიპებს; დამაჯერებლობას ჰმატებს ნებისმიერ ანიტსახელისუფლებო არგუმენტს, ნებისმიერი უკმაყოფილო სოციალური სეგმენტის თუ კონკრეტული დაჯგუფების ძალისხმევას; თანდათან ადამბლავებს და აძაბუნებს ბიუროკრატიას, - იმავე "ძალისმიერ ნომენკლატურას", რომელსაც ისლა აღელვებს, როგორ და როდის მოახერხოს ჩაძირვადი გემიდან გადახტომა ან "მომავალ" გემზე გადასვლა ("ეს ხომ მაინც წამსვლელია - აბა ცას ხომ არ გამოეკერება?"). დროთა განმავლობაში, საზოგადოებაში აუცილებლად გროვდება ნეგატიური სოციალური მუხტი - თანაც განურჩევლად იმისა, იგი უმცირესობის მახასიათებელია თუ უმრავლესობისა - სოციალურად უკმაყოფილო უმცირესობა ასეთ დროს აქტიურია, ხოლო კმაყოფილი (თუნდაც) უმრავლესობა - პასიური.

(აქვე: გია ნოდიამ ძალიან ზუსტად შენიშნა, რომ შევარდნაძის ეპოქაში "კორუფცია" დაერქვა(!) ხელისუფლების ინსტიტუციურ სისუსტეს. ჩემი მხრივ დავამატებ, რომ "კორუფცია" დაერქვა აგრეთვე ქონებრივ უთანასწორობას.)

დროთა განმავლობაში, ამგვარი რეჟიმი სულ უფრო იხრწნება, სულ ნაკლებ ქმედუნარიანი ხდება; თანდათან ნებისმიერი არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ეშინია და არ შეუძლია ადეკვატურად უპასუხოს თუნდაც ძალზე არამართლზომიერ ქმედებას; დროთა განმავლობაში "აჩვევენ ენას" და "კარგავენ რიდს", - მისი დაცინვა, აბუჩად აგდება, "დაჩმორება" ჩვეულებრივი ამბავი ხდება; საბოლოოდ იკვრება "ჩაკეტილი წრე" - ხელისუფლების არაქმედუნარიანობასა და მდგომარეობის განუხრელ გაუარესებას შორის. სწორედ ამიტომ და ასე "დალპა", "გაუცხოვდა" თანდათანობით შევარდნაძის რეჟიმი, ასლან აბაშიძის რეჟიმი აჭარაში, კუჩმასა და აკაევის რეჟიმები.

თავისი მმართველობის ბოლოს ეს რეჟიმები სრულიად არალეგიტიმურნი იყვნენ. ოღონდ, როდესაც ვსაუბრობთ ხელისუფლების "დელეგიტიმაციაზე", უნდა ვიგულისხმოთ არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური ლეგიტიმურობა. იურიდიული თვალსაზრისით, ასეთი რეჟიმი რაოდენ ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს, პოლიტიკური დელეგიტიმაცია თავისთავად ქმნის რევოლუციური პროცესის წარმოშობის წინაპირობას. ამგვარი პროცესის დაწყების შემდეგ კი, საკითხს წყვეტს არა "უმრავლესობა-უმცირესობა", არამედ ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგის ხელთ არსებული რესურსების ხარისხი და ოდენობა.

რევოლუციის წარმატებისათვის ნამდვილად არ არის აუცილებელი, მას მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდეს მხარს. მაგალითად, 2002-2003 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ შეიძლება დახასიათდეს, როგორც "გულგრილი ზიზღი". თუმცა, ეს უმრავლესობა სულაც არ იყო მზად, "თავი შეეწუხებინა", წვიმასა და სიცივეში მდგარიყო რუსთაველის გამზირზე. გარდა ამისა, მას აშკარად ეშინოდა ცვლილებების.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ "სულ რაღაც 50 ათასმა ადამიანმა, ვინც რუსთაველზე 22-23 ნოემბერს შეიკრიბა - გადაწყვიტა ერის ბედი" - დიახაც ორმოცდაათი ან ასი ათასი ადამიანი, ხელისუფლების დელეგიტიმაციის პირობებში, უფლებამოსილი ხდება, რევოლუციური ძალისხმევით შეცვალოს ხელისუფლება და თვით რეჟიმიც.

ერის ისტორიას მისი პასიონარული უმცირესობა ქმნის და არა ობივატელური უმრავლესობა.

ხელისუფლების დელეგიტიმაცია (რაც ვიმეორებ, უაზრო მმართველობის ხანგრძლივობითაა განპირობებული) აყალიბებს ვითარებას, როდესაც აღარავის რჩება არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება თუნდაც არაკონსტიტუციური მეთოდებით.

დავაკვირდეთ: ასლან აბაშიძის რეჟიმის რეალური დელეგიტიმაცია მაშინ დაიწყო, როდესაც მან მამუკა გიორგაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი, მუხრან მაჭავარიანი და ჯუმბერ პატიაშვილი ერთ საარჩევნო ბლოკში გაიერთიანა. შემდეგ, თანაბლოკელი პატიაშვილის ნაცვლად, 2000 წლის არჩევნებში ისევ ედუარდ შევარდნაძეს დაუჭირა მხარი. ამით აღიარა, რომ თავად კონკრეტული "პროექტი" არ გააჩნდა. უფრო სწორად პროექტი (აჭარის სეპარატიზება) როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ამ პროექტის ღიად განცხადება, გამოქვეყნება (და ამ გზით თავისი ხელისუფლების ლეგიტიმიზება), ბუნებრივია, არ შეეძლო.

მაშინ ასლან აბაშიძეს ჯერ კიდევ ყოვლისშემძლედ მიაჩნდა თავი, რაკი ნამდვილად არ ეყოფოდა ინტელექტი მიმხვდარიყო, რომ "კონკრეტული პროექტის" და პოზიციის არარსებობა საბოლოოდ გააკოტრებდა მომხრეთა თვალშიც კი. ალბათ თვითონ უკვირდა მოგვიანებით - რატომ არ გამოვიდა ასეულობით ათასი აჭარელი მის დასახმარებლად და რატომ მისცა საშუალება 20-30 ათას აჭარელ (და თბილისელ) ახალგაზრდას, იგი ლუი-14 სტილში გაწყობილი რეზიდენციიდან გაეძევებინათ.

ალბათ დღემდე უკვირს, რაკი დარწმუნებულია (ამაში არ ცდება), რომ აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახლში, ტელევიზორთან, სევდიანად ადევნებდა თვალს "მცირე ბაბუს" გაპანღურებას. არადა, ხელისუფლების დელეგიტიმაციის პირობებში, მთავარი ფაქტორი პასიურ ("უკვე ხელჩაქნეულ") მომხრეთა ოდენობა კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენადაა მზად ეს (თუნდაც) უმრავლესობა - რეალურად იმოქმედოს(!) რევოლუციური უმცირესობის ძალისხმევის პასუხად.

ზვიად გამსახურდიას დასაცავად, 1991-1992 წლებში ათასობით უიარაღო ზვიადისტი "ტყვიაზე მიდიოდა". იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, რომელსაც მკაფიო ნაციონალური პროექტი (საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება) ჰქონდა და სულ რამდენიმე თვე თუ გააჩნდა ამ პროექტის განხორციელების უნარის დასადასტურებლად - რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ლეგიტიმური იყო პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე 2003 წლის შევარდნაძე და 2004 წლის ასლან აბაშიძე.

ამიტომაც მოჰყვა ხელისუფლების დამხობას 1991 წელს საზარელი სისხლისღვრა და არანაირი გართულება არ მოჰყოლია ამას 2003-2004 წლებში, როდესაც ხელისუფლება უკვე "გაკოტრებული" (ანუ საბოლოოდ დელეგიტიმიზებული) აღმოჩნდა.

ხელისუფლების დელეგიტიმაცია აუცილებლად წარმოშობს ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დაიწყებს პოზიციონირებას, როგორც არსებული რეჟიმის თვისებრივი ალტერნატივა. ამიტომ არ ჰქონდა არანაირი მნიშვნელობა უკრაინელებისათვის, "მიდიოდა" თუ არა ლეონიდ კუჩმა - "მეიდანზე" შეკრებილი ადამიანები ებრძოდნენ არა პირადად კუჩმას, არამედ მთლიანად, მის რეჟიმს, ანუ დელეგიტიმიზებულ ელიტას, რომელსაც იგი ისევე განასახიერებდა, როგორც ვიქტორ იანუკოვიჩი.

მაგრამ დელეგიტიმაცია ჯერ კიდევ მექანიკურად არ განაპირობებს ხელისუფლების აუცილებლად დამხობას ანუ რევოლუციის წარმატებას. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ოღონდ აუცილებელია უამრავი სხვა ფაქტორის ურთიერთქმედება - დაწყებული ისეთი ვითომდაც "სულელური წვრილმანებით", როგორიცაა ვთქვათ, პრეზიდენტის რეზიდენციასთან ფიზიკურად ფეხის მოკიდების შესაძლებლობა ან ოპოზიციურ (თუ ხელისუფლების მხარდამჭერ) მიტინგზე გამოსულ საესტრადო ვარსკვლავთა პოპულარობა, - დამთავრებული ქარიზმატული ლიდერის არსებობა-არარსებობით, საზოგადოების ახალგაზრდული ნაწილის ზოგადი პასიონარულობის დონით, ხელისუფლების დამცველი ძალისმიერი სტრუქტურის ხელმძღვანელთა პროფესიონალიზმით, მეზობელი ქვეყნების პოზიციით, ხელისუფლების მხარდამჭერი თუ მოწინააღმდეგე ინტელიგენციის ავტორიტეტით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სწორედ სხვადასხვა "წონადობის" ამ "პრო" და "კონტრა" ფაქტორთა შეჯერებით გვრჩება "მშრალი ანგარიშით" უმთავრესი - რევოლუციური პროცესის შედეგი.

დასასრული შემდეგ ნომერში

ბესტსელერების ფესტივალი



B2

"ლოკომოტივმა" თასი გაასამა




B5

რკინის ჩიტმა ევერესტზე ბუდე გაიკეთა



B8

# დაგვიანებული დამოუკიდებლობის დღე

*1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა უსუსური და უდღეური აღმოჩნდა. ხანმოკლე დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვლის კატასტროფით დამთავრდა. ქართულ საზოგადოებაში ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული ენერგიისადმი ისევ ნიჰილისტური დამოკიდებულება გაჩნდა. თუ გასაბჭოებულ საქართველოში კატასტროფის მიზეზებზე ფიქრსა და განსჯას უფრო აბსტრაქტული ხასიათი ჰქონდა და საბჭოთა წყობილების გამყარებასთან ერთად შეწყდა, უცხოეთში გახიზნულ ქართველობისთვის ამ მიზეზთა ძიება და ხშირად ერთმანეთზე გადაბრალება, ბოლომდე მთავარ თემად დარჩა.*

*მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ქართულ აზროვნებაში მემარცხენეობა ისევე ტოტალურად იყო გაბატონებული, როგორც დღეს მემარჯვენეობაა. ქართული მემარჯვენე და გამემარჯვენებული ემიგრაცია მემარცხენე, მარქსისტულ იდეოლოგიას მიიჩნევდა ეროვნული კატასტროფის მიზეზად. ამ კუთხითაა დანახული ის მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდნენ 26 მაისს და აფერხებდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას ვიქტორ ნოზაძის სტატიაში "ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი" (საპოლიტიკო კრებული "ორნატი", N 3 (მაისი-ივნისი), პარიზი 1934)*

*გთავაზობთ ამ საყურადღებო და ჩვენში უცნობი სტატიის მეორე ნახევარს (რომელიც უშუალოდ ეხება დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაისტორიას), რადგან მთელი ტექსტი საგაზეთო პუბლიკაციისთვის დიდია.*

*ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) სოციალ-დემოკრატი იყო, თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, 1917-1918 წლებში რედაქტორობდა ქუთაისის გაზეთ "სოციალ-დემოკრატს", შემდეგ სამთავრობო გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას". 1920 წელს მთავრობის სტიპენდიით სწავლის გასაგრძელებლად ლონდონში წავიდა. გასაბჭოების შემდეგ, უსასხსრობის გამო ლონდონის დატოვება მოუწია, მაგრამ სწავლის გაგრძელება მოახერხა ბერლინში, ჰალეში, იენაში და ისევ ბერლინში, სადაც 1927 წელს დისერტაცია დაიცვა. შემდეგ პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. როგორც ჩანს, აქ, ემიგრაციის მკაცრ პირობებში, ხდება მისი გამემარჯვენება. 1934 წელს, ვიქტორ ნოზაძემ პარიზში, თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ჟურნალი "ორნატი". მაშინ ევროპაში და არა მარტო ევროპაში უკიდურესად მემარჯვენე, პროფაშისტური იდეოლოგია ძალზე მოდური იყო. 1935 წელს "ორნატელები" ულტრა-მემარჯვენე ნაციონალისტურ ორგანიზაცია "თეთრ გიორგის" შეუერთდნენ. ვიტორ ნოზაძე რამდენიმე ხანს გაზეთი "თეთრი გიორგის" რედაქტორიც იყო.*

*საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს, როგორც პატრიოტ ქართველთა სრული უმრავლესობა, გერმანიაზე ამყარებდა სამშობლოს გათავისუფლების იმედს და გერმანიის მხარეზე იდგა საქმით და კალმით.*

*ვიქტორ ნოზაძე საინტერესოა არა მხოლოდ როგორც პუბლიცისტი, არამედ როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი რუსთველოლოგი.*

*ლაშა ბაქრაძე*

ვიქტორ ნოზაძე

## ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი

საპოლიტიკო კრებული "ორნატი", N 3 (მაისი-ივნისი), პარიზი 1934

რევოლუციის დროის მოვლენათა აღნიშვნის დროს ჩვენ მხედველობიდან არ უნდა დავკარგოთ, რომ ამ საერთო რღვევისა და გარდატეხის ხანაში, ამიერკავკასიის ასპარეზზე პოლიტიკის ფაქტიური მატარებელი და გამტარებელი სოციალდემოკრატია იყო, იმის მიუხედავად, რომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიაში ხელისუფლება ოზაკომს - (ოსობი ზაკავკასკი კომისარიატს) ჩააბარა.

1917 წლის თებერვლიდან ეროვნულ დარგში არავითარი საკითხი არ წამოჭრილა, ვინაიდან გამეფებული შეხედულების მიხედვით, ეს ეროვნული საკითხი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ უნდა გადაწყვეტილიყო. და როცა ამ კრებას არ მოუცადა ფინლანდიამ და უკრაინამ, იქ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ირ. წერეთელი და ევგ. გეგეჭკორი გააგზავნა და დავალება მისცა: - ურჩიეთ, არ გამოაცხადონ დამოუკიდებლობაო! და ეს რჩევა ბრძანებასაც უდრიდა! კავკასიის ერები რუსეთის მთავრობას არ აშინებდნენ - საიმედო ხელმძღვანელების, ქართველი მარქსისტების ხელში იყო მათი ბედი! მაგრამ რუსეთის გზაზე მოხდა ისეთი მოწყვეტითი შეტრიალება, რომელმაც ყველაფერი ყირაზე დააყენა.

1917 წლის ოქტომბრის 25-ს ბოლშევიკები რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას დაეპატრონენ და რუსეთის წარმომადგენელნი გახდენ. ამავე დროს საშინელი სისწრაფით დაირღვა ფრონტი ყველა საომარ მხარეზე და დაიწყო სრული არევდარევა.

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ჩვენში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ეს ნაბიჯი ერთხმად იყო გაკიცხული და დაგმობილი. მაგრამ სინამდვილეს ვერავინ გაექცეოდა და მასთან დაკავშირებულ აღრეულებათა შედეგად ამიერკავკასიის მდგომარეობა მეტად საჭოჭმანო გახდა; ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფაქტიურად და უნებურად მოწყვეტილ ამიერკავკასიას ძალაუნებურად თავის თავზე უნდა ეზრუნა; ამის გამო 11 (24) ნოემბერს 1917 წ. რევოლუციურ ორგანიზაციებისაგან წარმომადგენელთა ყრილობამ გადასწყვიტა: - ვინაიდან აღარ არსებობს საერთოდ აღიარებული ცენტრალური ხელისუფლება და ანარქია კი იზრდება, დამფუძნებელი კრებისათვის ამიერკავკასიიდან და კავკასიის ფრონტიდან დელეგატების არჩევნების გათავებამდე, გადაეცეს მხარეს მართველობა საზოგადოებრივ უზრუნველყოფის კომიტეტს, დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნების დასრულების შემდეგ - მიენდოს დროებითი ხელისუფლების შედგენა არჩეულთ ყველა სამოქალაქო და სამხედრო მცხოვრებთა მიერ შემდეგ საფუძვლებზე: -

**"ა) წაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა საერთო რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით;**

**ბ) ავტონომიური გადაწყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა;**

**გ) მიყვანა მხარისა (ამიერკავკასიის. ვ.ნ.) იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება ან როცა გაიხსნება საერთო რუსეთის სრულუფლებოვანი დამფუძნებელი კრება".**

აი ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის პოლიტიკას, რომელსაც სოციალდემოკრატია ხელმღვანელობდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მეოხებით. ამ პოლიტიკას მან შეალია მთელი თავისი უნარი და ძალ-ღონე, ამ პოლიტიკას შეაკვდა იგი.

15 (28) ნოემბერს 1917 წ. ამ გადაწყვეტილების შედეგად შექმნილ იქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც ევგენი გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა. და 18 ნოემბერს (1 დეკემბერს) ეს კომისარიატი ზემოდ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ფიცსა სდებდა და თავის თავს, რასაკვირველია, ისეთ ხელისუფლებად აღიარებდა, რომელიც რუსეთის ცენტრალური მთავრობის შედგენამდე ან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე იარსებებდა. - და არავის აზრად არ მოსვლია საკითხად მაინც დაესვა: - ისარგებლოს იმ უფლებით, რომელიც რევოლუციამ აღიარა ერთა თვითგამორკვევის შესახებ, - პირიქით, - ამიერკავკასიის კომისარიატი და მთელი სოც.-დემ. იმაზე სწუხდა და ოხავდა, რომ რუსეთს დემოკრატია ინგრევაო და არ-არსებულ რუსულ დემოკრატიას მოუწოდებდა შექმნა "რუსეთის რესპუბლიკის ყველას მიერ აღიარებული ხელისუფლება"... - და ამავე დროს ეროვნულ დარგში მხოლოდ ის გაკეთდა, რომ ნოემბერში მოწვეულ იქმნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც ეროვნული საბჭო აირჩია. რომლის დანიშნულება მეტად ბურუსიანი, უსაგანო იყო და ძალა კი უსუსური.

1917 წ. ნოემბრის 21-ს (4 დეკემბერს) კავკასიის ფრონტის უფროსმა გენ. პრჟევალსკიმ ამავე ფრონტის ოსმალეთის მთავარსარდალის ფერიკ-ვეხიბ-ფაშას წინადადება მიიღო - დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატი ამ წინადადებას დაეთანხმა და ხალხს მოწოდებით მიმართა: - "დროებითი ზავის დროს შეიკრიბება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც ზავის პირობებს გამოიმუშავებს"-ო. - ამგვარად ხალხი დაამშვიდა! - ეს დროებითი ზავი შეიკრა კავკასიის ფრონტზე 5 (18) დეკემბერს 1917 წ., მაგრამ აქ მოხდა ისეთი უცნაური ამბავი, რომელმაც კავკასიის ბედი იჩქითად შეატრიალა და ამ შეტრიალების წინააღმდეგ მთელ თვეთა განმავლობაში სოციალდემოკრატიული პოლიტიკა იბრძოდა!

რა მოხდა?!

კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძემ ოსმალების სარდალ ფერიკ-ვეხიბ-ფაშასაგან შემდეგი საყურადღებო დეპეშა მიიღო: - "დროებითი ზავის ჩამოგდების დროს, ერძიზანში, კომისიის წევრ, გენერალ ვიშინსკის მიერ ნათქვამი იყო, რომ **კავკასიის არმია მოლაპარაკებას იწყებს დამოუკიდებელი კავკასიური მთავრობის სახელით...** მის აღმატებულებას (ენვერ-ფაშას, მთავარსარდალის მოვალეობის აღმასრულებელს. ვ.ნ.) სურს გაიგოს, როგორი გზით შეიძლება დამოკიდებულება აღდგენილ იქმნეს **დამოუკიდებელ კავკასიურ მთავრობასთან,** როგორი წინადადებანი აქვს **კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას,** ორივე მხარეს შორის მშვიდობიანობის აღდგენის მიზნით. ამიტომ მისი აღმატებულება (ენვერ-ფაშა. ვ.ნ.) მე წინადადებას მაძლევს გამოვამგზავრო **დამოუკიდებელი კავკასიური მთავრობის** დედაქალაქში ამ კეთილი წადილით დელეგატების კომისია"... (1 (14) იანვარი, 1918 წ.). (ხაზი ყველგან ჩვენია. ვ.ნ.)

ამრიგად, სჩანს, რომ კავკასიისათვისა დამოუკიდებლობა გენერალ ვიშინსკის მიუნიჭებია!, თუმცა ეს აზრი სხვას თავში არ მოსვლია! გამოურკვევია, თუ გენერალმა ვიშინსკიმ ოსმალეთის კომისიას რად განუცხადა, რომ კავკასიის მხედრობა ელაპარაკება მას დროებითი ზავის შესახებ კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის სახელით!? ამის გამო არავითარი ოფიციალური ცნობა არ არსებობს და არც არაოფიციალური გაგვიგია რამე. ხოლო ერთი მოსაზრება საგულისხმოა: - როდესაც მას ჰკითხეს მოლაპარაკების დაწყებისას, თუ ვისი სახელით ლაპარაკობს იგი, რაც ჩვეულებრივია, იგი იძულებული იყო შესაფერი პასუხი გაეცა; გენ. ვიშინსკი ვერ იტყოდა, რომ იგი რუსეთის სახელით ლაპარაკობს; ვერც იმას იტყოდა, რომ იგი კავკასიის ფრონტის სახელით ლაპარაკობს; ერთად ერთი პასუხი, რომელიც მას შეეძლო გაეცა, იყო: რომ იგი ლაპარაკობს კავკასიის მთავრობის სახელით. და რადგან ამ ხანად ამიერკავკასიის კომისარიატი შესდგა, გენ. ვიშინსკიმ ეს კომისარიატი დამოუკიდებელ მთავრობად წარმოიდგინა, ან ამგვარად გაასაღა იგი. მაგრამ ამ თავისი პასუხით გენერალ ვიშინსკიმ კომისარიატი, რომელიც დამოუკიდებლობაზე არც ოცნებობდა, მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ვინაიდან მან ვეხიბ-ფაშას ზემოაღნიშნულ დეპეშის გამოგზავნის საბაბი მისცა!

ვეხიბ-ფაშა ამიერკავკასიის კომისარიატს სრულიად ნათლად და გარკვეულად წინადადებას ურდგენდა: - თქვენ ყოფილხართ დამოუკიდებელი მთავრობა და საჭირო-სასარგებლოა ზავზე ჩვენ შორის ლაპარაკიო! კომისარიატის თავმჯდომარე ევგ. გეგეჭკორმა თავის მხრივ ეს საკითხი "ყოვლად შემძლე" მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების საოლქო (კრაევოი) ცენტრს წარუდგინა; ამ ცენტრს ნოე ჟორდანია თავჯდომარეობდა; და მან შეიმუშავა შემდეგი პასუხის პროექტი ოსმალეთისათვის:

**"გვსურს რა შევკრათ ზავი იმ საფუძველზე, რომელიც მისაღებია რუსეთის დემოკრატიისათვის, საჭიროდ ვრაცხთ შეგატყობინოთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ რა რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს,** შეგვიძლია შევუდგეთ ზავზე მოლაპარაკებას მხოლოდ ეხლახან შეკრებილ დამფუძნებელი კრებისაგან სათანადო უფლებამოსილების შემდეგ"-ო (დადგენილება 1918 წ. იანვრის 4-ს).

ეს არის კლასიკური პასუხი, კავკასიის ისტორიაში რომ დარჩება როგორც უბრწყინვალესაი ნიმუში იმისა, თუ მისი ხელმძღვანელობა - სოციალ-დემოკრატია - რაოდენ მოკლებული იყო არამც თუ მარტო სინამდვილის გაგების უნარს, არამედ ეროვნულ ინსტიქტსაც და უბრალოდ, ცხოველურ ინსტიქტს, რომელსაც მისთვის უნდა ეკარნახებია თავისი თავისა და ქვეყნის გადარჩენისათვის გაბედული და მტკიცე ნაბიჯი გადაედგა, თავი განეთავისუფლებია დუხჭირი პარტიული დოქტრინებისაგან, უარეყო შავბედი დოგმები რუსულ დემოკრატიასთან და რუსულ რევოლუციასთან სამუდამო ცოლქმრობის შესახებ, - და თამამად გადაეწყვიტა კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი, რომელსაც თვით საგარეოდ შექმნილი პირობები მეტისმეტად ხელსაყრელ გარემოებაში აყენებდა. მაგრამ 20-25 წლის განმავლობაში განაზეპირები და დაღეჭილი დოკტრინის სიძლიერე სინამდვილის გაგების უნარზე ძლიერი აღმოჩნდა: ამ ხანის განმავლობაში გატკეპნილი და გათელილი გზა მოჯადოებული და გარდაუხტომი შეიქმნა; თორემ ამ დროს ბევრმა თავს უშველა!

უკრაინამ 1917 წლის ნოემბრის 21-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადა; ფინლანდიამ 1917 წლის დეკემბრის 6-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადა; 1917 წ. ლატვიამ დამოუკიდებლობა მოითხოვა; მერმე შეადგინა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც ქვეყანას უძღვებოდა; 1917 წ. ლიტვანიის ტარიბამ (ეროვნულმა ყრილობამ) დამოუკიდებლობა მოითხოვა და 1918 წლის თებერვალის 16-ს იგი გამოაცხადა; ესტონიამ იგივე ჰქმნა 1918 წლის თებერვლის 26-ს და მთამ მაისის 11-ს.

ჩვენ რას ვშვრებოდით?

ოსმალეთისადმი პასუხის პროექტი მიღებულ იქმნა 4 (17) იანვარს და ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრებაც გარეკეს!

და აი, იწყება ტირილი და ვაება რუსეთზე და რუსეთის დემოკრატიაზე"

"დამფუძნებელი კრების გარეკამ", მოსთქვამს ამიერკავკასიის რევოლუციურ ორგანიზაციათა ცენტრი, "გასწყვიტა ის უკანასკნელი ძაფი, რომელსაც შეეძლო გაეერთიანებია მთელი რუსეთი და სრულიად რუსეთის რევოლუციური დემოკრატია. ბრძოლა დამფუძნებელი კრებისათვის **არის ბრძოლა რუსეთის მთლიანობისათვის და რევოლუციის გამარჯვებისათვის"...**

დააწერეს რა ეს დროშაზე სოც.-დემ. წაიყვანეს "ბრძოლაში გამობრძმედილი ამიერკავკასიის დემოკრატია" "რუსეთის მთლიანობისა და რევოლუციის გამარჯვებისაკენ"!

რუსეთი თავისი თანამედროვე განვითარებით ღიად და პირდაპირ მიდიოდა საკუთარი გზით - ბოლშევიკურად, - ჩვენი სოციალდემოკრატია კი ამ რუსეთს არ უშვებდა ამ გზაზე, მას კალთებში ჩაჰფრენოდა, დაბრუნებას ეხვეწებოდა და მის გამთლიანებაზე ოცნებობდა! ეს ხომ დიპლომატია არ იყო! ეს იყო გულწრფელი სურვილი და პოლიტიკა! ასე არ მოქცეულა არც ერთი სხვა ერის ხელმძღვანელობა და ეს უსაზღვრო თავდადებული ერთგულება არავინ კი არ დაფასა, არავინ მას არ დაუმადლა!

დამფუძნებელი კრება, ეს სათაყვანებელი დანაწესები, უსახელოდ დაიღუპა და ამიერკავკასია კვლავ რუსეთისგან მოწყვეტილი დარჩა, მის ხელმძღვანელთა სურვილის წინააღმდეგ.

სამხრეთიდან ოსმალეთი იყო მომდგარი, თავის წინადადებაზე პასუხს უცდიდა და ამიერკავკასიის კომისარიატმა იმის მეტი ვერა მოიგონა-რა, რომ ოსმალეთისათვის ეცნობებია: -

"ამიერკავკასიის მთავრობას არ შეუძლია თქვენ დაგიმალოთ, ბატონო გენერალო, რომ მისთვის აუცილებელია თავისი გამოსვლები (ვისტუპლენია), ომის ლიკვიდაციისაკენ მიმართული, **რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორიალურ ერთეულების სხვა ავტონომიურ მთავრობების** აზრებსა და შეხედულებებს შეუთანხმოს"-ო.

ორი კვირის შემდეგ ევგ. გეგეჭკორი ასეთ პასუხს აძლევს ვეხიბ-ფაშას, 15 (28) იანვარს 1918 წ. მაგრამ თვით პასუხია საინტერესო თავისი შინაარსით. - უკრაინამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1917 წ. 21 ნოემბერს და ევგ. გეგეჭკორი მას "რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორიალურ ერთეულად" სთვლის! - ევგ. გეგეჭკორმა ამ "აზრებისა და შეხედულებების" გამოსარკვევად უკრაინის ცენტრალურ რადასა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს მიმართა. პირველისაგან პასუხიც არ მიიღო! ხოლო ისმის საკითხი, რა ესაქმებოდა ამიერკავკასიის საკითხში სხვათა შორის, ასტრახანის, ურალის და ორენბურგის მთავრობებს? მხოლოდ ის ალბად, რომ ესენი იყვნენ ბოლშევიკების ხელისუფლების გარეშე მყოფ "რუსეთის დემოკრატიის" წარმომადგენელნი! - მაგრამ თვით ბოლშევიკები ბრესტლიტოვსკში ამ დროს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკებას ეწეოდა!

და 1918 წლის თებერვლის 1-ს, ვეხიბ-ფაშამ ამიერკავკასიის მთავრობას შეატყობინა, რომ ბრესტლიტოვსკში შეკრებილია საზავო კონფერენცია რუსეთისა და ცენტრალ სახელმწიფოთა (ოსმალეთი, ბულგარეთი, ავსტრო-ჰუნგრეთი, გერმანია) რომელნიც

**"რომელნიც მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ ცნობილ იქმნეს ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობა",** და რომ ეს ასე მოხდება უეჭველია, და თქვენი წარმომადგენელნი გამოგზავნეთ ბრესტის საზავო კონფერენციაზეო... -

ქართველ ხალხს ერთი მეტად ბრძნული ანდაზა აქვს, თუმცა არც მაინცდამაინც დარბაისური, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნდა ვიხმაროთ აქ, რადგან იგი ვითარებას სავსებით გამოხატავს და ახასიათებს: "ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში აჩრიდენო"! - ამიერკავკასიის მთავრობა ომის გულისათვის თავს იკლავდა, რომ დამოუკიდებელ მთავრობად არ გადაქცეულიყო და აქ ვეხიბ-ფაშა მას მოსვენებას არ აძლევდა: - დამოუკიდებელი იყავიო! სწორედ ჭირვეულებაა!

1918 წლის თებერვალის 6-ს ამიერკავკასიის მთავრობა ვეხიბ-ფაშას ატყობინებს, რომ აღძრულ საკითხზე პასუხს სამი კვირის შემდეგ გაცნობებთო და ეხლა კი ჩვენ მზად ვართ ზავზე ვილაპარაკოთ დამისი პირობები გამომუშავებული იქნება ამიერკავკასიის სეიმის მიერ, რომელიც 10 (23) თებერვალს 1918 წ. შეიკრიბებაო. - და ამის საპასუხოდ ვეხიბ-ფაშა ამიერკავკასიის მთავრობას აცნობებს, რომ ოსმალეთის დელეგაცია, "რომელსაც ევალება წინასწარი საზავო პირობები გამოიმუშაოს **და ამიერკავკასიის მთავრობა აღიაროს,** მზად არის" სტამბულიდან ტფილისს გამოემგზავროსო.

ამ დღესვე ტფილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ დადგენილება გამოიტანა. - ბრესტის საზავო კონფერენციაზე, - ლაპარაკიც არავის მოუსურვებია!

სეიმის 1918 წ. 1 (26) თებერვალის სხდომაზე ევგ. გეგეჭკორი ამბობს (რაც არა-ერთჯერ უთქვამს), რომ

"ამ საათში ჩვენ წინ სდგას საკითხი, **როგორ გადავარჩინოთ, თუ მთლიანი რუსეთი არა,** მისი ნაწილი მაინც, **ვინაიდან** ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვართ რუსეთისა, **ვინაიდან ამ.კავკ. რევოლ. დემოკრატიის არმია არის მხოლოდ ერთი რაზმი ოდესლაც დიდი და ძლიერი სრულიად რუსეთის რევოლუციური არმიისა"...**

მაშინდელი ამბების არ-მომსწრე განცვიფრებით იკითხავს: - როგორ? ამიერკავკასიის სეიმში განა შესაძლებელი იყო ასეთი ლაპარაკი? მაშ სეიმი ვის და რას წარმოადგენდა?

რომ ესეც გარკვეული იქმნეს, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ავხსნათ, თუ როგორ წარმოიშვა ეს სეიმი და ვის ემსახურებოდა იგი.

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დაღუპვის შემდეგ, ტფილისში კვლავ დაისვა საბედისწერო საკითხი: - რა ვქნათ? - და მას პასუხად შემდეგი გაეცა, 12 (25) იანვარს, 1918 წელს: -

"დამფუძნებელი კრების გარეკამ ამიერკავკასია კვლავ თავისი საკუთარი ძალების ამარად მიატოვა... მხარეს (სიკ!) სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მახლობელ დღეებში მოწვეულ იქმნეს კრება დეპუტატთა, არჩეულთა დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიისაგან და **კავკასიის ფრონტიდან"** - და ამ დეპუტატთა კრებისაგან სეიმი დაიბადა, რომელიც თავის თავს, რასაკვირველია, ამიერკავკასიიის ერების დამოუკიდებელ ორგანოდ არა სთვლიდა! და მართლაც არაკავკასიური ხმები ამ არჩევნებში მეტად დიდი იყო, ვინაიდან კავკასიის ფრონტიც იღებდა მონაწილეობას...

თქვენ შეგიძლიათ გადაიკითხოთ სეიმის სტენოგრაფიული ანგარიშები და იქ იშვიათად შეხვდებით ერთ სიტყვას - ერს, ეროვნებას, ეროვნულ ინტერესს, - სამაგიეროდ, ნიადაგ ლაპარაკია რუსეთზე, ამიერკავკასიის დემოკრატიაზე და რევოლუციურ მონაპოვარზე! - თავი დავანებოთ იმას, რომ თითქმის ყველა სიტყვა გაჟღენთილია რევოლუციური აღტყინებით; რევოლუციურ სიტყვათა კორიანტელი სდგას და სასახლეს რევოლუციური ალმური და ბული ასდის, - ეს ბუნებრივია, მაგრამ რაც ბუნებრივად არ შეიძლება მივიჩნიოთ, - ესაა საერთაშორისო და რუსეთის ვითარების სრული გაუგებრობა, მასში გაურკვევლობა, დაბნეულობა! - თვით კავკასიას რაც შე-



გაგრძელება B6 გვერდზე



# აფიშა

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
ქართული და ესტონური მრავალხმიანი სიმღერების კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ამერიკის აკადემია თბილისში
დას: 10:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტრე ჩაიკოვსკი
"გედების ტბა"
(ახალი დადგმა)
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 15:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დათო შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"თავბრუს ხვევა"
(1958)
რეჟისორი: ალფრედ ჰიჩკოკი
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**ახმეტელი**
"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 13:30 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 16:30 სთ.

## გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს ნამუშევართა გამოფენის გახსნა

**ქროსროუდი**
(ირაკლი აბაშიძის 10)
ირინა აბჟანდაძის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

**კოპალა**
ეკა ნათენაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ქარვასლა**
"2004 წლის საუკეთესო ფოტო"
(სააგენტო "როიტერის" ფოტოგამოფენა)

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
პაატა მოისწრაფიშვილის პერსონალური გამოფენა "მინდივნი"
(ფერწერა, გრაფიკა)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

### თბილისის წიგნის VII საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა

**27 მაისი**

**სცენა IV პავილიონი**

13.00 პროზა ავტორის შესრულებით - ბესო ხვედელიძე
13.30 პოეტის წაკითხული ლექსები - გაგა ნახუცრიშვილი
14.00 ლაშა ბუღაძის ინტერვიუ ზაზა ბურჭულაძესთან
15.00 პოეტის წაკითხული ლექსები - შოთა იათაშვილი
16.00 ლაშა ბუღაძის ინტერვიუ რეზო თაბუკაშვილთან
17.00 ლაშა ბუღაძის ინტერვიუ დათო ქართველიშვილთან

**სცენა VI პავილიონი**

12.30 "სპარსული ლირიკა", შემდგენელი - ნომადი ბართაია გამომცემლობა "არტანუჯი"
13.00 ელექტრონული რესურსები - ბრიტანეთის საბჭო
13.30 ჟურნალი "კოტორა" - გამომცემლობა "შალი"
14.00 "სისხლიანი მეოცე", გოგი ხარაბაძე, გამომცემლობა "პეტიტი"
14.30 საგამომცემლო პროექტი "ნობელის პრემიის ლაურეატები", გამომცემლობა "ინტელექტი"
15.00 აქცია "კულინარია", ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ზაალ სამადაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ბესო ხვედელიძე და ლაშა ბუღაძე წარმოადგენენ თავიანთ კულინარიულ ნიჭს.
16.00 "მარად ახალგაზრდა", გამომცემლობა "საქართველოს მაცნე"
17.00 "წიგნის გამოცემისა და გავრცელების ამერიკული სტანდერტები"
ლაშა ბერაია, გამომცემლობა "ლოგოს პრესი", (პრეზენტაცია გამომცემლებისა და გამავრცელებლებისათვის)

# ბესტსელერების ფესტივალი

## თბილისის წიგნის ფესტივალი დაიწყო

ია ვეკუა

ერთადერთი ადგილი, სადაც არც ქართველი ჯარისკაცების ჩექმის ხმა ისმოდა, არც პრეზიდენტების (ჩვენი და ლატვიის) დაცვა ირეოდა და, საერთოდ, ნაკლებად იგრძნობოდა საქართველოს უმთავრესი ეროვნული დღესასწაული, დიდუბის საგამოფენო კომპლექსი იყო. გუშინ "ექსპოჯორჯიას" პავილიონებში თბილისის წიგნის VII საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. მართალია, ორგანიზატორებს გულით უნდოდათ, ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა 26 მაისს მომხდარიყო, მაგრამ ამ დამთხვევამ ოდნავი უხერხულობა მაინც გამოიწვია.

ფესტივალის პირველ დღეს მყიდველის სიხალვათე ჩვეულებრივი მოვლენაა. სტუმრები მას შემდეგ იმატებენ, როდესაც ფესტივალი ეშხში შედის, ყველა მის შესახებ საუბრობს და წაუსვლელობა სირცხვილია. თუმცა, ერთი ტენდენცია მაინც შეინიშნება - გუშინდელი საფესტივალო დღე, ძირითადად, დიდუბისა და ნაძალადევის რაიონების მცხოვრებლებმა აითვისეს. ისინი საგამოფენო კომპლექსის ხშირი სტუმრები არიან (მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებული თბილისელები შვილებს და ძაღლებს სწორედ აქ ზრდიან), ამიტომ თავს შინაურულად გრძნობდნენ. აი, ცენტრალური უბნების მოსახლეობას კი ფესტივალის ოგრანიზატორებმა ნამდვილი თავსატეხი გაუჩინეს.

ექვსი წლის განმავლობაში წიგნის ფესტივალი ყველასთვის ადვილად მისადგომ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის



*წიგნები, წიგნები, წიგნები.*

ფოიეში იმართებოდა. წელს ორგანიზატორებმა დიდუბეში მოძრავი ტრანსპორტის მძღოლებთან დადეს "ხელშეკრულება" და თანაქალაქელებს გზა გაუგრძელეს. თუმცა, წიგნის ჭიები ნებისმიერ ხვრელში სიხარულით შეძვრებიან. ასე რომ, ამ მხრივაც საწუწუნო არაფერია.

წიგნის ფესტივალის უმთავრესი დებულება პროდუქციის საგამომცემლო ფასში გაყიდვას ლალადებს. ეს ღონისძიება რალაცით მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებსაც შეიძლება შევადაროთ, რომლებიც მყიდველს "სასაცილო ფასებითა" და ორიგინალური სამოსით იზიდავს. წიგნის ბაზრობის ფასები, მართლაც, სასაცილოა, ორიგინალობა და მრავალფეროვნება კი ოდნავ მოიკოჭლებს.

ერთ-ერთი სადურგლო საამქროს მფლობელი ფესტივალს ავეჯის დიზაინის წიგნის საყიდლად ეწვია. მსგავსი გამოცემის ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა. აქ შეხდებით ნიუ იორკის, პარიზის, აღმოსავლური და სხვა კულტურებისთვის დამახასიათებელი ავეჯის შესახებ შექმნილ გამოცემებს, თუმცა, მათი ფასი დაახლოებით იმდენივეა, რამდენადაც თავის საამქროში ერთ კარგ ტუმბოს გააკეთებს. ამ გამოცემების ფასს მათი მაღალპოლიგრაფიული დონე განაპირობებს, თანაც, გამყიდველს უცხოეთიდან ჩამოაქვს. ტენდენცია მეორე: ქართული გამომცემლობები არ ინტერესდებიან პროფესიონალური ლიტერატურით.

სამაგიეროდ, ბესტსელერების ფართო არჩევანს გვთავაზობენ. ამ მხრივ აშკარა ლიდერები არიან ქართველი აკა მორჩილაძე და ბრაზილიელი პაოლო კოელიო. თუ ამ ავტორებს ცხოვრებაში რამე დაუწერიათ, ყველაფერს აქ ნახავთ. თან საკმაოდ კარგ ფასად (საკოლმეურნეო ბაზარში საღამოობით რომ არის). ტენდენცია მესამე: კარგი წიგნი კარგად იყიდება.

საგამომცემლო ფასებით მყიდველიც კმაყოფილია და გამომცემელიც, რომელიც ორჯერ უფრო კმაყოფილია, რადგან ბევრი გამომცემლისთვის წიგნის ფესტივალი საკუთარი საქმიანობის რეკლამირების საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ ისინი ულრმეს მადლობას უხდიან ფესტივალის ორგანიზატორებს: კულტურის სამინისტროსა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა საზოგადოებას, პოტენციური მყიდველის როლში შესულ სტუმრებს და ავტორებსაც, რომლებიც წლიდან წლამდე მათ გამოსაცემ წიგნებს თხზავენ.

# ხელოვნება თავისუფლებისთვის

## მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

ვერა ნეფარიძე

*ხელოვნების ფესტივალები, თუნდაც ერთდღიანები, ალბათ გაცილებით დიდი აუდიტორიისთვის უნდა იმართებოდეს, ვიდრე გუშინ "ხელოვნების ნაციონალურმა ცენტრმა" მოახერხა შემოეკრიბა; ამ ფესტივალების "სახალხოობა" ალბათ მით უფრო უნდა იგრძნობოდეს, როდესაც ისინი ისეთ მნიშვნლოვან სახელმწიფოებრივ დღესასწაულს ეძღვნება, როგორიც ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეა და თუ მის ორგანიზებაში დედაქალაქის მუნიციპალური სამსახურია ჩართული. მაგრამ ერთდღიანი, 26 მაისისადმი მიძღვნილი "ხელოვნება თავისუფლებისთვის" გამოვიდა ისეთი, როგორიც მოინდომეს ორგანიზატორებმა, რომ გამოსულიყო. და ამით ალბათ ბევრის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც არ შელახულა...*

"ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში" ორგანიზებულ გუშინდელ ფაციფუცს სპონტანურობა აშკარად ეტყობოდა. ფესტივალის მონაწილეთაგან ზოგიერთს სწორედ ეს მოეწონა - ის, რაც, მათი აზრით, მოკლებული იყო გარკვეულ ჩარჩოებს. თუმცა, ჩემი აზრით, ის, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე გამომსვლელი თუნდაც ორი დღით ადრე მაინც უნდა გააფრთხილონ დედაქალაქის მუნიციპალური სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიების შესახებ, სულ ცოტა, დედაქალაქის მოსახლეობა მაინც რომ უნდა იყოს ინფორმირებული, ანბანური ჭეშმარიტებაა.

გუდიაშვილის ქუჩაზე, იქ, სადაც "ხელოვნების ნაციონალურმა ცენტრმა" დაიდო ბინა, ასე თუ ისე,



*ხელოვნება ლუდის გარეშე ძნელი წარმოსადგენია*

შეიკრიბა დამთვალიერებელი. ბოლოს და ბოლოს, ამ ქალაქში თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობს და გამოფენის მონაწილეებსაც (მით უმეტეს, რომ მათ შორის ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ავტორებიც არიან) იმდენი ახლობელი ნამდვილად მოეძებნებოდათ, რომ ოთხ დარბაზში წარმოდგენილი ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები დაეთვალიერებინა.

ფესტივალი ცენტრის საგამოფენო სივრცესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ანუ "ალექსანდრეს ბაღში" გაიმართა. ორგანიზატორებმა შეკრიბეს თანამედროვე ხელოვნებაში მომუშავე ქართველი, ამერიკელი, ფრანგი და რუსი ავტორები; მათთან ერთად, საკუთარი ხელოვნება თავისუფლებას მიუძღვნეს მუსიკოსებმა, პოეტებმა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა.

"ეს არის აქ ჩემი პირველი გამოფენა. მიხარია, რომ მეც ერთი ნაწილი ვარ მთლიანი გამოფენისა, რომელსაც ჰქვია "ხელოვნება თავისუფლებისთვის", - მითხრა ფრანგმა ფოტოგრაფმა პასკალ ლეოპოლდმა, რომელმაც ექსპოზიციაზე რამდენიმე ფოტონამუშევარი წარმოადგინა (მათ შორის ფოტოსერია "ჩემი ქართველი მეგობრები"). "ამ შემთხვევაში ჩემი მიზანია თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და ამ იდეის საზოგადოებამდე მიტანა. ეს იდეების კომპლექსია. დღევანდელი დღე ესაა ხელოვანებისა და სტუდენტების დამოკიდებულება კონკრეტულად დღევანდელი დღისადმი. ფაქტობრივად, ესაა მოკლე დროში ნახევრად ენთუზიაზმით გაკეთებული გამოფენა. ესაა დასაწყისი იმ დიდი გეგმების, რაც სამომავლოდ გვაქვს; 2006 წელს ამ ყველაფერს ალბათ უფრო დიდი მასშტაბი ექნება. ეს არის ხელოვანთა შემოქმედებითი იდეების სტუდენტებთან განხორციელების მცდელობა. ამას გარდა, დღევანდელი ღონისძიება "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის" პირველი ნაბიჯებია", - აქციის შესახებ გაგვიზიარა საკუთარი შთაბეჭდილება ცენტრის წარმომადგენელმა, მხატვარმა ყარამან ქუთათელაძემ. აქციით კმაყოფილები იყვნენ ორგანიზტორებიც: "ძალიან კარგი ინიციატივაა, რომელიც ეკუთვნის ვიზუალური ხელოვნების წარმომადგენლებს. ესაა მულტიმედია ღონისძიება, რომელიც თავისუფლებას ჰიმნს უმღერის საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს", - ამბობს ირაკლი კაკაბაძე, რომელიც გუშინ წარმოდგენილი ელექტრონული ოპერის ერთ-ერთი ავტორია. "ელექტრონული ოპერა, რომლის ცოცხალი მუსიკის ავტორია ზუმბა, ელექტრონულის კი - გოგი ძოძუაშვილი, საკმაოდ არატრადიციულია და მასში მონაწილეობს ყველა, ვინც აქ ვართ: მხატვრები, მწერლები და მუსიკოსები. ოპერის ერთ-ერთი ვოკალისტია ბილ კელი, რომელსაც მივუძღვენით ეს ნაწარმოები".

მას შემდეგ, რაც ცენტრის საგამოფენო სივრცეში დაათვალიერეს გამოფენა, დალიეს ბევრი ლუდი და იმხიარულეს, ფესტივალის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა ალექსანდრეს ბაღში გადაინაცვლეს. ბაღში "ცოცხალი მუსიკოსების" მონაწილეობით კონცერტი იყო დაგეგმილი. როგორც ყოველთვის, დიდი დრო დასჭირდა აპარატურის მოტანას, აწყობას, რაშიც კიდევ უფრო იგრძნობოდა კონცერტისადმი და შეკრებილი მსმენელისადმი ორგანიზატორების დამოკიდებულება. ამჯერად, უბრალოდ, გავიმეორებ ზუმბას სიტყვებს (რომელიც პირად საუბარში გამოთქვა და არა საჯაროდ): როდესაც არარეკლამირებულ კონცერტზე ამდენი ხალხი შეიკრიბება, ადვილი წარმოსადგენია, სინამდვილეში როგორი მოთხოვნილებაა მსგავს კონცერტებზე. იმედია, მომავალი 26 მაისისთვის უფრო მომზადებულები ვიქნებით.

# სულიერი ვირთხები

ირაკლი ჩარკვიანი

ამას წინათ წავიკითხე ჩემი ინტერვიუ ჟურნალ "სარკეში", რომელშიც ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც ყველა დროში შემძვრალები იყვნენ სახელისუფლებო სტრუქტურებში, იმათზე, ვინც შევარდნაძის დროს ვირთხებივით გასუსულები და შეშინებულები ელოდნენ ახალ სოროებს, რომ კვლავ შემძვრალიყვნენ, იმათზე, ვისაც ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ იმისკენ, რომ საქართველოში ახალ აზროვნებას გაემარჯვა. დღეს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ შეძვრნენ მათთვის ჩვეულ ადგილებში და იქიდან ცდილობენ, თანამედროვე ქართულ კულტურას ჩამოაშორონ ის ხალხი, ვინც თავდაუზოგავად, ათწლეულების განმავლობაში იმ დემოკრატიული ფასეულობებისთვის იბრძოდა, რისი დამკვიდრებისთვისაც მოხდა ვარდების რევოლუცია, ჩამოაშორონ ისინი, ვისი ლირიკა და მუსიკა ათწლეულების მანძილზე იმ ფასეულობების დამკვიდრებას ცდილობს, რის გამოც ამერიკის პრეზიდენტი ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში.

ამგვარი ვირთხების აზრით, ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება არ არის პატრიოტული. ამას ამბობს ყოვლად ჩამორჩენილი და თანამედროვე მუსიკალურ მიმართულებებს აცდენილი ადამიანი და ანდერგრაუნდზე და ალტერნატიულ მუსიკაზე მელაპარაკება. მისი არაკომპეტენტური აზრით, ქართული პატრიოტული ესტრადა სულ სხვა რამ არის... ძალიან მაინტერესებს, ვის და რას გულისხმობს ეს საეჭვო რეპუტაციის მუსიკისმცოდნე. თურმე მას როგორც მოეპრიანება, ისე განსაზღვრავს, ვინ უნდა მიიწვიოს კონცერტზე, ანუ სახელმწიფო ღონისძიებაზე, რომელსაც დაბადების დღეს ადარებს (ალბათ საკუთარ დაბადების დღეს). აი, ასეთი ხალხი შეესია კვლავ კულტურის სფეროს, ხალხი, რომელიც - "გადმოვცურავ ზღვას", "მოგიტან წყალს", "საქართველო", "ვიცი რომ"-ს, "ისტორიას" და სხვა აბსოლუტურად მეინსტრიმულ კომპოზიციებს ალტერნატიულ ნაწარმოებებად მოიაზრებს. ასეთი განათლების ადამიანს ჩვენი სახელმწიფო მოხელეები ანდობენ სახელმწიფო სახსრებს, ადამიანს, რომელიც კერძო ფონდიდან ფულის უყაირათო ხარჯვის გამო გამოისტუმრეს. საყვარელო მმართველებო! ამ ვირთხების შემოსევას კვლავ განიცდის დემოკრატიულ ფასეულობებზე და საერთაშორისო ინტეგრაციის პრინციპებზე აგებული თქვენი ქვეყანა.

მე, ირაკლი ჩარკვიანი, უბრალოდ, გაფრხილებთ, რომ, სანამ დროა, გათავისუფლდეთ სახელმწიფო მნიშვნელობის კონცერტებზე შელახული და თანამედროვე ხელოვნებაში შემომძვრალი დილეტანტებისგან, რომლებიც ალტერნატივას პოპ-მუსიკისგან ვერ არჩევენ. დაფიქრდით, ასეთ ხალხს ნუ დართავთ ნებას სახელმწიფო მნიშვნელობის კონცერტები ჩაატარონ, რადგან ეს ქვეყნის მომავალ იმიჯს საშინელ დარტყმას მიაყენებს, თორემ მე მაინც ბუშის უკან ვიდგები ლოჟაში, მავანი კი, ვირთხასავით შეუმჩნეველი, თავისი არაკომპეტენტური აზრებით თავში, შეშინებული ირბენს ხელისუფალთა ჯიბის შემყურე და მას, როგორც გარდასული ეპოქის რუდიმენტს, ფონოგრამა ჩაიხვევს წარსულში.

მუზეუმი

# გასახსნელი კონსერვისთვის

დესი დაშკოვა

*"ჩვენ ახლა სიმშვიდე გვჭირდება, თორემ ვიჩხუბებთ. მოდი, შევიდეთ მუზეუმში", - სთავაზობს კაცი ქალს. მუზეუმიდან გამოსულები: "გამომყევი ცოლად" - კაცი წინადადებას აძლევს ქალს" - უფროსი თაობის მოგონებიდან. სიმშვიდე, ესთეტიკა, ამბები, ფიქრები, აზრები, იდეები, სევდაც, ტკივილიც, მაგრამ ბევრი პოზიტივი - ეს მუზეუმია. ზოგჯერ ექსკურსიებზე დადიან მუზეუმებში, მაგრამ მუზეუმში არ შედიან. ადრე სხვაგვარად ყოფილა. ბევრს გაუგია "პრადო" და "ლუვრი", მაგრამ საკუთარ ქალაქში რა და რა მუზეუმებია, არ იციან. და საერთოდ, რისთვის ან ვისთვისაა მუზეუმი?! "24 საათი" გთავაზობთ წერილების ციკლს - თბილისის სახლ-მუზეუმების მეგზური.*

ვერა, ბაქრაძის ქუჩა 10. სადარბაზო შესასვლელთან ვკითხულობთ: "ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი". სამოციანი წლების ძველ ფოტოებზე წარწერიანი დაფა უკეთ შესამჩნევია, უფრო თვალსაჩინო, ვიდრე დღეს სადარბაზოსთან მდგარი შეამჩნევ. ეს ფასადის ბრალია, სახლი გარედან გასარემონტებელია - შესალესი და შესაღები.

სახლ-მუზეუმი ორ სართულზეა განლაგებული. უფრო ზუსტად, უნდა იყოს ორ სართულზე, რადგან ორივე მისი საკუთრებაა, მაგრამ პირველი სართული ცუდ მდგომარეობაშია. იქ, თუ რემონტი არ გაკეთდა, ექსპონატებს ვერ მოათავსებ. მეორე სართულზე კი ბევრია ადგილის მისაჩენი ექსპონატი. თუნდაც, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების ამსახველი, ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერული დიდი ფორმატის ტილოები, შუშაბანდის ფანჯრებზე რომ არ იყოს მიყუდებული. თითოეული ტილო ხომ ისტორიის, ინფორმაციის წყაროა და ცოდნის მიღების საშუალება. მეორე სართულზე სტაციონარული ექსპოზიცია 9 ოთახშია განთავსებული. იქ ორი ათასზე მეტი ექსპონატია, რომლებიც მთლიანად მოიცავს ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ფაქტებს. ეს საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

### ამბავი

"ის მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მიუზიდნია ქართული ხალხური სიმღერების სიკეთესა და სიტკბოებას, ბევრ ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაიღონ ნოტებზედ საყოველთაო საცნობელად. სიმღერა-გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. ნუთუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა ზედ გადააბას წარმოდგენებსა", - ოცნებობდა ილია ჭავჭავაძე კლასიკური ოპერის შექმნაზე.

ეს ილიას გარდაცვალების შემდეგ წლებში ახდა. ზაქარია ფალიაშვილი პეტრე მირიანაშვილის ლიბრეტოს მიხედვით წერს ოპერას "აბესალომ და ეთერი". ტრაგიკულმა ფაქტმა, ერთადერთი შვილის გარდაცვალებამ, შეაფერხა ოპერაზე მუშაობა და 1919 წლის 21 თებერვალს ოპერა დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, რომელსაც დირიჟორობდა ავტორი. რეჟისორი იყო ალექსანდრე წუწუნავა. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ აბესალომი უკვე ვანო სარაჯიშვილმა იმღერა. ეს დიდი ეროვნული დღესასწაულიაო, აღნიშნავდა მაშინდელი პრესა. ქართული საზოგადოებისთვის ქართულ უნივერსიტეტს ფეხდაფეხ მიდევნებული ქართული კლასიკური ოპერა ზეემოციური სიამაყე იყო - "დიდება ამ გზის პიონერს, ზაქარია ფალიაშვილს".



ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი

მუზეუმის ექსპონატებით მოწოდებული ფაქტები მუზეუმის დამთვალიერებელსაც არანაკლებ სიამაყით და ენერგიით ავსებს, სპეციალისტებისთვის კი კვლევისა და ცოდნის მიღების ამოუწურავი წყაროა. "მუზეუმში დადიან საშუალო და მუსიკალური სკოლების მოსწავლეები (რა თქმა უნდა, ექსკურსიების ფორმატით, აბა სხვაგვარად როგორ იქნება!- დ.დ.)., ერთეულები კონსერვატორიიდან. გვეგონა, ჰიმნის ავტორობა მაინც "დაეხმარებოდა" ფალიაშვილის მიმართ ინტერესის გაღვიძებაში, მაგრამ სულ რაღაც ერთკვირიანი ყურადღება გამოიწვია", - ამბობს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი თამარ მარი. იმედი მაქვს, რომ ფალიაშვილების გენეალოგიური შტოს ამსახველი სტენდის გაცნობის შემდეგ, სადაც ერთი ოჯახის ხუთი მუსიკოსია აღნიშნული, მუსიკის ისტორიაში განსწავლულ მოსწავლეებს იოჰან სებასტიან ბახის ანალოგიური მუსიკალური ოჯახის ასოციაცია მაინც დაებადებათ. მერე იყო ოპერა "დაისი" და, საერთოდ, ზაქარია ფალიაშვილის მთელი ცხოვრება უშურველი და თავდაუზოგავი შემოქმედებაა, მაგრამ ამას უკეთ მუზეუმი გვიამბობს.

### კაცი, რომელსაც ფალიაშვილი ძალიან უყვარდა

"მუდამ კაბინეტების მოსაცდელში მჯდომარეს, უკვე ასე მიძახდნენ: - ფალიაშვილი! შემოდი!", ასე იხსენებდა მუზეუმის დაარსების რთულ პერიოდს ვაჟა ჩინჩალაძე. ისინი კი, ვინც ვაჟა ჩინჩალაძეს პირადად იცნობდნენ, გაიხსენებენ, რომ მას ფანატიკურად უყვარდა ზაქარია ფალიაშვილი და ამ სიყვარულს გამოხატავდა ყველგან და ყოველთვის. ეს ტრფიალი მან საქმით გამოხატა - გააცოცხლა კომპოზიტორის საცხოვრებელი კერა, როგორც მისი თანამედროვეები ამბობენ, "ერთი საქაღალდით წამოვიდა წინა სამსახურიდან - კულტურის სამინისტროდან და ქართული მუსიკის გულშემატკივართა დახმარებით ცარიელ ადგილზე შექმნა მუზეუმი". მოიპოვა ექსპონატები, უფრთხილდებოდა და თანამშრომლებისგანაც სადარაჯოზე ფხიზლად დგომას მოითხოვდა. ერთხელ ასეთი ექსპერიმენტიც ჩაუტარებია, გადაუმალავს ექსპონატი, აბა, შეამჩნევენ თუ არაო - მოდუნების საშუალებას მუზეუმში არავის აძლევდა. კომპოზიტორის დაბადების დღეს, 3 აგვისტოს, მის ნათესავებთან ერთად აღნიშნავდნენ მუზეუმში. ხოლო მისი მეგზურობით წარმართულ დათვალიერების პროცესს თვითმხილველები მონოსპექტაკლს უწოდებდნენ. ილუსტრირებისთვის როიალს თავად მიუჯდებოდა და ოპერიდან სხვადასხვა ადგილს უკრავდა. ბაქრაძის ქუჩის წესრიგი და სანიტარიული მდგომარეობაც კი საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ მოაქცია - "თქვენ ეს ჩვეულებრივი ქუჩა ხომ არ გგონიათო?" მუზეუმში ბატონი ვაჟას მიერ დანატოვარი ალბომებია, რომლებშიც თავმოყრილია ყველაფერი, რაც კი წლების განმავლობაში პრესაში გამოქვეყნებულა. ეს მასალა, სხვა მრავალფეროვანთან მასალასთან ერთად, ქართული მუსიკის კიდევ ერთი გამოსაკვლევი წყაროა. მუზეუმში ყოფნას არაფერი ერჩივნაო. თუ სახლში მოუწევდა ყოფნა, იქაც ფალიაშვილზე გვესაუბრებოდაო, - ამბობენ მისი ოჯახის წევრები.

### ამბის გაგრძელება

მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები დღესაც მოვლილი და შესაძლებლობის ფარგლებში ნაპატრონებია, 2002 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა სახლ-მუზეუმის თანამშრომლების თამარ მარისა და ალექსანდრე ხურციძის საპროექტო განაცხადის საფუძველზე 12 327 ამერიკული დოლარის ღირებულების სამუშაო ჩაატარა. ექსპოზიციას განახლება სჭირდება, ბევრი ექსპონატისთვის ახალი ჩარჩოა საჭირო. პირველი სართულის გარემონტება და ექსპონატებით შევსებაც საშური საქმეა, სასურველია ესთეტიკური გარემოს შექმნაც - თუნდაც ყავლგასული ფარდების გამოცვლა, შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება - ადმინისტრაციის სამუშაო ოთახების მოწესრიგება, სათავსების გარემონტება. როგორც მუზეუმში გვითხრეს, მერიის კულტურის განყოფილებიდან შეპირებულები არიან, მაგრამ დინამიკა ჯერ არ იგრძნობა. მუზეუმი ვერც მაინცდამაინც მედიის ინტერესით დაიტრაბახებს - რამდენიმე ღონისძიებაზე დაუპატიჟებიათ ტელევიზიები და ზრდილობიანი უარი მიუღიათ - უფრო პრობლემური და აუცილებლად გასაშუქებელი საკითხები გვაქვსო.

დღეს მუზეუმის დირექტორი კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი დიდად არის დაინტერესებული ისეთი აქტივობის დანერგვით, რომელიც გაზრდის მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვს და, შესაბამისად, პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ მუსიკას. მუზეუმში კომპიუტერი არის, მაგრამ ინტერნეტში ვერ მუშაობენ, სხვა მუზეუმებთან კავშირი არა აქვთ, რომ სამუზეუმო მუშაობის ნოვაციებს გაეცნონ, ითანამშრომლონ მსოფლიოს სხვადასხვა სახლ-მუზეუმთან. არა აქვთ მუზეუმის მეგზური (სამოციანი წლების შემდეგ არ გამოცემულა). დირექტორს და თანამშრომლებს ბევრი ჩანაფიქრი აქვთ, მათ შორის შემოქმედებთან, ტურისტულ ფირმებთან თანამშრომლობა, რაც მუზეუმის მუშაობას სრულფასოვანს გახდის და ჰარმონიულად გადავლენ თვითდაფინანსებაზე, მანამდე კი მოსაწესრიგებლად ხელშეწყობა სჭირდებათ.

შესანიშნავია, რომ კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ საქართველოს ჰიმნი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნა.

**P.S.** შინ დაბრუნებულს, ჩემი მეზობელი ოთხი წლის ლიზიკო კიბეზე მხვდება, იქვე გაუშლია "სახლობანა" და მონდომებით მღერის: "ჩემი ხატია სამშობლო..."

# ესპანური მოდერნი - სუსტი ნერვების ადამიანები მოერიდეთ!

ნათია ლურსმანაშვილი

არანაირი ფოტო, არანაირი ალბომი არ მოგცემთ სრულ და რეალურ წარმოდგენას ესპანურ მოდერნზე. აქ ირღვევა არქიტექტურის ყველანაირი დოგმა და კანონი, მაგრამ წარმოიქმნა ახალი ჰარმონია - დახვეწილი და მშვენიერი. რას არ ნახავთ აქ - ამობურცული, ჩაღრმავებული, მომრგვალებული, ოვალური და, ღმერთმა იცის, კიდევ როგორი ფორმის კარები და ფანჯრები. შენობის გარე და შიდა სივრცის წარმოუდგენელი შერწყმა, წარმოუდგენელი კიბეები. გასაოცარი ავეჯი და დეკორი. შენობის კედლები ზღვის ტალღებს ჰგავს, სპირალივით იხვევა და, თითქოს გემუქრებიან, რომ ეს-ესაა მთელი სახლი თავზე დაგენგრევა. ის ახალი მასალები, რომლის გამოყენებაც არქიტექტორებმა იმ დროს დაიწყეს, მათ შემოქმედებას ხან უაზრო, ხან კი ზღაპრულ ფორმას ანიჭებდა.

ესპანეთში მოდერნისიმო (როგორც აქ ეძახიან მოდერნს) 1880-1920 წლებში გავრცელდა. უდავოა, ესპანური მოდერნის ნამდვილი მუზეუმი ბარსელონაა. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ესპანური მოდერნი მხოლოდ არქიტექტორი ანტონიო გაუდით შემოიფარგლება. ბარსელონაში ამ პერიოდში წარმატებით მუშაობდა 30-ზე მეტი მოდერნის სტილის ერთგული არქიტექტორი. მათმა ფეთქებადმა ტემპერამენტმა, ერთმანეთთან შეჯიბრებამ რაღაც სავსებით წარმოუდგენელი დაბადა. მათ მოახერხეს და გააერთიანეს ის, რისი ერთმანეთთან დაკავშირებაც იმ დრომდე წარმოუდგენელი იყო.

ესპანური მოდერნის სულის შესაგრძნობად კარგი იქნებოდა, თუ კატალონიური მუსიკის სასახლეს ეწვეოდით. აქ საკმაოდ ხშირად იმართება იმ დროის კომპოზიტორების სიმფონიური მუსიკის კონცერტები (ჩარლზ ივესი, მორის რაველი, ედგარ ვარეზი და სხვები). თვითონ შენობა კი ალბათ მთელ მსოფლიოში ყველაზე უცნაური თეატრია, რომელიც მოდერნის სტილში აშენებულა. ის, რასაც დაინახავთ და იგრძნობთ, უბრალოდ, აღგაფრთოვანებთ. ეს თეატრი ერთადერთია მთელ ევროპაში, რომელიც ბუნებრივად ნათდება. მზის სხივი უამრავ ვიტრაჟულ ფანჯარასა და უზარმაზარ ვიტრაჟულ ჭერში გაივლის. გადის ცისფერ, იისფერ შუშებში და დარბაზს უჩვეულო პალიტრით აფერადებს. შებინდებასთან ერთად კი გეჩვენება, რომ უამრავი ქვის ფიგურა, რომელიც კედლებს ამშვენებს, ნელ-ნელა ცოცხლდება. ჩრდილები თანდათან ღრმავდება და ბარელიეფები და ქანდაკებები თითქოს მოძრაობას იწყებენ. გარშემო კი მოდერნის ეპოქის მუსიკა ჟღერს. ეს ყველაფერი საოცარ ჰარმონიას ქმნის.

ახლა კი, შინაგანი გადატრიალების შეგრძნებით და ყველა დოგმისა და ტაბუს დანგრევის შემდეგ, შეგიძლიათ ქალაქშიც გაისეირნოთ. რა თქმა უნდა, დაინახავთ წმინდა ოჯახის ტაძარს - შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ შენობასაც კი მსოფლიოში. მორწმუნე ადამიანს ალბათ გულს შემოეყრება - ის აბსოლუტურად განსხვავდება იმ ხატისგან, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქრისტიანული ეკლესია.

გულს შემოეყრება, თანაც, ორჯერ: - პირველად ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილთან, რომელიც 100 წლის წინათ ანტონიო გაუდიმ ააგო და მეორედ მის სამხრეთ ფასადთან, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში აიგო. ასე რომ, ფრთხილად იყავით და ვალიდოლის წალებაც არ დაგავიწყდეთ. ტაძარი მოდერნის სტილში - ეს ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც, ვთქვათ, რომის პაპი ვატიკანის ტრიბუნაზე რომელიმე მოდური დიზაინერის ორიგინალურ კოსტიუმში, ან სულაც შოტლანდიურ ეროვნულ ქვედაბოლოში რომ ვიხილოთ. თუმცა, უკვე 100 წელიწადია, ტაძრის იერსახეს მიეჩვივნენ და დღეს ბარსელონა არცთუ უმიზეზოდ ამაყობს მისით.

ბოლოს შეგიძლიათ ეწვიოთ უამრავ საკუთარ სახლსაც, რომლებიც მოდერნის სტილშია აგებული. მათი ინტერიერი ყველაზე მდიდარი ფანტაზიის ადამიანსაც კი განაცვიფრებს. მოუმზადებელს კი ნამდვილად შოკი ელის.

ცოტა რამ ისტორიიდანაც გავიხსენოთ: XIX საუკუნის 70-იან წლებში მოსახლეობის საშუალო ფენისთვის აგებული საცხოვრებელი სახლები ქალაქის ცენტრ პასეო დე გრასიას გარშემო ახალი ბარსელონის ჩამოყალიბების საწინდარი გახდა. ქალაქის ამ ნაწილის რეკონსტრუქციამ და შემდგომმა განვითარებამ საწყისი მისცა არტ ნუვოს კატალონიურ ვარიანტს, რომელსაც მოდერნისიმო დაერქვა. 1900 წლისთვის, მოდერნის სტილის განვითარების დროს, ქალაქი უკვე დაგეგმილი იყო. ცენტრის გარშემო, რომელსაც Eixample ერქვა (სადაც პასეო დე გრასია და ახლომახლო მდებარე ქუჩები შედიოდა), პრესტიჟული სახლების გვერდით უბრალო საცხოვრებელ შენობებს, ასევე მსხვილ დაწესებულებებსაც - საავადმყოფოებს, ციხეებს შეხვდებოდით.



ბარსელონა, გაუდის წმინდა ოჯახის ტაძარი



ამ რაიონში მოდერნისიმომ თავისი გამოვლინება მსხვილ კომპლექსებში ნახა, ისეთში, როგორიცაა საავადმყოფო სან პაუ ქალაქის გარეუბანში. "ოქროს კვადრატში" კი უამრავი სასახლე აშენდა. ერთ-ერთი მათგანია ანტონიო გაუდის კასა მილა (1905-1910), რომელსაც "ლა პედრედას" სახელით იცნობენ.

ახლად დაპროექტებულ შენობებთან ერთად არქიტექტორები ძველ შენობებსაც ალამაზებდნენ. ცნობილი რეზიდენციები არტ ნუვოს სტილში პასეო დე გრასიაზე, როგორებიცაა კასა ლეო მორერა, კასა ამატლერი და კასა ბატლო დომენიკ მონტანეროს, პუიგ კადაფალკას და ანტონიო გაუდის ავტორობით, ძველი, რესტავრირებული ნაგებობებია. ახალ სტილშია შესრულებული მათ ქვედა სართულებზე განთავსებული ძვირფასი მაღაზიებიც.

ინტერიერისთვის დამახასიათებელი სიმდიდრე თითქოს ფასადების გაფორმებას აგრძელებს, რომლებიც, თავის მხრივ, შიდა დეკორის განუყოფელი ნაწილია. ორიგინალური ბუხრები, კარები, ფანჯრები, იატაკი და ჭერი საოცარი ოსტატობითაა შესრულებული. მაგიდები, საწოლები, კარადები, შირმები და სხვა ავეჯი შესანიშნავად ჯდება ინტერიერში ისეთ დეტალებთან და აქსესუარებთან ერთად, როგორიცაა ხალიჩები, ნათურები და კარის სახელურები.

მოდერნის ცნობილმა არქიტექტორებმა ასეთი "ერთიანი გარემოს" შექმნით სრულყოფილებას მიაღწიეს. ისინი მხატვრებთან, ხელოსნებთან ერთად მუშაობდნენ, ერთად ამზადებდნენ ყველა საგანს ამ სტილის მიხედვით და უმცირეს დეტალებსაც კი ითვალისწინებდნენ. ასეთი მიდგომის ნათელი მაგალითებია არქიტექტორ დომენიკ მონტანერის საკონცერტო დარბაზი და სან პაუს საავადმყოფო.

თუმცა, დომენიკომ და მისმა თანამედროვეებმა - გაუდიმ, კადაფალკამ, რაფაელ მასომ და ხოსე მარია ხუხოლმა - "ინტეგრარული სტილის" შედარებით მოკრძალებული შედევრების შექმნისას არანაკლები ოსტატობა გამოავლინეს. ამის შესანიშნავი მაგალითია კასა ლეო მორერა. თავიდან ეს მცირე ზომის, უსწორმასწოროკედლიანი ნაგებობა იყო. დომენიკი რთული ამოცანის წინაშე დადგა: ძველი შენობა ახალი არქიტექტურის შედევრად უნდა ექცია. მხატვრებისა და მუშების ჯგუფთან ერთად შენობის გადაკეთებას შეუდგა - შეეხო ინტერიერსაც და ექსტერიერსაც; თავიდან შეიქმნა დეკორის ყველა ელემენტი - ვიტრაჟებით დაწყებული, ქანდაკებებითა და ავეჯით დამთავრებული. შედეგად, ულიმღამო სახლი ნამდვილ სასახლედ იქცა.

თავისი მოულოდნელობით ესპანური მოდერნი ბევრს მოსვენებას არ აძლევდა. მას ყველა მხრიდან უტევდნენ. კლასიკოსები - აზრის უქონლობის გამო, ავანგარდისტები კი ზედმეტ სიღრმესა და ელიტურობაში სდებდნენ ბრალს. პურიტანელები უსირცხვილობას სწამებდნენ. ერთი სიტყვით, ყველასგან ხვდებოდა.

ესპანური მოდერნის გაცნობის შემდეგ შეგიძლიათ საფრანგეთში, ჩეხეთში, ავსტრიაში გაემგზავროთ. ამის შემდეგ საკუთარი ციხესიმაგრის აგებაზეც იფიქრებთ - მოდერნის სტილში, რაღა თქმა უნდა. თუმცა, გენიალური არქიტექტორი უნდა შეარჩიოთ. თორემ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თქვენც ისევე გაგიმართლოთ, როგორც ერთი ცნობილი ისტორიის გმირს: XIX საუკუნის ბოლოს მოსკოვში, ცნობილი ხალხთა მეგობრობის სასახლის აგებისას, არქიტექტორმა დამკვეთს ჰკითხა - რომელ სტილში ავაგო შენობა: გოთიკაში, ნეოკლასიკაში თუ მავრიტანულშიო. ამ საკითხში ნაკლებად გათვითცნობიერებულმა ვაჭარმა კი უპასუხა: "ყველაფერში ააგე - ფული ბევრი მაქვსო". ამ ამბავს მოსკოვის ყველა არისტოკრატის ოჯახში ყვებოდნენ. ვაჭრის დედამ - ადრე მარტო მე ვისმენდი ჩემი შვილის ბედოვლათ აზრებს, დღეს კი მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობსო. თუმცა, არქიტექტორი მშვენივრად გაუმკლავდა დავალებას - ყველა სტილში ააგო, ზუსტად ისე, როგორც დამკვეთი მოითხოვდა. დღეს ეს შენობა ესპანური და პორტუგალიური მოდერნის შესანიშნავი მაგალითია.

ფეხბურთი

# ზღაპრის გმირები

## ლივერპულელთა ფინალისშემდგომი გამონათქვამები



ლაშა გოდუაძე

**რაფაელ ბენიტესი, მწვრთნელი:**

...ჩვენ გულშემატკივრებისთვის გავიმარჯვეთ! ეჭვი არაა, ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება და ღამეა! შესვენებაზე ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავით და ცხადი იყო, რომ რაღაც უნდა გვეღონა. განვახორციელე რამდენიმე ცვლილება, რომელიც გუნდს თამაშის გამოსწორებაში დაეხმარა. საბედნიეროდ, პირველი გოლი მალევე გავიტანეთ, დანარჩენი კი ინერციით მოხდა. ჯერარდის გოლის შემდეგ "მილანს" დაახლოებით იგივე დაემართა, რაც ჩვენ მალდინის გოლის მერე. დამატებით დროში ჩემი ბიჭებით უკვე ვამაყობდი, პენალტების შემდეგ კი თავი სიზმარში მეგონა! ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელების გამო! რაც შეეხება სტივენ ჯერარდს, ის ჩვენი გუნდის ნამდვილი ლიდერია და მიხარია, რომ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა!

**სტივენ ჯერარდი, კაპიტანი:**

...პირველ ნახევარში "მილანმა" აშკარად გვაჯობა, თუმცა, შესვენების შემდეგ ჩვენ უკეთესად ვითამაშეთ. მეგონა, რომ ფინალის შემდეგ აცრემლებულები ვიდგებოდით და მეტოქის გამარჯვების შეგვშურდებოდა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი მოგებით ვხარობთ! გულშემატკივრებს დიდი მადლობა - ისინი მეთორმეტე ფეხბურთელივით იყვნენ! ულრმესი მადლობა რაფაელ ბენიტესს. შესვენებისას ყველანი ნირწამხდარნი ვიყავით, თუმცა, მან დანებების უფლება არ მოგვცა და გვითხრა, რომ თუ გოლს მალევე გავიტანდით, მატჩის გადარჩენის შანსს შევინარჩუნებდით. საბედნიეროდ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვენ გვსურდა. ახლა ასე მგონია, ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არავინაა! ამის შემდეგ როგორ უნდა ვიფიქრო "ლივერპულის" დატოვებაზე? ეს გამორიცხულია!

**სემი ჰიიპია:**

...ძალიან ბედნიერი ვარ და გულით მიხარია! ეს სასწაული იყო! ახლავე გეტყვით - ჩემს კარიერაში ეს უმნიშვნელოვანესი მატჩია და მიხარია, რომ ის ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა! მადლობა ყველას, ვინც გვქომაგობდა და განსაკუთრებული მადლობა მწვრთნელს, რომელმაც სასწაული მოახდინა! ამ გამარჯვების შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა, რაფაელ ბენიტესია და მერე - ჩვენ!

**ჯეიმი კარაგერი:**

...ახლაც არ მჯერა! მგონი, ეს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი იყო! დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს გულშემატკივრები 20-30 წლის შემდეგაც გაიხსენებენ და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ბრწყინვალე თამაშში ვმონაწილეობდი! დუდეკი შესანიშნავი იყო, ხოლო იმას, რაც მან შევჩენკოს წინააღმდეგ მოიმოქმედა მატჩის ბოლო წამზე, ჯადოქრობას დავარქმევდი!

**ერჟი დუდეკი:**

...ვერ გამიგია, როგორ გავიმარჯვეთ, მგონი, იქ, ზევით სურდა ვიღაცას ჩვენი გახარება! ყველა ის, ვინც ჩვენ გვქომაგობდა, უბრალოდ, შეუდარებელი იყო, დიდი მადლობა მათ! როცა პენალტებზე მიდგა საქმე, კარაგერი მოვიდა და მითხრა: "გრობელაარი გაიხსენე (80-იან წლებში "ლივერპულის" მეკარე), არაფრის შეგეშინდეს და ყველანი ფეხებზე დაიკიდე!" მეც მისი რჩევა გავითვალისწინე და ერთი შეხედვით არასერიოზულად ვიქცეოდი, მაგრამ ხომ ხედავთ, გაამართლა! ბრწყინვალე ფინალი იყო, დიდებული!

### ბებერი წითელი ლომები

**ვეტერანი ლივერპულელების მილოცვები**

**ფილ ტომფსონი, ჩემპიონთა თასის 1981 წლის მფლობელი "ლივერპულის" კაპიტანი:**

...დიდი მადლობა რაფაელ ბენიტესს და ბიჭებს, გუნდის ხელმძღვანელობას და ყველას, ვინც ეს დაუვიწყარი გამარჯვება გამოჭედა! ჩვენ დიდებული მწვრთნელი გვყავს და გულით მიხარია, რომ მან გაცემული ავანსები გაამართლა! ალმოფხვრა სამბურთიანი ჩამორჩენა "მილანთან", ეს, უბრალოდ, სასწაულია! სწორედ ამიტომ ეს "ლივერპული" სასწაულმოქმედია და გულით მიხარია! უზომოდ ბედნიერი ვარ!

**ფილ ნილი, "ლივერპულის" ოთხი წარმატებული ფინალის მონაწილე, გოლები გაიტანა 1977 და 1984 წლების გადამწყვეტ მატჩებში:**

...ბენიტესი ამ გამარჯვებას იმსახურებდა და უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მან ჩემპიონთა თასი "ენფილდ როუდზე" კლუბში მოღვაწეობის პირველსავე სეზონში დააბრუნა! ის ჩინებული სპეციალისტია! ყველას გულით ვულოცავ ამ მოგებას! "ლივერპული" ჩემპიონთა თასს იმსახურებდა!

**ალან კენედი, გამარჯვების გოლების ავტორი 1981 და 1984 წლების ფინალებში:**

...ფინალის წინ ვამბობდი, ბიჭებო, საქმეს პენალტებამდე ნუ მიიყვანთ, ამას ვერ გადავიტან-მეთქი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამასაც გავუძელი და თქვენთან ერთად ვხარობ. მჯერა, რომ მომავალი ჯერარდის და მისი თანაგუნდელებისაა! მადლობა მწვრთნელს! ის სიხარული, რაც მან "ოლიმპიაკოსთან", "ლევერკუზენთან", "იუვენტუსთან" და "ჩელსისთან" მატჩებისას განგვაცდევინა "ენფილდ როუდზე", სტამბოლური ტრიუმფით უნდა გაგრძელებულიყო. გულით მიხარია, რომ მართლაც ასე მოხდა. ყველას გილოცავთ, ბიჭებო! თქვენ ევროპას "ლივერპული", "ლივერპულს" კი ჩემპიონთა თასი დაუბრუნეთ!

**ტერი მაკდერმოტი, ჩემპიონთა თასის ფინალებში "ლივერპულის" პირველი გოლის ავტორი (1977 წელს):**

...ეს ბიჭები გმირები არიან! თქვენ სასწაული მოახდინეთ. დიდი მადლობა ამისთვის! ულრმესი მადლობა რაფა ბენიტესს, ის დიდებული მწვრთნელია! და, რა თქმა უნდა, მადლობა თითოეულ ლივერპულელ ქომაგს, რომელიც სტადიონზე იყო და ბოლო წამამდე ამხნევებდა თავის საყვარელ ფეხბურთელებს! ეს გამარჯვება ყველამ ერთად გამოვჭედეთ და ჩვენ სამართლიანად უნდა ვიამაყოთ ამით. ბედნიერი ვარ, რომ "ლივერპულში" ასეთ ჩინებულ თაობას ვხედავ. თქვენ კლუბს დაუბრუნეთ ის, რასაც "ლივერპული" წლების მანძილზე ელოდა!

**იცოდით?**

..."ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგა პირველად მოიგო, ხოლო ჩემპიონთა თასს მეხუთედ დაეუფლა: აქამდე ენფილდროუდელებმა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასი 1977, 1978, 1981 და 1984 წლებში მოიგეს.

...ზუსტად ოცი წლის წინ, 1985 წელს, "ლივერპული" ჩემპიონთა თასის ფინალში, ბრიუსელის "ეიზელზე" ტურინის "იუვენტუსთან" 0:1 დამარცხდა. იმ მატჩის დაწყებამდე ინგლისელ ქომაგთა მიზეზით ორმოცამდე ადამიანი დაიღუპა, რის გამოც ინგლისურ კლუბებს ხუთი, ხოლო "ლივერპულს" შვიდი წლით აუკრძალეს ევროტურნირებზე თამაში.

..."ლივერპულისთვის" ეს მერვე ევროთასია: ჩემპიონთა თასების გარდა, კლუბმა 1973, 1976 და 2001 წლებში უეფას თასები მოიგო.

..."ლივერპული" მეხუთედ დაეუფლა ჩემპიონთა თასს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორ კლუბს ჩამოუვარდება: "რეალს", რომელმაც ცხრაჯერ მოიგო თასი და "მილანს", ვისაც ჩემპიონთა თასი ექვსჯერ მოუგია.

...რაფაელ ბენიტესი მეორე მწვრთნელია ჟოზე მოურინიოს შემდეგ, რომელმაც ორ სეზონში უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. პორტუგალიელმა ეს 2003-2004 წლებში მოახერხა "პორტუსთან" ერთად, ბენიტესმა კი შარშან უეფას თასზე "ვალენსიასთან" ერთად იმარჯვა.

...2001 წელს "ლივერპულმა" უეფას თასი მოიგო. იმ შემადგენლობიდან სტამბოლში შემდეგმა ფეხბურთელებმა ითამაშეს: ჯეიმი კარაგერი, სემი ჰიიპია და სტივენ ჯერარდი (მაშინაც და ახლაც ძირითად შემადგენლობაში იყვნენ), დიტმარ ჰამანი (2001 წელს ძირითადში იყო, ამჯერად კი შეცვლაზე ითამაშა), ვლადიმირ შმიცერი (ორივე ფინალში შეცვლაზე ითამაშა). მათგან სტივენ ჯერარდმა ორივე ფინალში მოახერხა გოლის გატანა.

..."მილანმა" ჩემპიონთა თასის ფინალი 26 მაისს მეორედ ითამაშა და კვლავ დამარცხდა. 1993 წელს იტალიელებს საფრანგეთის "ოლიმპიკმა" აჯობა 1:0.

..."მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ჩემპიონთა თასის მეშვიდე ფინალში ითამაშა. ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ ლეგენდარულ ესპანელ გარემარბ ფრანსისკო ჰენტოს ჩამორჩება, რომელმაც 1956-66 წლებში, მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში, რვა გადამწყვეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

...პაოლო მალდინიმ ჩემპიონთა თასის გათამაშების ისტორიაში ფინალებში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა - აქამდე 52-ე წამზე თავის გამოჩენა ვერავინ შეძლო!

...ჩემპიონთა ლიგის არსებობის მანძილზე ფინალში ექვსი გოლი პირველად გავიდა. აქამდე ყველაზე უხვგოლიან ფინალებად 1994 და 1997 წლების ფინალები ითვლებოდა. პირველად "მილანმა" 4:0 აჯობა "ბარსელონას", მეორე შემთხვევაში კი "დორტმუნდმა" 3:1 მოუგო "იუვენტუსს".

...ერნან კრესპომდე ჩემპიონთა ლიგის ფინალებში ორი გოლის გატანა მილანელმა დანიელე მასარომ (1994 წელს) და დორტმუნდელმა კარლ-ჰაინც რიდლემ (1997 წელს) მოახერხეს.

# ვერისბაღელები



# "ქავთარა"

## მადლობას ვუხდი მამაჩემის მთელ თაობას

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ვერისბაღლები, ყველანი, განსაკუთრებული გულშემატკივრები იყვნენ, თუმცა, გამორჩეულები მათ შორისაც არსებობდნენ. სწორედ ასეთი იყო თავისი ემოციებით და იუმორის გრძნობით ცნობილი, თითქოს საგანგებოდ ყველაფერი კარგის საქომაგოდ დაბადებული კაცი გურამ ქავთარაძე - "ქავთარა"; ის რომ ცოცხალი იყოს, მასთან ინტერვიუ ჩვენი რუბრიკის წერილებს შორის, ალბათ, საუკეთესო იქნებოდა - "ქავთარას" ექსპრესიული გამონათქვამების მოსასმენად ხომ ზოგიერთები სტადიონზე სპეციალურად მის სიახლოვეს ირჩევდნენ ადგილებს... არადა, რუბრიკა "ვერისბაღლები" გურამ ქავთარაძის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, დღევანდელი წერილი მთლიანად მას მივუძღვნათ. ჩვენი სტუმრები არიან გურამ ქავთარაძის ვაჟი ლევან ქავთარაძე და "ქავთარას" უახლოესი მეგობარი და თავადაც ძველი ვერისბაღელი გივი მესხიშვილი.*

**გივი მესხიშვილი:** "მე და გურამი განუყრელი მეგობრები ვიყავით, კლასელები - "ქავთარა" და "მესხო"; 1939 წელს გავიცანით ერთმანეთი და 1999 წლამდე, მის გარდაცვალებამდე არ დავშორებულვართ. ძალიან ნიჭიერი, გამორჩეულად ემოციური იყო და თავისებურად უცნაური; დაგვიანებას ვერ იტანდა - თვითონ არსად არ აგვიანებდა და არც სხვას პატიობდა; ერთხელ, მახსოვს, "ჩიჩიკამ" მის დაბადების დღეზე დააგვიანა და შემოშვებას არ უპირებდა, ძალიან ეწყინა"...

**ლევან ქავთარაძე:** "მე - პირიქით, ყოველთვის ყველგან მაგვიანდება და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ განიცდიდა ამას მამაჩემი. დღეს მართლაც მისი ხათრით მოვინდომე და თქვენთან, რედაქციაში, მგონი, დროზე ადრეც მოვედი"...

**გივი მესხიშვილი:** "ძალიან ყურადღებიანი იყო და იმიტომ. ერთხელ მთელ ძმაკაცებს ჩვენი მშობლების, და-ძმების, ახლობლების დაბადების დღეების თარიღები სპეციალურად ფურცლებზე ჩამოგვიწერა - სულ მე ხომ არ უნდა გახსენოთო; თვითონ არასოდეს არავის დაბადების დღე არ ავიწყდებოდა. საერთოდ, ძალიან მოსიყვარულე, ნამდვილი გულშემატკივარი კაცი იყო და ფეხბურთიც ამიტომ უყვარდა ასე ძალიან. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა და თან არასოდეს ნიღბავდა თავის ემოციებს, ყოველთვის გულწრფელად გამოხატავდა და სტადიონზე მისი კომენტარების მოსმენა ერთ რამედ ღირდა; თანაც, ჩვევა ჰქონდა ასეთი - რაიმე ღირსშესანიშნავი ეპიზოდის შემდეგ ახმაურებული სტადიონი უკვე რომ მიწყნარდებოდა, "ქავთარა" მერე დგებოდა ფეხზე და თავის კომენტარს ცალკე გამოთქვამდა ხმამაღლა, მთელი ხმით"...

**ლევან ქავთარაძე:** "და ეს კომენტარები, უმეტესწილად, რუსეთის არცთუ სახარბიელო კონტექსტში მოხსენიებას ეძღვნებოდა. ერთხელ, მახსოვს, ერთი ნაცნობი პოლიციელი მიუჩინეს სპეციალურად, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა მისთვის მთელი მატჩის განმავლობაში, რომ რუსების მისამართით რაიმე უცენზურო არ ეთქვა. ამ კაცს მამაჩემი კარგად იცნობდა. ისიც წინასწარ მივიდა და სთხოვა, - შენთვის თვალყურის დევნება მე დამავალეს, თუ ამ დავალებას ვერ შევასრულებ, სამსახურიდან მომხსნიან. გემუდარები, ცოლშვილს მშიერს ნუ დამიტოვებო. კარგიო, - დაჰპირდა მამაჩემი და, მართლაც, ამ კაცის ხათრით, მთელი თამაში გურამი ფეხბურთს უყურებს, ხმას ვერ იღებს, ითმენს და იბერება, ეს კაცი კი სტადიონისკენ ზურგით დგას და, თამაშს კი არა, მამაჩემს უყურებს თვალმოუშორებლად. ასე მიიწურა თითქმის 90 წუთი; სულ ბოლო წუთზე მეთვალყურე პოლიციელი მოდუნდა და იფიქრა, - ბოლო წამებს მაინც შევხედავო და სტადიონისკენ მიტრიალდა. ამ დროს რუსმა მსაჯმა რაღაც უსამართლობა ჩაიდინა და მამაჩემმა, ეტყობა, უკვე ველარ მოითმინა, ის კაცი სულ დაავიწყდა და ხმამაღლა დაიწყო: русские, я ва... და უცბად იმ კაცის გასაცოდავებული სახე დაინახა და დაასრულა: люблю"...

**გივი მესხიშვილი:** "ერთხელ სახლში, ტელევიზორში უყურებდა მატჩს ერევნის "არარატთან". "დინამო" აგებდა ერევანში; ჩვენ კარში ბოლო გოლი რომ გავიდა, ადგა და ტელევიზორი ფანჯრიდან გადააგდო... მოკლედ, ემოციები უსაზღვრო, და კიდევ საოცარი იუმორის გრძნობა"...

**ლევან ქავთარაძე:** "იუმორს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით, მამაჩემს ისეთი სკოლა აქვს გავლილი, იუმორის ისეთ "მეტრებთან" მეგობრობდა - თემიკო ჩირგაძესთან, სევა ელიავასთან, ჯემალ ანჯაფარიძესთან, გოგი ყუფარაძესთან, მისი ენამოსწრებულობა გასაკვირი აღარაა"...

**გივი მესხიშვილი:** "სტადიონზე თავისი კომენტარებით და ემოციებით ისე გამოირჩეოდა, წესრიგის დამცველები უკვე სცნობდნენ. ერთხელ მე და "ქავთარა" ოპერაში წავედით. შესასვლელში იგივე პოლიციელი იდგა, ვინც წინა დღეს სტადიონზე გვნახა. "ქავთარა" რომ დაინახა, გაგიჟდა, - აუ, შენ აქაც მოხვედიო?!."

**ლევან ქავთარაძე:** "ერთი მეგობარი ჰყავდა მამაჩემს, რომელსაც თავისი დაბალი ტანის გამო სულ დასცინოდა. ერთხელ ეს კაცი სუფრასთან სადღეგრძელოს სვამდა. დაჯდომა რომ დააპირა, სკამს ასცდა და იატაკზე დავარდა. გურამი ეცა და ხელოვნური სუნთქვის ჩატარება დაუწყო. მეორე მეგობარი ეუბნება, - თავი დაანებე, არაფერი სამაგისო არ სჭირს, სკამიდან ვინ არ ჩამოვარდნილაო. რას ამბობო, - უთხრა, - ეგ შენთვისაა სკამი, ამისთვის მესამე სართულიაო...

სტადიონთან დაკავშირებით ერთი კარგი ამბავი მახსოვს - თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა მფრინავი პაკრიშკინი. მის პატივსაცემად ფეხბურთის ერთ-ერთი მატჩის შესვენებაზე მოედანზე ბავშვები გამოიყვანეს, რომლებიც სათამაშო თვითმფრინავებით რაღაც საავიაციო მანიპულაციების იმიტაციას აკეთებდნენ. ეს პროცესი ზედმეტად გაიწელა, არადა, ყველას ფეხბურთის გაგრძელების ნახვა უნდა. ბოლოს მამაჩემს მოთმინების ფიალა აევსო და ხმამაღლა დაიყვირა, - ფეხბურთი გვანახეთ! რად უნდა პაკრიშკინს ეგ თქვენი სათამაშო თვითმფრინავები, კაცი გებელსს ჩაის ჭიქაში უყრიდა ბომბებსო".

**გივი მესხიშვილი:** "თვითმფრინავზე გამახსენდა - ერთხელ კიევიდან მოვფრინავთ ფეხბურთელებთან ერთად მე და "ქავთარა". რაღაც უცნაური თვითმფრინავია -"ან-10". ბასა ღოღობერიძე და მურთაზ ხურცილავა ერთად სხედან. "ქავთარა" არ ჯდება, აქეთ-იქეთ დადის. სამივეს ძალიან ეშინია ფრენის, ოღონდ "ქავთარა" არ იმჩნევს; თან ყველა წუხს, - ეს "ან-10" რაღაა, არც გაგვიგიაო. ბოლოს "ქავთარამ" თქვა: მივხვდი, რასაც ნიშნავს ეს "ან 10" - ან ჩავალთ, ან არაო"...

**ლევან ქავთარაძე:** "ერთი რამ უნდა ვთქვა აუცილებლად - საერთოდ, მამაჩემის თაობა, ჩემი აზრით, ყველაზე კარგი თაობაა. ასეთი ფენომენი არც მანამდე და არც მერე აღარ გამეორებულა - მთელი თბილისი ერთმანეთის მეგობარი იყო და ყველას ყველა უყვარდა. მინდა, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ყველას დიდი მადლობა ვუთხრა, რომ ასეთი კარგები იყვნენ, არიან და, ვინც ჯერ კიდევ არის, ვოცნებობ, რომ კიდევ ძალიან დიდხანს იყვნენ".

**გივი მესხიშვილი:** "რა ვიცი, მგონი, მართლა კარგი თაობა ვიყავით - ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა; ბევრი მეგობარი გარდამეცვალა, ჩვენი თაობა ნელ-ნელა მიდის - აი, ჯუნაც მოგვიკვდა... მეც პატარა ბიჭი აღარ ვარ, მაგრამ მაინც მინდა, რომ კიდევ დიდხანს ვიყო - მით უმეტეს, თუ შვილების თაობისგან ვიგრძნობ, რომ ისევ საჭირო ვარ.

"ქავთარას" ორი ოცნება ჰქონდა - უნდოდა, 21-ე საუკუნეს მოსწრებოდა და თავისი ბავშვობის უბნიდან (სოლოლაკიდან) გაესვენებინათ"...

**ლევან ქავთარაძე:** "პირველი ოცნება შეუსრულდა - თავისი ბავშვობის ქუჩაზე, გრიბოედოვზე გახდა ცუდად და იქვე, მეზობლად დალია სული; სოლოლაკიდანაც გამოვასვენეთ. მეორე ოცნების ასრულებას კი, სამწუხაროდ, ერთი წელი დააკლდა"...

კალათბურთი

# ფაჩულია და ლატარია

## ზაზა ფაჩულია კვირას თბილისში მოდის

ზურა უსუფაშვილი
აშშ-დან

*საქართველოს ნაკრების კაპიტნის ზაზა ფაჩულიას კარიერას ნიუ იორკში გამართულმა ენ-ბი-ეი-ს 2005 წლის დრაფტის ლატარიამ შეიძლება სხვა მიმართულება მისცეს. ამ ლატარიის გათამაშებით ივნისში გასამართ დრაფტში პირველი არჩევანის უფლება ზაზა ფაჩულიას გუნდმა "მილუოკი ბაქსმა" მოიგო. დრაფტში კი დიდი შანსია, პირველ ნომრად აირჩიონ იუტას უნივერსიტეტის ავსტრალიელი ცენტრი ენდრიუ ბოგატი, რომელიც ქართველი კალათბურთელის პოზიციაზე თამაშობს. ასეთ შემთხვევაში ზაზა ფაჩულიას გუნდში დარჩენის შანსი საგრძნობლად მცირდება.*



ლატარიის გათამაშებისას ზაზა ორლანდოში იყო და ყველაფერს ტელევიზიით ადევნებდა თვალს. ლატარიის შედეგების გამო იგი ცოტა უგუნებოდ იყო. - შესაძლოა, ამ ლატარიამ ჩემს კარიერაზე გარკვეულწილად იმოქმედოს, რადგან ბოგატი ჩემი სტილის მოთამაშეა და გუნდმა შეიძლება მე კონტრაქტი აღარ გამიგრძელოს. თუ დრაფტში მას აირჩევენ, "მილუოკიში" ჩემი დარჩენის შანსი მცირდება. მაგრამ დრაფტამდე საკმაო დროა და არ არის გამორიცხული, არჩევანი სხვა კალათბურთელზე შეჩერონ. ჯერ ძნელია რამის თქმა, - ამბობს ზაზა ფაჩულია.

დრაფტის ლატარიაში სეზონის უარესი შედეგის მქონე 14 გუნდი მონაწილეობდა. აქედან პირველი არჩევანის მოგების ყველაზე მეტი შანსი "ატლანტას" ჰქონდა - 25%, შემდეგ მოდიოდნენ "ნიუ-ორლეანი" - 17,8% და "შარლოტი" - 17,7%. "მილუოკის" შანსი 6,3%-ით ფასდებოდა, მაგრამ ლატარია "მილუოკიმ" მოიგო.

**ზაზა ფაჩულია:** ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი მეუბნებოდა, რომ "მილუოკი" კონტრაქტს აუცილებლად გამიგრძელებდა და თან უკეთეს პირობებსაც შემომთავაზებდა, რადგან ჩემით კმაყოფილნი იყვნენ. ამ წუთის მერე კი არ ვიცი, რა იქნება. ეს სეზონი ჩემთვის საუკეთესო იყო, მაჩვენებლები ყველა კომპონენტში გავაუმჯობესე. მჯერა, რომ უგუნდოდ არ დავრჩები და უკეთეს კონტრაქტსაც გავაფორმებ. ერთადერთი, რაც მაღელვებს, ის არის, რომ შეიძლება გუნდის გამოცვლა მომიხდეს და ახალ მწვრთნელთან, მოთამაშეებთან და მთლიანად გარემოსთან შეგუება ცოტა გამიჭირდება. მილუოკიში ერთი წელი ვითამაშე და აქ ყველაფერს შეგუებული ვარ, მაგრამ ჩემთვის უკეთესი იქნება იქ ვითამაშო, სადაც თავს კარგად ვიგრძნობ.

**ზაზა ფაჩულია** "მილუოკისთან" კონტრაქტით აღარაა დაკავშირებული. ასე რომ, მას ნებისმიერ სხვა გუნდთან შეუძლია კონტრაქტის გაფორმება, ისევე როგორც გუნდის კიდევ ერთ ცენტრს დან გაძურიჩს. იყო მოსაზრება, რომ "მილუოკი" ორივე კალათბურთელთან გააგრძელებდა კონტრაქტს. დრაფტის ლატარიის შედეგებმა კი შეიძლება გუნდის გეგმები შეცვალოს. ამიტომ ქართველი კალათბურთელი გაურკვევლობაში აღმოჩნდა: "არ არის გამორიცხული, ბოგატის არჩევის შემთხვევაში გუნდში მე დამტოვონ და გაძურიჩი გაუშვან, შეიძლება ორივე დაგვტოვონ და მე მეოთხე ნომრად მათამაშონ. ყველაფერი გუნდის გეგმებზე იქნება დამოკიდებული და დრაფტის მერე გაირკვევა."

ენ-ბი-ეი-ს 2005 წლის დრაფტი 28 ივნისს უნდა ჩატარდეს. "მილუოკიმ" თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ლატარიაში გამარჯვების შემდეგ გულშემატკივრებს შორის გამოკითხვაც მოაწყო. გამოკითხულთა 68%-ს მიაჩნია, რომ გუნდმა დრაფტის პირველ ნომრად ენდრიუ ბოგატი უნდა აირჩიოს, თუმცა, ეს მაინც გუნდის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. არ არის გამორიცხული, "მილუოკიმ" არჩევანის უფლება სხვა გუნდს დაუთმოს და რამდენიმე კალათბურთელი გაცვალოს კიდეც. ისიც შეიძლება, რომ გუნდმა არჩევანი სხვა კალათბურთელზე შეაჩეროს. მოკლედ, დრაფტამდე ერთი თვეა დარჩენილი და "მილუოკის" ხელმძღვანელობას საფიქრალი მოემატა.

**ზაზა ფაჩულია** კი კვირას თბილისში მოემგზავრება. 13-16 ივნისს ნორჩი კალათბურთელების კემპს ჩაატარებს, რისთვისაც "მილუოკის" ერთ-ერთი მწვრთნელი შეუგულებია.

ნაკრების კაპიტანი საქართველოს ნაკრების შესახებ და მის მწვრთნელზეც საუბრობს: მთავარია, ახალმა მწვრთნელმა გუნდი დაალაგოს და სწორად ათამაშოს. ევროპის ჩემპიონატის მატჩებამდე სამ თვეზე მეტი დარჩა და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ნაკრების ახალი მწვრთნელი, სავარაუდოდ, რომელიმე გუნდშიც იქნება დაკავებული. ამიტომ ამ სამ თვეს ის მთლიანად საქართველოს ნაკრებთან ვერ გაატარებს, მაგრამ შეკრებებსა და საკონტროლო თამაშებში შესაძლებელია კომბინაციების დამუშავება და მთლიანად ნორმალური მომზადება. საქართველოს კალათბურთის ფედერაციას აქვს ნაკრების მომზადების პროგრამა, რომელიც ახალ მწვრთნელთან იქნება შესათანხმებელი. სწორი მომზადების პირობებში, მჯერა, წარმატებას მივაღწევთ.

საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას კალათბურთის ფედერაცია პარასკევს გამოაცხადებს.

ფეხბურთი

# "ლოკომოტივმა" თასი გაასამა

## კეისარსა კეისრისა, ყიფიანს ყიფიანისა

მიხეილ აბაიშვილი




გულახდილად ვიტყვი: გუშინდელ ფინალურ შეხვედრაში, რომელსაც დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი უნდა გამოერკვია, არც "ლოკომოტივი" მემეტებოდა დამარცხებისთვის და არც "ზესტაფონი". წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით, ორივე გუნდმა ალალად დაიმსახურა ეს ჯილდო. სპორტული პრინციპი კი, მოგეხსენებათ, წარსულ დამსახურებებს არად დაგიდევთ და ტრიუმფატორების სიმრავლეს ვერ ჰგუობს. ტიტული ერთს უნდა მოეხვეჭა და, ამდენად, ის, რომ "ლოკომოტივმა" გუშინ არსებობის ისტორიაში მესამედ მოიპოვა საქართველოს თასი, აბსოლუტურად სამართლიანია. სამართლიანია, თუნდაც ამ ერთი კონკრეტული თამაშიდან გამომდინარე. სამართლიანია იმიტომაც, რომ რეგულარულ ჩემპიონატში, ამ გუნდების ოთხი შეხვედრიდან "ზესტაფონმა" მხოლოდ ერთში მიაღწია წარმატებას, ორში "ლოკომოტივმა" იმარჯვა, ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა. "ლოკომოტივმა" გუშინ "ზესტაფონთან" მოგებებიც გაასამა, თასიც გაასამა და დავით ყიფიანის სახელობის ეს ჯილდოც, მისმა ვაჟმა, "ლოკომოტივის" მმართველმა დირექტორმა, ლევან ყიფიანმა დამსახურებულად ასწია თავს ზევით.

**26 მაისი, ეროვნული სტადიონი**

**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალი**

**"ლოკომოტივი" - "ზესტაფონი" 2:0 (0:0)**

**ლოკომოტივი: სტურუა, რ. ონიანი, გ. ონიანი, მახვლიაძე, მანჩხავა, გიგაური, სეთურიძე, ქებაძე, სირბილაძე (რამონი, 72`), ბობოხიძე (კახელიშვილი, 81`), სანიკიძე. მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია**

**ზესტაფონი: სომხიშვილი, იონანიძე, ჩიკვილაძე (იმედაძე, 63`), ღონღაძე, თოდუა, ზირაქიშვილი, გუჩუა (ბესერაშვილი, 57`), ძამსაშვილი, განუგრავა (ნუდნი, 62`), ჩხეტიანი, თურმანიძე. მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე**

**გოლები: 1:0 ბობოხიძე 55`, 2:0 მანჩხავა 60`**

**მთავარი მსაჯი: ლევან ფანიაშვილი**

ორივე გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას: ასეთი დაძაბული, სანახაობრივად მიმზიდველი და მაღალ, ლამის ევროპულ ტემპში წარმართული მატჩი ჩვენს ქომაგს ქართული კლუბების მონაწილეობით თითქმის არ უნახავს. თამაშს დალი ვერც კოკისპირულმა წვიმამ ვერ დაასვა, მსაჯის სასტარტო სასტვენთან ერთად რომ დაიწყო და ბოლო წუთებამდე გაგრძელდა. იმერელთა მწვრთნელის, თემურ მახარაძის ჩვეული ტაქტიკიდან გამომდინარე, "ზესტაფონმა" პირველივე წუთებიდან დაუთმო ინიციატივა მეტოქეს, უფრო მეტ ყურადღებას საკუთარი კარის უსაფრთხოებას უთმობდა და კონტრშეტევებზე აკეთებდა აქცენტს. ამის გამო "ლოკომოტივმა" მოედნის შუაში სივრცე კი მიიღო, მაგრამ "ზესტაფონის" საჯარიმოს მისადგომებთან კარგად ორგანიზებული დაცვითი რედუტების გარღვევას, პირველ ტაიმში მაინც, ვერანაირად ვერ ახერხებდა. პირველ 45 წუთში განსაკუთრებულად სახიფათო მომენტი არც ერთ, არც მეორე კართან არ შექმნილა.

მატჩის ბედი 5-წუთიანმა მონაკვეთმა გადაწყვიტა. ყველაფერი "ლოკომოტივის" კარში გასული და არჩათვლილი გოლით დაიწყო. ეს 54-ე წუთზე მოხდა: მარჯვენა ფლანგიდან რკინიგზელთა საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ თოდუამ ბურთი თავით კარში გადაგზავნა, მაგრამ ფანიაშვილმა ლაინსმენის ნიშანზე დაყრდნობით, თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. ზესტაფონელები ამ ეპიზოდმა აშკარად ამოაგდო თამაშის რიტმიდან, გუნდს მოეშალა მახარაძის ცნობილი სათამაშო დისციპლინა და ერთ წუთში საგოლე იერიში გაეპარა: ბობოხიძე ერთი-ერთზე აღმოჩნდა სომხიშვილთან და ანგარიში გახსნა. ამ გოლმა იმერლების კიდევ უფრო მეტი დეზორგანიზება მოახდინა და რამდენიმე წუთში მათ ერთხელაც მოუწიათ თამაშის ცენტრიდან განახლება: კიდევ ერთი სწრაფი კონტრშეტევა მანჩხავას ზუსტი, ლამაზი და შედეგიანი დარტყმით დასრულდა.

დარჩენილ დროში მიზანთან უფრო ახლოს ისევ რკინიგზელები იყვნენ: მახვილაძის დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელმა მოიგერია. მახარაძე "ვა ბანკზე" წავიდა და დაცვითი ამპლუის თავდამსხმელებით შეცვლის ხარჯზე შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მის გუნდს ვერც ამან უშველა. "ლოკომოტივმა" მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა და ლამაზად ორგანიზებული ფიესტაც დაიწყო: ვერცხლის წვიმა, ფეიერვერკი თუ ყველა ის ატრიბუტი, ევროპულ ქვეყნებში ტიტულმოპოვებული გუნდების დაჯილდოების ცერემონიალს რომ ახლავს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ პირველი გოლის ავტორი, მიხეილ ბობოხიძე აღიარეს, რომელსაც აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის სახელობის ჯილდო გადაეცა.

TV-სპორტი

### პარასკევი. 27 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "რივერ პლეიტი" (არგენტინა) - "ელ-დე-უ კიტო" (ეკვადორი). საპასუხო მატჩი
14:05 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
14:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:35 თავისუფალი დარტყმა
15:50 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
16:50 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "დნეპრი"
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:15 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები
21:15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "რივერ პლეიტი" (არგენტინა) - "ელ-დე-უ კიტო" (ეკვადორი). საპასუხო მატჩი. შესვენებისას (22:10) - თავისუფალი დარტყმა
23:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:05 "საფეხბურთო კლუბი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:00 ჭადრაკი. ქალთა რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
14:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
15:00 ბილიარდი. საერთაშორისო ტურნირი პირამიდაში
15:30 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი". პირველი ნაწილი
16:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:45 ტაილანდური კრივი
17:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
22:15 როდეო. "Bull Riders"
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი. ფინალი
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
23:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი. ფინალი
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
02:15 ახალი ამბები
02:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაოჯახებული
დაუოჯახებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

# დაგვიანებული დამოუკიდებლობის დღე

ვ.ნ.

ეხება, აქაც მხოლოდ რევოლუციურ ასპარეზადა იგი გადაქცეული და რევოლუციური სათვალით აღქმული მისი ხელმძღვანელობა რეალ ძალთა ანგარიშს ვეღარ ახდენდა და საგარეო მდგომარეობასაც ამ საზრისით უყურებდა! ეს სანტიმენტი და ცალკე თუმა რევოლუციური და ყალბი დოქტრინებით გატაცების დასაბუთებელია!

მაგრამ საკითხს დავუბრუნდეთ.

16 თებერვალს (1 მარტს) 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სეიმი **"შექმნილი პირობებში თავის თავს უფლება მოსილად სთვლის ოსმალეთთან ზავი შეკრას"** და საზავო პირობად - 1914 წლის რუსეთის საზღვრები აღიარა.

ამ დროს, როცა ტფილისში ასეთი პოლიტიკური ჯანჯლობა და ტაქტიკური ჟეჟვა გამეფებული იყო, ბრესტლიტოვსკში ცენტრალ სახელმწიფოებმა და მისმა მოკავშირეებმა რუსეთთან ზავი შეკრეს და აქ, ზავის პირობით, არდაგან-ყარს-ბათუმის არეში, თვითგამორკვევის სახელითა თუ სახით, ოსმალეთს დაუთმეს.

ამიერკავკასიის მთავრობას რაღა დარჩენოდა თუ არ პროტესტის გამოცხადება?! ხოლო თებერვალს 25 თებერვალს (10 მარტს) 1918 წ. ალბიშიოთ ოლქების დაცვას მოითხოვს!

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე თავის პროტესტში აშ უსამართლობის წინააღმდეგ, პირველად და ყრუდ ამბობს, რომ ბრესტლიტოვსკის ზავის ცნობა არ შეიძლება, ვინაიდან იგი შეიცავს **"უცოდინრად და დაუდასტურებლად დამოუკიდებელ ამიერკავკასიის მთავრობისა"**-ო.

ეხლა კი ყველამ იგრძნო და იცნო, რომ თვალსურმისთვის და კუპრიმელეობიას თამაში შეუძლებელი ხდებოდა და ევგ. გეგეჭკორი თავის საპასუხო ტელეგრამაში ამბობს, რომ

**"ამიერკავკასია, როგორც თვითმყოფი ერთეული,** შეადგა აწარმოოს მოლაპარაკება ოსმალეთთან"-ო (25 თებერვალი (10 მარტი).

მაგრამ, როგორც ვხედავთ, მაინც იჟღენა სიტყვა, მაინც არ სურთ სთქვან, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელია და რუსეთისაგან გამოყოფილი.

რასაკვირველია, ოსმალეთის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ აღსდგა რევოლუციური დემოკრატიის ხელმძღვანელი ნ. ჟორდანია, რომელმაც უარჰყო რა ბრესტის ზავი, განაცხადა: - "ამიერკავკასიის დემოკრატიას, რომელიც, პირველად ყოვლისა დაინტერესებულია აგრარული საკითხის გადაწყვეტით, არ შეუძლია იგი გადასწყვიტოს ოსმალური შემოსევის გამო... ჩვენთვის საზღვრების დაცვა არის რევოლუციის დაცვა"...

შეიძლება გვყავდა ბევრი კარგი პოლიტიკოსი, გვყავდნენ შესანიშნავი პარტიული პოლიტიკოსები, - მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნდენ თითქმის სახელმწიფო კაცები, სტეიტსმენები!

ამიერკავკასიის და ოსმალეთის საზავო დელეგაცია ერთმანეთს შეხვდა ტრაპეზუნის საზავო კონფერენციაზე, რომელიც 1 (13) მარტს 1918 წ. გაიხსნა. - ოსმალური დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ-ბეი, თავის მიმართვაში ამიერკავკასიის დელეგაციისადმი, ამ უკანასკნელს უწოდებდა: -

**"კავკასიის რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენელს"**

და თვით რესპუბლიკას იხილავდა როგორც ისეთს, რომელიც არის შექმნის პროცესში.

თავის საპასუხო ნოტაში დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი ოსმალებს მოახსენებდა, რომ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ

**"ამიერკავკასიაში შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა,** ეხლა პასუხისმგებელი სეიმის წინაშე და რომ **"ამიერკავკასია ფაქტიურად უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს,** რომელიც შესულია საერთაშორისო დამოუკიდებლობათა სფეროში და რომელმაც მის დაუკითხავად დადებული ბრესტის ხელშეკრულების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, **თუმცა მას** (ამიერკავკასიას. ვ.ნ.) **არ გამოუცხადებია და სახელმწიფოთათვის არ შეუტყობინებია თავისი დამოუკიდებლობის შესახებ".**

ამ დიპლომატიურ უხეირო თამაშს რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა? - რას უპასუხებდა ოსმალეთის დელეგაცია? აი რას: -

საერთაშორისო უფლების თანახმად, ამიერკავკასიამ უნდა გამოაცხადოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა და სახელმწიფოთა წინაშე ზომების მიღება ამ აქტის აღსრულებისათვის და ამ საფუძვლის. მაგრამ ეხლა, როცა ამიერკავკასია ამაზე ლაპარაკობს, უკვე გვიან არის, ვინაიდან მან ეს არ მოიმოქმედა, არც ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ და არც ამჟამად "თავისი თავი ჩასთვალა არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, არამედ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ნაწილად" და ამიტომ ბრესტის ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს. ესე იგი ყარსი, არდაგანი და ბათუმის ოლქები ოსმალეთს უნდა დაეცესო. აი პასუხი!

28 მარტს (10 აპრილს) 1918 წ. ამიერკავკასიის დელეგაცია, ულტიმატუმის ძალით, იძულებული გახდა ბრესტის ზავი ეცნო, მაგრამ რაუფ-ბეიმ კვლავ მოითხოვა, **რომ "ამიერკავკასიას გამოეცხადა თავისი დამოუკიდებლობა"**-ო.

აკაკი ჩხენკელი ხედავდა, რომ ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან იყო - დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაზეც **ტფილისი არ თანხმდებოდა;** ტრაპეზუნდში კი აკაკი ჩხენკელი თბილ ილეჯდა და ტფილისს დეპეშით ეუბნებოდა, - მოითხოვდა: -

**"ამიერკავკასიამ უნდა გამოაცხადოს თავისი თავი დამოუკიდებლად, რასაც იგი არ შვრება, ჩემი დაჟინების მიუხედავად"**-ო (26 მარტის (8 აპრილის) 1918წ. დეპეშა).

მაგრამ არა! არ შეიძლება! რაღა ეშველება რუსეთის დემოკრატიას და დიდ რუსეთს?!

1 (14) აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის მთავრობამ საზავო დელეგაცია უკან გამოიწვია.

30 მარტს (12 აპრილს) ბათუმის კომენდანტმა გენ. მდივანმა ულტიმატუმი მიიღო ბათუმის დაცლის შესახებ. და 31 მარტს (13 აპრილს), როდესაც გადასწყდა ამიერკავკასიის დელეგაციის უკან გამოწვევა, ირაკლი წერეთელმა განაცხადა:

"სოციალდემოკრატიული ფრაქცია **შესაძლებლად სცნობს ორიენტაცია აიღოს რუსეთის დემოკრატიაზე, რომელიც იღვიძებს, და ეძებოს დახმარება იმ მეგობრულ ძალთა,** რომელნიც მზად არიან დაეხმარონ ამიერკავკასიის დემოკრატიას მის ბრძოლაში ფიზიკური და პოლიტიკური არსებობისათვის"-ო. - ნეტარ არიან მორწმუნენი და ასეთი მორწმუნე ყველა იყო!

ამიერკავკასიის სეიმში საშინელი რევოლუციური ქარიშხალი ასტყდა. და მერე როგორი! უტყვი და მჭერმეტყველი, ლუყი და ენამზიანი, - ყველა რისხვით ჰკრულავდა იმპერიალისტებს და ამიერკავკასიის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვას მოითხოვდა (გარდა მუსავატელებისა, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი არ არიან ოსმალეთთან ომის გაგრძელების მომხრე, თუმცა მთავრობას მაინც დავეხმარებითო).

და მეორე დღეს, 1 (14) აპრილს 1918 წ. სეიმის სოციალდემოკრატიული ფრაქცია და რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტი (ქართული სოც.-დემ.) თავის მოწოდებაში (1 აპრ. 1918 წ.) რუსეთის დემოკრატიისადმი ("ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!") ამბობდა: -

"ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, ოსმალეთის იმპერიალისტებმა წარმოგვიდგინეს მოთხოვნილება, რომელიც ამიერკავკასიის დამონებას უდრის. ჩვენ არ შეგვიძლია ამ მოთხოვნილებაზე დავთანხმებოდით, რადგან მათზე დათანხმება გამოიწვევდა მთელი კავკასიის მოწყვეტას რუსეთისაგან **და იქნებოდა რევოლუციის ღალატი...** გამოგვეხმაურეთ ჩვენს მოწოდებაზე, მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო, რუსეთისა - და ერთად დავიცავთ მტრისაგან **ჩვენს წითელ დროშას დიდი რუსეთის რევოლუციისას და თავისუფლებისას"...**

საჭიროა ამ მოწოდების ახსნა-განმარტება?!

თუ დღესავით ნათელია მისი აზრი და სული! ქართველი სოც.-დემოკრატიის აზრი და სული!?

ამავე დღეს, 1 (13) აპრილს 1918 წ. ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს. და 9 (22) აპრილს ვეხიბ-ფაშა ეკითხება აკაკი ჩხენკელს: - სურს თუ არა ამიერკავკასიას ზავზე მოლაპარაკება დაიწყოსო!

და ამავე 9 (22) აპრილს სეიმის სხდომის დღიურ წესრიგში, როგორც იქმნა, წარმოადგინეს საკითხი: - ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ (ჯერ კიდევ მაშინ, როცა სეიმში დაისვა საკითხი (12 (25) მარტს) საზავო დელეგაციის მოხსენების გამო, - პირველად გაისმა ხმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, - სახელდობრ, გ. ლასხიშვილმა სთქვა: - რომ დამოუკიდებლობის საკითხში ჩვენ დავიგვიანეთ, იგი უნდა გამოგვეცხადებია შარშან ოქტომბერშიო! და მუსულმანური ფრაქციის წარმომადგენელმა კი განაცხადა: - თუ ამიერკავკასია თავის დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებს, ფრაქცია მხარს არ დაუჭერს საზავო მოლაპარაკებასო).

ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალებიდან - 1917 წ. 25 ოქტომბერი - 1918 წლის 10 აპრილამდე, თითქმის ექვსი თვის განმავლობაში, ხელმძღვანელი ქართველი სოციალდემოკრატების წინაშე არა ერთჯერ წამოიჭრა საკითხი დაზმოუკიდებლობის შესახებ. ფაქტიურად, როგორც საგარეო პირობებმა, ისე რუსეთის ვითარებამ და კავკასიის მდგომარეობამ არა ერთხელ ბრძანებით გვიკარნახა ამიერკავკასია დამოუკიდებლად გამოცხადებულიყო - ჩვენ ამ ბრძანებას ყოველ ნაბიჯზე ვეხეჩებოდით - მაგრამ ამიერკავკასიის დემოკრატიის ხელმძღვანელმა პარტიამ, ნ.ჟორდანიამ და მისმა პარტიამ, გამოიჩინა დიდი პოლიტიკური ჯიუტობა და რელიგიური რწმენა რუსეთის დემოკრატიაზე, რუსეთის რევოლუციაზე; შეჩერებული იყო დიდ რუსეთზე და 25 წლის წინად ერთჯერვე აღებული ხაზი და ტაქტიკა, არ იქმნა, არ გადახარა; გააფთრებით ებრძოდა იგი სინამდვილეს, სანამ სასტიკად დამარცხებული არ შეიქმნა. - სოციალდემოკრატიამ, რომელიც ნ. ჟორდანიას ტაქტიკას მისდევდა, სანამ საბოლოოდ არ იქმნა იძულებული, არ დასვა დამოუკიდებლობის საკითხი. ეს იყო გამოუვალი პირობების მიერ შექმნილი იძულება და არა სურვილი და პოლიტიკა ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა, რომელნიც დღესაც გარდაცვლილ რუსეთს მისტიროდენ და ძაძით შემოსილნი, თავზე ნაცარს იყრიდნენ; მაგრამ ისტორიას თავისი ლოღიკური მსვლელობა აქვს, რომელიც თვით ფაქტების ურთიერთმიზეზობრივი დამოკიდებულების ძალით იქმნება და აქედან გამომდინარე დასკვნამ თავით შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ამ ქვეყნის ხელმძღვანელთა წადილისა და მისწრაფების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე 9 (22) აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დამცველად გამოვიდა სოციალდემოკრატი დავით ონიაშვილი. - დამცველად? მაგრამ როგორ დამცველად!?

ჩვენ ვიცნობთ სხვა და სხვა ერის დამოუკიდებლობის გამოცხადების დასაბუთებას; ჩენ ვიცნობთ სხვა და სხვა ერის ხელმძღვანელთა შეხედულებას დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, - მაგრამ ასეთი და ამგვარი დასაბუთება, რომელიც ჩვენს სეიმში დ. ონიაშვილმა მოგვცა, რაც უნდა ითქვას, მარტოდ მის პირად შეხედულებას არ გამოხატავს, არ გვინახავს, არც გაგვიგონია, არც წაგვიკითხავს.

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მპყრობელი ბატონის გარდაცვალებას დასტიროდეს?!

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მას ასაბუთებდეს ბატონის პოლიტიკური რეჟიმის მიუღებლობით!?

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მას ტრაღედიათ სთვლიდეს?!

უცნაურებაა, უცნაურება!

დ. ონიაშვილმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ამ გვარად დაასაბუთა:-

"როგორც თქვენც იცით, მოქალაქენო, ოქტომბრის თვეში რუსეთში მოხდა დიდი პოლიტიკური გადატრიალება და ამის შედეგად ეს მთლიანობა სრულიად რუსეთის დემოკრატიული ფრონტისა აღმოჩნდა გატეხილი. მთელს ქვეყანაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. საშინელი ანარქია, უმიზნო ჟლეტა ადამიანთა სიცოცხლისა, სრული ფინანსიური და ეკონომიური კრახი, არ-არსებობა მთლიანი ხელისუფლებისა, რომელიც სარგებლობდეს ნდობითა და ავტორიტეტით ქვეყანაში, სასტიკი განუკითხავი გასამართლებანი (სამოსუდი), უხეში ძალა ძლიერისა, - აი სურათი იმ საშინელებათა, რომლის წინაშე ფითრდებიან მეფის რეჟიმის საშინელებანი. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაჰკარგა თავისი იდეური სახე და **გადაიქცა გარკვეულ რეაქციონერ მოძრაობად, რომელიც ემუქრება სოციალიზმის საქმეს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ქვეყანაზე. ამგვარად, ეხლა, შექმნილ ვითარებათა ძალით რუსეთის ორიენტაცია არის, არსებითად, ორიენტაცია რეაქციონური.** თუ ყურადღებას არ მივაქცევთ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიური ხასიათის მოსაზრებებს, მაშინ რევოლუციური მოვალეობა ურყევად გვიბრძანებს გადავაგდოთ გვერდზე **რეაქციონური ორიენტაცია და მოვძებნოთ უკეთესი და ახალი ორიენტაცია. ამიერკავკასიის ხალხების წინაშე შეიქმნა ასეთი ტრაღიული ვითარება: -**

ან გამოაცხადოს ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელ ნაწილად და ამგვარად გაიმეოროს რუსეთის სამოქალაქო ომის ყველა საშინელება აქაც და მერმე გახდეს უცხოეთის შემოსევის ასპარეზად, - ამ შემთხვევაში ოსმალების შემოსევის, - ან-და გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალებით დაიცვას ფიზიკური არსებობა მთელი მხარისა. როცა საქმე ასეთ მსვლელობას ღებულობს**, მაშინ ერთად ერთი გამოსავალია დაუყონებლივი გამოცხადება პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკისა...** უნდა ითქვას, რომ **ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა ნაკარნახებია არა წუთის პირობებით, - ეს კი არაა ჩვენი რწმენის ანუ არა-რწმენის საგანი, - ესაა პოლიტიკური აუცილებლობის აქტი"...**

ასე იტყოდა დ. ონიაშვილი და გამოცხადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, - ევგ. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და აკაკი ჩხენკელის შესდგა - ასეთ ტირილში და ვაებაში, გოდებაში და ხოკვაში! არც ერთი გამამხნევებელი სიტყვა! არც ერთი აღმაფრთოვანებელი თქმა! არც ერთი ხსენება ერისა და მისი უფლებისა! არც ერთი მოგონება სამშობლოზე!

10(23) აპრილს 1918 წ. დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი აკაკი ჩხენკელი ვეხიბ-ფაშას ატყობინებს, რომ ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა უკვე გამოაცხადა, შესრულებულია თქვენი ერთი იმ მოთხოვნილებათანი, რომელიც ჩვენ შეგვეხებოდა და ეხლა განვაგრძოთ ზავზე მოლაპარაკებაო.

ახალი მთავრობა სეიმს თავისი დეკლარაციით წარუდგა და მის შესახებ მსჯელობასთან დაკავშირებით ირაკლი წერეთელი კვლავ შეეხო დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს და სთქვა: -

"ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს სამართლიანად მიუთითებდენ საგარეო ძალებისა და საგარეო ვითარებათა გავლენაზე, რომლენიც ამიერკავკასიის დემოკრატიას დამოუკიდებლობისაკენ ხელსა ჰკრავდენ... იყვნენ საგარეო ძალები, და **ამ საგარეო ძალთა შორის,** რომელნიც ამიერკავკასიის ფარგლების გარეშე მოქმედებდენ, **გადამწყვეტი როლი ითამაშა ერთმა საგარეო ძალამ,** რომელმაც ხელი ჰკრა ამიერკავკასიის დემოკრატიას დამოუკიდებლობის გამოცხადების გზისაკენ. **ეს საგარეო ძალაა - ბოლშევიზმი"...**

ასე და ამ გვარად!

ამ ხანის განმავლობაში დაეცა ყარსი, დაკავებულ იქმნა იმავე ოსმალების მიერ ალექსანდროპოლი, ახალქალაქ-ახალციხე, ოზურგეთი და სხ. მათვე მოითხოვეს ამიერკავკასიის რკინიგზებზე ჯარის გადაყვანის უფლება და სხ., ხოლო 15 (28) აპრილს 1918 წ. ვეხიბ-ფაშა აკაკი ჩხენკელსატყობინებდა: -

**ოსმალეთის მთავრობამ აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა** და ამის შესახებ თავის მოკავშირეებს ამცნო; ბათუმში შესდგება საზავო კონფერენციაო.

ამ კონფერენციის ისტორიას ჩვენ არ შევუდგებით, მაგრამ მისი შედეგი კი უსათუოდ უნდა აღინიშნოს. - აქ გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიის წარმომადგენელნი ოსმალეთთან ომისა და ზავის საკითხში ერთი მეორესაგან ძლიერ განსხვავდებოდენ. აზერბაიჯანის დემოკრატიის წარმომადგენელნი ოსმალეთს მთლიანად მხარს უჭერდენ, მის ორიენტაციაზე იდგენ; სომხეთის დიდი ნაწილი ოსმალეთის მიერ უკვე იარაღით იყო დაკავებული და სომხობა აღარავითარ ძალას არ წარმოადგენდა; დარჩენ მარტოდ ქართველი დემოკრატიის წარმომადგენლები, რომელნიც ოსმალებს ეწინააღმდეგებოდენ. - აქ გამოირკვა ამიერკავკასიის დელეგაციის ფაქტიურობა, მისი ერთობის უსუსურება, ანუ როგორც ირაკლი წერეთელმა სეიმში სთქვა: - ქართველი ხალხი.

"დარჩა მარტო, მას მოსწყვიტეს სომხის ხალხი, მისგან ამ წუთში წავიდა მუსულმანური მოსახლეობა; და ის გარემოება, რომ არსებობს ფიქტიურად ამიერკავკასიის რესპუბლიკა, არსებობს ფიქტიურად ამიერკავკასიის დელეგაცია - ამ ხალხს (ქართველ. ვ.ნ.) ართმევს შესაძლებლობას, თუნდაც იმ ძალებით, რომელიც მას გააჩნია, შეჰქმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება თავისი ინტერესები დაიცვას. იცოდე (ქართველო ხალხო. ვ.ნ.), თუ გსურს დაიცვა შენი ინტერესები, გადაირჩინო თავი, შენ უნდა შექმნა შენი სახელმწიფო ორგანიზმი და შენი ოფიციალური წარმომადგენლობა!...

და დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმმა ყველა ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება 1918 წ. მაისის 26-ს:

ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხთა შორის, რომელთაც შეჰქმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკი, - სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დანაწილებას და თავის უფლებამოსილებას თავიდან იხსნის.

მოკვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა 46 დღის მწარე სიცოცხლის შემდეგ...

და იმავე დღეს დაიბადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა - 1918 წ. მაისის 26-ს.

საქართველოს დამოუკიდებლობაც მივიღეთ როგორც გარდაუვალი სინამდვილის შედეგი, როგორც დამარცხების ნაყოფი. და ასეც არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში (სამარცხვინოდ!) ნათქვამი: -

"მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

"მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

"რსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წესწყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად მოიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

"დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

"ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს"...

არც ერთი ცოცხალი სიტყვა და რამდენი სიყალბე! ღირს, რომ ეს დამოუკიდებლობის განცხადება სიტყვა-სიტყვით იქმნეს გარჩეული, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ხოლო ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განცხადებაში ისტორიაც დამახინჯებულია, ფაქტებიც გაყალბებულია და იგი მოკლებულია ეროვნულ სულს, ეროვნულ აღმაფრენას... რისი ეროვნული აღმაფრენა, როდესაც ამ აქტს მეორე დღესვე მოჰყვა ზეპირი და წერილობითი ბოდიში: - რა გვექნა, იძულებული გავხდით დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებიაო, - და ეს თქმა ხელიხელ საგოგმანებელად შეიქმნა ქართული დიპლომატიისათვისაც კი!

ჩვენ გვსურდა გამოგვერკვია, თუ სოციალდემოკრატიის იდეოლოგიამ და ტაქტიკამ ეროვნულ საკითხში რა როლი ითამაშა. - ცხოვრება გამომცდელია და ჩვენ დავინახეთ, რომ მან ქართული მარქსიზმი ჩასჭრა და სასტიკად დაამარცხა. დამარცხდა მთელი ის პოლიტიკა და ტაქტიკა, რომელმაც ფეხი აიდგა 1865 წლიდან და რომელიც გააგრძელა, გააძლიერა და სახელმძღვანელოდ ქართულმა მარქსიზმმა გაიხადა. დამარცხდა ქართული მარქსიზმი ეროვნულ საკითხში, დამარცხდა მისი ტაქტიკა ეროვნულ დარგში, - ისტორიამ მას გვერდი აუარა და საერთაშორისო პირობათა დარჯაგიდან როგორც ამიერკავკასიის, ისე საქართველოს დამოუკიდებლობა იშვა - ქართული მარქსიზმის სურვილისა, პოლიტიკისა და ტაქტიკის წინააღმდეგ. და მართალია ირაკლი წერეთელი დღეს რომ სწერს: - "ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გზაზე შეაყენა არა პარტიათა გეგმამ და გავლენამ, არამედ მის გარშემო მომხდარმა ისტორიულმა ფაქტებმა"-ო.

ამ მცირე მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა საგარეო პირობათა ძალით წარმოიშვა; - რომ ამ საგარეო პირობებში მთავარი მონაწილე იყო რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალება და ოსმალეთი; - რომ

რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა მოხდა ფაქტიურად და არა პარტიათა და ერების ხელმძღვანელთა სურვილისა და მისწრაფებით, მათი ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ბრძოლის ტაქტიკის წინააღმდეგ; - რომ

ეს გამოყოფა მოხდა განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის - ბოლშევიზმის - გაბატონების გამო რუსეთში და არა რუსეთისაგან, როგორც ერის სახელმწიფოსაგან; - რომ

მარქსისტული პარტია, რომელიც ამიერკავკასიის ხელმძღვანელი იყო, მისთვის პოლიტიკის მიმცემი და მისი გამტარებელი, მუდმივად, მძაფრად სინამდვილეს ებრძოდა და რუსეთისაგან ჩამოშორება არა სურდა; - რომ

იგი ნატვრით საზრდოობდა და პოლიტიკაში რუსეთის დემოკრატიაზე და საერთოდ დიდი რუსეთის აღდგენაზე ყალბი იმედით ხელმძღვანელობდა; - რომ

ამის მოლოდინში თავის საქმეს გუსლისყურს ვეღარ უდებდა და საკუთარ ქვეყანას საკუთარ პოლიტიკას ვეღარ აძლევდა; - რომ

ამ ბრძოლაში მან შესძლო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი დაეყოვნებია, გაეთრია, დაეგვიანებია, რის შედეგად ამიერკავკასიას ბევრი უბედურება თავს დაატყდა; - რომ

იგი დაბოლოს იძულებული გახდა ამ დამოუკიდებლობაზე ისტორიას დასთანხმებოდა; - რომ

იგი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას დაღუპულ რუსეთს ჰგლოვობდა და არ-არსებულ რუსულ დემოკრატიას მისტიროდა; - რომ

ერისა და სახელმწიფოს საკითხში იგი პარტიულ იდეოლოგიურ დოგმებსა და პარტიული ტაქტიკის დოქტრინებს ვერ აშორდა; - რომ იგი ზრუნავდა მხოლოდ განსაზღვრულ პოლიტიკურ რეჟიმზე - მისი გეზი მიმართული იყო მხოლოდ რევოლუციურ დემოკრატიაზე, და ყველა სხვა საკითხს, როგორც საგარეო, ისე საშინაოს, ამ თვალსაზრისით უდგებოდა და სწყვეტდა; -

რომ მთელი ეს ტაქტიკა სასტიკი დამარცხებით დასრულდა; -

რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა მეტად გვიან, როცა ამიერკავკასიის საქმე უკვე წაგებული იყო და მადაგახსნილი ოსმალეთის სარდლობას კავკასიის მკერდზე ბეზუთი მიბჯენილი ჰქონდა; - რომ

ამიერკავკასია ამ მომენტში უკვე დარღვეული იყო და ოსმალეთმა ისარგებლა ეს რღვევა დაესრულებია; - რომ

იმავე საგარეო პირობებისა და ამიერკავკასიის რღვევის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა წარმოიშვა; - და რომ ამით მარქსისტული პარტიის მრავალი წლის განმავლობაში ჯიუტად გატარებული პოლიტიკა და ტაქტიკა საბოლოოდ სასტიკად განადგურდა.

ხოლო უბედურება ის იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურებმა ცხოვრებისაგან ამდენ სასტიკ დამარცხებათა შემდეგ მაინც ვერ შეიგნეს ერისა და სახელმწიფოს პირველადობა და ერის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კვლავ პარტიულ პოლიტიკასა და ტაქტიკას დაუმორჩილეს, რის შედეგად ეს დამოუკიდებელი ქვეყანა, მრავალ-საუკუნო ისტორიულ ნარეკლიანი გზით მავალი საქართველო, ძველ მის მტერს - რუსეთს - ხელში ჩაუგდეს...

ეს ჩენი განაწამები წარსული ბევრ რამეს გვასწავლის, მაგრამ მთავარი მაინც ერთია: -

ერი და მისი ინტერესები უნდა ბატონობდეს და უნდა ფლობდეს ყველა პარტიულ პოლიტიკურს, პარტიულ სოციალურს, პარტიულ ეკონომიურს, - და საერთოდ ყოველგვარ პარტიულ აზრსა და მოქმედებას, ყოველნაირ პარტიულ დოქტრინაზე და პარტიულ დოგმაზე ერის ინტერესები უნდა იყოს უმაღლესი და უწმიდესი; - და რომ მხოლოდ ერს უნდა შეეწიროს ყოველივე.

# თბილგაზის სატენდერო განცხადება

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ტენდერით განსაზღვრული მომწოდებლის მეშვეობით ხორციელდება ხოშარაულისა და მისი მიმდებარე ქუჩების გზის საფარის აღდგენის სამუშაოები, რომელიც უნდა დასრულდეს 2005 წ. 1 ივლისს. აღნიშნული პერიოდში სამუშაოების დასასრულებად აუცილებელია აგლაძის ქუჩაზე არსებული 300 მეტრი ავარიული გაზსადენის რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის 20 ივნისამდე.

ამდენად, კერესელიძის ქუჩიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე საშუალო წნევის 300 მმ-იანი გაზსადენის აგლაძის ქუჩის 300 გრძ/მ მონაკვეთის რეაბილიტაციის დროულად დასასრულებლად ამ მონაკვეთზე შესყიდვა უნდა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით და ღია ტენდერის სამუშაოების მოცულობა უნდა შემცირდეს 750 მეტრიდან 450 მეტრამდე.

ფორს-მაჟორული სიტუაციით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად, ქ. თბი-ლისის მერიის 18.05.05წ. N07/9489 შეუმდგომლობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 19.05.05წ. N2/5-1052 თანხმობით ს.ს. "თბილგაზი", ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.N18ა

**აცხადებს 2005 წლის 07 მაისის ტენდერის პირობეში ცვლილებების შეტანის შესახებ**

1. 2005 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯების ფარგლებში კერესელიძის ქუჩიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე საშუალო წნევის 300 მმ-იანი გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები განისაზღვროს:

**დიდუბის ქუჩაზე (გაფრინდაულის ქუჩიდან ვახუშტის ქუჩის გადაკვეთის ჩათვლით) 300მმ-იანი დიამეტრის 450 მეტრი ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენის შეცვლა 315მმ-იანი დიამეტრის 450 მეტრი პოლიეთილენის მიწისქვეშა გაზსადენით. გაზსადენის გამოცდა, შეჭრა, ჭების მოწყობა, გადამყვანებისა და მცირე დიამეტრის მილების მონტაჟი, სხვა აუცილებელი სამუშაოები.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. თითოეული პრეტენდენტისაგან დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა მოიცავდეს შესყიდვის (შესასრულებელი სამუშაოები) ზემოხსენებულ ყველა პოზიციას. ალტერნატიული წინადადებების მიღება გათვალისწინებული არ არის.

2. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 23 მაისიდან 31 მაისის 17.00 სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, ს.ს. "თბილგაზის" კანცელარიაში - პირველი სართული ან სატენდერო კომისიის აპარატში - მეოთხე სართული.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

a) შესაბამისი სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

b) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

დ) შესაბამისი სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

3.2. საქართველოში რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

g) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის:

ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.4 ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

4. ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია და შესაბამისი დანართი (ჩამონათვალი) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ 2005 წლის 6 ივნისის 17 სთ.-მდე მისამართზე: ს.ს. "თბილგაზი", მიცკევიჩის ქ.N18ა, IV სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

8. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით, ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

| N | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ფასი | 0.35 |
| 2 | პრეტენდენტის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი ტექნიკური მდგომარეობა | 0.15 |
| 3 | პრეტენდენტის (ორგანიზაციის) პროფესიული გამოცდილება | 0.30 |
| 4 | სამუშაოს შესრულების ვადები | 0.20 |
| | სულ: | 1.00 |

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ოთარ შენგელია, მისამართზე: ს.ს. "თბილგაზი", თბილისი, მიცკევიჩის ქ.N18ა, IV სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ: 372159.

ს.ს. "თბილგაზის" სატენდერო კომისია

## ორშაბათი 30.05

### რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 ლუი 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) 15.25 სერიალი "ზევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ოცნების კოშკები" 17.25 ლუი 18.30 პატრული 19.00 ყველაზე ჭკვიანი 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სუსტი რგოლი 23.00 სერიალი "უცნობი" 00.00 მხ. ფილმი "აფეთქება" (18) (რუტგერ ჰაუერი) 02.00 პატრული

08.00 დოკ. ფილმები 10.00 სერიალი "დანაშაული" 11.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" 12.45 ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" აფხაზურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 ბიოგრაფიული პორტრეტები - ჯულია რობერტსი 16.30 დოკ. ფილმი "ავლანეთი-დაკარგული საგანძურის ძიებაში" 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 "მედიატორი" 19.30 გზაჯვარედინი 20.00 "მთავარი" 20.45 "ზაბილინა" 21.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 23.00 მრწამსი 23.30 მხ. ფილმი "სიყვარულის მახე" (15) 01.45 საინფ. გამოშვება

### მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.30 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 10.30 მხ. ფილმი "ვახშამი ბრიყვთან ერთად" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.30 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 13.05 სერიალი "კარაბინერები" 14.15 არჩევნების ზღვარზე 15.10 შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 "ტაქსის მძღოლი" 18.20 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.05 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 21.00 სერიალი "კარაბინერები" 21.45 არჩევნების ზღვარზე 23.10 კრიმ. სერიალი "სთშ" 00.00 მხ. ფილმი "ერთად მოკვდებით" (გ) (კლოდ ბრასერი)

### მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ზაბილინა" 20.05 მულტსერიალი "მარსუპილამი" 20.30 დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" 20.55 დოკ. ფილმი "პოლიტიკური მკვლელობები" 21.45 კონცერტი 22.35 კინოსეანსი "მყუდრო სავანე"

### იმედი

07.00 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" 07.45 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 დროება 12.30, 18.45, 03.05 იმედის მელოდიები 12.40, 16.40, 01.50 ტვ-მარკეტი 13.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 15.00, 17.45, 19.00, 22.00, 01.40 ქრონიკა 15.20 "არ იდარდო" 17.00 ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "ბათუმი" (ბათუმი) 17.25 ვაკაჯინუსი 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ცხელი ძაღლი-3" 22.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.55 სპ. პროგრამა "გოლი" 00.25 ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად 02.25 ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 საინფ. დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" 10.00 "პროექტი მომავალი" 10.40 კომედია "როკის სკოლა" 12.45 მხ. ფილმი "ამერიკელი ბოროტმოქმედი" 14.30, 17.30, 20.30 ახალი ამბები 15.05 ისტორიული ფილმი "მისიე ტ" 18.10 მულტფილმი 18.30 "ნოვოსტი" 19.10 მუსიკა 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.05 ბოევიკი "ზაზა" 22.40 "პროექცია" 23.00 დოკ. ფილმი "ცხოველთა სამყარო" 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.25 თრილერი "მკვლელისათვის" 02.00 გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Многосерийный фильм **"ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА"**. Закл. с. 10.20 Роберт де Ниро в фильме **"ПРИКЛЮЧЕНИЯ РОККИ И БУЛЛВИНКЛЯ"**. 12.20 Прикл.фильм **"ВЕРТИКАЛЬНЫЙ ПРЕДЕЛ"**. 14.00 "Звезды эфира". Зиновий Гердт. 15.20 Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ"**. 16.20 "Пять вечеров". 17.30 "Звезды юмора" на Первом. 18.40 Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. 19.50 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Александр Михайлов в многос. фильме **"ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА"**. 22.40 Док. фильм "Выйти замуж за миллионера". 23.30 Ночное "Время". 00.00 Искатели. "Демидовские миллионы". 00.40 Антон Макарский в программе "Путешествия "Русского экстрима". 01.10 Дана Карви в комедии **"ВАШ ШАНС СТУЧИТСЯ В ДВЕРЬ"**. Однажды ночью два веселых мошенника Лу и Эдди забираются в шикарный особняк, битком набитый ценными вещами. При помощи автоответчика они выясняют, что хозяин будет отсутствовать два месяца, а мажордом нашел новую работу на другом конце страны. Молниеносно в голове Эдди созревает потрясающий план, и со следующего дня он начинает новую счастливую жизнь в роскошном доме... 02.50 Лесли Биб в фильме **"СТОЛИЦА"**. Пейдж Амстронг счастлива, улыбка не сходит с юного лица. Наконец сбылась ее давняя мечта: девушка получила работу в Вашингтоне, в самом Капитолии. Теперь Пейдж - помощник сенатора, она преисполнена гордости и ответственности за порученное дело. Правда, пока она мало что понимает в "политических играх". Бедняжка даже не подозревает, что скоро окажется вовлеченной в хорошо продуманный заговор... 04.20 "Место действия - Россия". "Окраина". 05.05 "Крылья".

### НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.00 Совершенно секретно. Информация к размышлению. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" 10.20 Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. 10.55 Кулинарный поединок. 11.55 Квартирный вопрос. 13.35 Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА"**. 15.35 Игры разума. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.25 Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: СВОЙ БИЗНЕС"**. 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал **"РИЭЛТОР"**. 20.45 Анна Миклош в сериале **"ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА"**. 1-я с.. 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"**. 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"РИЭЛТОР"**. 01.15 Журнал Лиги чемпионов. 01.45 Линда Фиорентино в фильме **"ТЕЛЕСНЫЕ ПОВРЕЖДЕНИЯ"**. Полиция обнаружила труп молодой стриптизерки Рэндолл. В ходе расследования появляется главный подозреваемый, бывший полицейский Сэм МакКин, уволенный за крупные денежные махинации. Через короткое время находят труп еще одной женщины, психоаналитика, пациентом которой Сэм был два года. Следствие ведут бывшие коллеги, находящие множество косвенных улик, хотя прямых доказательств его виновности нет. 03.15 Коллекция Даниэлы Стил. Жаклин Смит в фильме **"СЕМЕЙНЫЙ АЛЬБОМ"**. 1-я с. 04.10 Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4"**. 05.05 Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2"**.

## სამშაბათი 31.05

### რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 ლუი 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 სუსტი რგოლი 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "აფეთქება" (გ) 15.25 სერიალი "ზევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ოცნების კოშკები" 17.25 ლუი 18.30 პატრული 19.00 ყველაზე ჭკვიანი 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 ღამის შოუ 23.00 სერიალი "უცნობი" 00.00 მხ. ფილმი "მონსტრების მეჯლისი" (18) (ჰოლი ბერი) 02.10 პატრული

08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 11.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" 12.45 ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" ოსურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 დოკ. ფილმი "სიცოცხლის ხე ქართლის ცხოვრებისა" 16.15 სიცილის ოთახი 16.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (კვიპროსი) 17.30 დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერ. "ჩოგბურთის აკადემია" 19.00 "ჰოლმარკი" - "სენტიმენტალური ხვედრი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ზაბილინა" 21.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "ფანტასტიური სინათლე" 23.00 პროფესიონალი -ექიმი-ნარკოლოგი 23.30 მხ. ფილმი "მაიხლოება" (გ) 01.10 საინფ. გამოშვება

### მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.30 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 10.30 მხ. ფილმი "ერთად მოვკვდებით" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.30 ტელეჟურნალი "სცენა" 13.05 "დიელი და პასკო" 14.15 კრიმ. სერიალი "სთშ" 15.10 შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 "ტაქსის მძღოლი" 18.20 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.05 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "კარაბინერები" 21.45 არჩევნების ზღვარზე 22.45 საფესტივალო ჩვენება. 00.00 მხ. ფილმი "ღამის თავგადასავალი" (გ) (კიანუ რივზი)

### მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ზაბილინა" 20.05 მულტსერიალი "მარსუპილამი" 20.30 დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" 20.55 დოკ. ფილმი "პოლიტიკური მკვლელობები" 21.45 დოკ. ფილმი "ბრიუგე" 22.10 კინოსეანსი "ცარიელი სივრცე"

### იმედი

07.00 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" 07.45 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05, 12.20, 17.10, 03.45 იმედის მელოდიები 10.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" 11.15 სერიალი "ცხელი ძაღლი-3" 12.40, 16.25, 03.45 ტვ-მარკეტი 13.15 ვაკაჭი-ნიუსი 13.45 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.35 ქრონიკა 17.25 სპ. პროგრამა "გოლი" 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ცხელი ძაღლი-3" 22.40 პირველები 23.25 მხ. ფილმი "დიდი ბეკე" (15) (ჟ. დელონი) 02.40 გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) 04.20 ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

